

# სწავლა მოსწავლათა

ისმინე, სწავლის მძებნელო, მოყვე დავითის მცნებასა, ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა; თავს სინანული სჯობია ბოლოჟამ დანანებასა, — ჭირს მყოფი, ღვინში შესული, შვებად მიითვლი ვნებასა.

სწავლა სიკვიდმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი; მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი, სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი; თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს ნუთისოფელი.

ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომცა დაეტარების, აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შეეკარების; არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალკით მოიპარების, ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების.

**გიორგი ნაზროშვილი**

# დავით გურამიშვილი

ბნელში მდებარე გამოველ გარეთ, ვითა დავღამდი, ისე გავთენდი.

**დავით გურამიშვილი**

დავით გურამიშვილი ეკუთვნის ისეთი პოეტების რიცხვს, რომელთა თავზე ისტორიის ყველა ქარიშხალს, ყველა წყალდიდობას გადაუვლია. ასეთ პოეტებს ბედი არგუნებთ ხოლმე ყველა იმ ჭირსახდელს, რაც მათმა ერებმა უნდა იხადონ და გამოიარონ.

და ბუნებრივია, რომ სწორედ ასეთი ბედის შემოქმედნი ეპოქებსა ქმნიან ლიტერატურის ისტორიაში.

ძნელბედობის ეპოქებში დაბადებულნი, ისინი პირველნი დაინახავენ ნათელი იმედის შორეულ სხივს, მერე პირველნი გაიტანენ კვალს ახალ ყამირში და ახალ პორობონტებს ხსნიან.

პოეტი თუმცა სიჭაბუკის წლებიდან განწორებული იყო სამშობლოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეთვრამეტე საუკუნის საქართველო და გურამიშვილი განუყრელნი არიან.

ვერც ფიზიკურად სამუდამოდ შორს ყოფნამ, ვერც საშინელმა სატანჯველმა, რომელიც მან გადაიტანა, — ვერ მოსწყვიტა ის ქართული მიწის ფესვებს, ვერ მოაშორა საქართველოს, ვერ დაშრიტა მისი დაუცხრომელი სულის დუღილი, ვერ გაანელა მისი გულის ცეცხლი.

ამავე დროს, გურამიშვილი პოეტური სიმბოლოა ქართველი, რუსი და უკრაინელი ხალხების მეგობრობისა. თავისი ცხოვრებით, თავისი შემოქმედებით მან ქარ-

თული პოეზია აზიარა რუსეთისა და უკრაინის კულტურის წყაროებს. ის, როგორც პოეტი, ათავსებდა დიდ იდეურ საწყისებს, რომელთაც თვალი რომ გავადევნოთ, მსოფლიო ლიტერატურის ფართო შარავზაზე გაგვიყვანენ.

არ დარჩენილა არც ძველი და არც ახალი თაობის თითქმის არც ერთი ქართველი პოეტი, რომელიც გურამიშვილის ბედს არ ჩაეფიქრებინოს. ვინ მოთვლის. რამდენი ლექსი დაიწერა მისი ცხოვრების, ბრძოლის, მისი ლექსებისა და მისი უკვდავების შესახებ! მთელი ეს ნაწარმოებები ნათლად გვიდასტურებენ და გვიჩვენებენ, როგორ გაცოცხლდა მეთვრამეტე საუკუნის პოეტი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, ან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ბნელში მდებარე როგორ გამოვიდა დღის სინათლეზე, როგორ გათენდა და განათდა მისი დიდი, ამიერიდან დაულამებელი დღე. გურამიშვილმა მართლაც სამარადისოდ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენს ფიჭვსა და ოცნებაში, ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს სიყვარულში სამშობლოსადმი, სიცოცხლისადმი; ის ახალ დედაბოძად შეუდგა ჩვენს სიყვარულს მოძმე ხალხებისადმი, და მთელი ეს ლექსები, რომლებიც მასზე იწერება, ხარკია, ღალაა იმ სიყვარულისადმი, რომლითაც სავსე იყო გურამიშვილის გული, იმ სიყვარულისადმი, რომლითაც უყვარდა მას ეს მზიანი წუთისოფელი.

და სრულიად ბუნებრივია, რომ სიყვარულის ამ ღალას გურამიშვილს უხდიან არამარტო ქართველები, არა-

მედ ყველა ხალხი ჩვენი სამშობლოსი. გაიხსენეთ, რა დიდი ამაგი დასდო ჩვენს ლიტერატურას გამოჩენილმა რუსმა პოეტმა ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ, რომელმაც მალა-ლი ოსტატობით თარგმნა „დავითიანი“ რუსულ ენაზე; ასევე მთელი ძალით აამეტყველა იგი უკრაინულ ენაზე მიკოლა ბაჟანმა. პავლო ტიჩინამ და მაქსიმ რილსკიმ მას უძღვეს შესანიშნავი ლექსები, რომლებშიც მთელი სიმღვლით გამოჩნდა ბუმბერაზული ფიგურა ქართული ჰუმანიზმის დიდი მოციქულისა; მშვენიერი წერილები მიუძღვნეს მის შემოქმედებას ალექსანდრე ფადეევმა და ნიკოლოზ ტიხონოვმა, პავლე ანტოკოლსკიმ და კორნელი ზელინსკიმ, იან სუდრაბაჯალმა და მირზა იბრაჰიმოვმა, დერენიკ დემირჯიანმა და მირმუხსინმა, და კიდევ ვინ მოსთვლის! დიდია საბჭოთა კავშირი და არ არის მასში კუთხე, სადაც დავითის ლექსი არ ხმიანობდეს.

ეს გასაგებიც არის. სიხარული და ნაღველი, აზრი და გრძნობა, სიყვარული და სიკეთე, რომელიც ჩაქსოვილია გურამიშვილის ნაწარმოებებში, ჩაქსოვილია მის წიგნში — ვრცელდება ქვეყნად ელვის სისწრაფით, ვრცელდება როგორც სხივი მზისა, როგორც გამოძახილი კაცის გულის ხმიანობისა. ასეთი წიგნები მოედებინ ხოლმე მთელ მსოფლიოს, ეცნობიან ქვეყნებს, ხალხებს, უმეგობრდებიან მანამდე უცნობ ადამიანებს, თან გაპყვებიან ძნელ გზაზე, ჭირში ანუგეშებენ, გაახარებენ, ჩაფიქრებენ, უფრო შეაყვარებენ სიცოცხლეს და სამშობლოს, გულს გაუსპეტაკებენ და სიმართლის წმინდა შუქით გაუბრწყინებენ. და ეს წიგნები ავტორებზე განუზომლად უფრო დიდხანს ცოცხლობენ.

ასე დაიმკვიდრა სამარადისო უკვდავება დავით გურამიშვილმა.

დავით გურამიშვილი დაიბადა 1705 წელს, საგურამოში. როგორც ფეოდალურ ოჯახში დამკვიდრებული ტრადიცია მოითხოვდა, ბავშვი გასაზრდელად ძიძისთვის მიუბარებიათ. ილიასა და აკაკისავით დავითსაც გლეხის დედაკაცის ძუძუ უწოვნია. ალბათ დიდხანს დარჩენილა ძიძისთან და სწორედ ამ პერიოდში მიუღია მას ყველაზე ღრმა შთაბეჭდილებანი. ეს ნათლად ემჩნევა მისი აზროვნების სისტემას, მის ლექსიკას. ის თითქმის ერთადერთი პოეტია, რომელიც მთელი მეთვრამეტე საუკუნის პოეტთა შორის ხალხის ენით წერს და გლეხკაცური ყოფის ცნებებით აზროვნებს.

ძიძისაგან დაბრუნებული, იგი თავის ოჯახში იზრდებოდა.

გურამიშვილი ცხრამეტი წლის ჭაბუკი იყო, როცა ატენის ომი გაიმართა. ამ ომის დროს ქართველებმა სცადეს წაერთმიათ თურქებისათვის გორის ციხე. პოეტი მონაწილეობას იღებდა ამ ბრძოლაში. როგორც თვითონ გადმოგვცემს, პირველი იერიში ქართველებმა წარმატებით განავითარეს, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდნენ.

საგურამოში პოეტი, როგორც ჩანს, აღარ დაბრუნებულა; ატენის ომიდან წამოსულს მას თავი შეუფარებია მოყვრების ოჯახში, ქსნის ხეობაში, სოფელ ლამისყანაში.

სწორედ აქედან ზაფხულში, ყანების მკის დროს, ის ტყვედ წაიყვანეს ლეკებმა.

ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ იგი ავარიის მთებში, ხუნძახის მხარეს, სოფელ უნსუქულში მიიყვანეს. პოეტის ლექსებიდან ჩანს, რომ მას საშინელ პირობებში უცხოვრია.

ლეკები ტყვეს თავის დასახსნელს სთხოვდნენ და როცა გამომხსნელი არავინ აღმოჩნდებოდა, მიჰყავდათ იგი ახლო აღმოსავლეთში გასაყიდად. გურამიშვილს მახლობ-

ლებისათვის ხმის მიწვდენა არ შეეძლო და, ცხადია, მას გამომხსნელიც არ აღმოუჩნდებოდა.

როგორც კი გაყიდვა დაუპირეს, გაექცათ, მაგრამ ფაქტი იჭირეს, სცემეს და ბნელ ორმოში ჩააგდეს. პოეტი ველივე ამან ვერ გასტენა; ზაფხულის დამლევს მან, როგორც იყო, კვლავ მოატყუა გუშაგების სიფხიზლე და ახლა ჩრდილოეთისაკენ გაიქცა.

კავკასიის უდაბურ ტყეებში ხეტიალმა ის საშინლად მოქანცა. მდევრის შინით იძულებული იყო დღისით შაბბში წოლილიყო და ღამით ევლო. ასე იარა მან თერთმეტი დღე და მეთორმეტე დღეს უჭალო მდინარეს მიადგა.

მდინარის გაღმა ხალხი, რუსი გლეხები დაინახა, ისინი კალოსა ლეწავდნენ; დავითი წავიდა მათკენ, მიუახლოვდა ერთ მათგანს და ემთხვია ჯვარს, რომელიც გლეხკაცს გულზე ეკიდა. ხანგრძლივი ხეტიალისა და შიმშილის შემდეგ ალბათ საშინელი გამომეტყველება უნდა ჰქონოდა, რომ რუსებმა სიტყვის თქმაც არ დააცალეს და მაშინვე პური მიაწოდეს.

კალოზე მისული პოეტი რომელიღაც გლეხკაცმა შვილივით გადაკოცნა და, მისი საცოდაობით დამწვარმა, ცხარე ცრენით იტირა. დავითს სასწრაფოდ თარჯიმანიც უშოვეს, ერთი გადაკარგული ფშაველი, სახელად იანვარა, რომელიც ალბათ თვითონაც ტყვეობიდან იყო გამოქცეული.

თერგის მიდამოებიდან დავითი სოლალისაკენ წავიდა. იქიდან — ასტრახანში; ასტრახანიდან პოეტი მოსკოვისაკენ გაემგზავრა; მოსკოვში დავითი წარუდგა ევანტანგ მეექვსეს, რომელმაც პოეტი კარგად მძილო და ჯაბადარბაშის თანამდებობა მისცა. ამრიგად, ქართლიდან გადახვეწილმა მეფემ ახალგაზრდა გურამიშვილს, მისი მოსკოვში გამოჩენისთანავე, თავისი არსენალი ჩააბარა. ამის შემდეგ გურამიშვილი აქტიურად ჩაება იმ საქმიანობაში, რომელსაც ქართული ემიგრაცია ეწოდება.

პოეტის თქმით, მეფე ევანტანგის ამაღლში ხშირად იმართებოდა შეკრებები, იყო ლექსთა თქმა და გალობა; ამ კულტურულ საქმიანობაში დავითი უშუალო მონაწილეობას იღებდა, მაგრამ ქართველები აქ პოეტურ პაექრობათა მოსაწყობად როდი იყვნენ ჩამოსულნი ევანტანგ მეფე ემზადებოდა და თავის ხალხსაც ამზადებდა საქართველოში წამოსასვლელად, რომელიც მუსლიმანური ურდოების ბატონობისაგან უნდა გამოეხსნა. 1734 წელს დაწერა დავითმა ლექსი „მოსკოვის ქალაქს მხრც ველოდით“, სადაც გამოთქმულია იმედი იმისა, რომ ახლა მაინც ეღირსება თავისუფლება საქართველოს. ახლა ყველა ჩქარობდა, ემზადებოდა სამხრეთისაკენ წამოსასვლელად, მოყლე ხნის განმავლობაში ექვსი ნავი ააგებინეს, ჩაუშვეს ვოლგაში და კასპიის სანაპიროებისაკენ გამოემართნენ.

გურამიშვილი თან გამოჰყვა ევანტანგს, როგორც მეომარი და როგორც უფროსი აბჯართსაცავისა.

მაგრამ ევანტანგის ამაღს ბედმა უმტყუნა: ჯერ იყო და წყლით მოგზაურობა გაუჭირდათ და, იმ დროს, როცა ამ გზას ჩვეულებრივ ერთ თვის

164/17

საპარტიოლოს ალკა შ.კ.ს და პ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის აკაპულაიკაი საპროს ურუალოთიკარი საპაპოპო ვეკანლი



**პიონერი**

**10 ოქტომბერი 1980**

საქ კა სა-ის ბაპოპოპოპოპოპო

ბ. შარაშინი სბ. სბ. სსრ. ხანსლოფიონი რასაშალო



გადიოდნენ. მათ სამი თვე მოანდომეს. ხმელეთზე რომ გადავიდნენ, აქ საბედისწერო ამბავი დაუხვდათ — მათ რუსეთის მეფის ელჩები შემოეყარნენ, რომლებიც პეტერბურგისაკენ მიაქროლებდნენ ცხენებს და ავი ამბები მიჰქონდათ.

თურქეთის ძლიერება რომ იცემოდა, ეს თვითონ ვახტანგმა კარგად იცოდა. ჯერ ისევ მოსკოვში იყო, როცა არავის ერისთავის წერილი მიიღო: „ოსმალთ ისე დასუსტდა, ორასი კაცი აღარა ჰყავს ქართლში. თუ ახლა არ იცადეთ, დაიკარგა ეს ქვეყანა“. იცოდა ეს ვახტანგმა, ამიტომ მოიჩქაროდა საქართველოსაკენ, მაგრამ არ ელოდა ირანის იქამდე გადაღიერებას, რომ ეს უკანასკნელი შესდებოდა არა მარტო ოსმალეთის წამოჩოქებას, არამედ იმ ტერიტორიების დაპყრობასაც, რომელიც უკვე რუსეთის გარნიზონებს ეჭირათ.

ამრიგად, ვიდრე ქართველები გზაში იყვნენ, რუსეთის ჯარმა დარუბანდი დასცალა და ყიზლარისაკენ დაიხია. ქართლის ხსნის იმედი ისევე ჩაჰქრა და მომავალს ისევე ნისლი გადაეფარა. სასოწარკვეთილმა ვახტანგმა ყველაფრის იმედი დაჰკარგა, გადაწყვიტა ასტრახანში დასახლებულიყო და გადახვეწილი ქართველები თავისი შვილის ბაქარისათვის ჩაებარებინა.

1737 წელს ვახტანგი გარდაიცვალა. მწარედ გამოიტორა მისი სიკვდილი დავით გურამიშვილმა.

1738 წელს რუსეთის არმიამ ჩამოყალიბდა ქართველ ჰუსართა პოლკი, რომელშიც დავით გურამიშვილიც ჩაირიცხა. როგორც წარჩინებული გვარის შვილებს და რუსეთის არმიის მეომრებს, ქართველ ჰუსარებს უკრაინაში სამკვიდრო მამულები დაურიგეს.

დავით გურამიშვილს მიროგოროდის მახრამში მისცეს მამული და ოცდაათი კომლი ყმა.

ასე ძლივს მოიკიდა ფეხი გურამიშვილმა. მიროგოროდიდან ოცი კილომეტრის მანძილზე, მდინარე ხოროლის მახლობლად არის ერთი სოფელი, რომელსაც ძველად უკრაინელები გურამოვიჩინას ეძახდნენ. ასე დაიბადა ქვეყნად მეორე საგურამო.

დავით გურამიშვილი, თავის გადახვეწილ თანამემამულეებთან ერთად, მონაწილე გახდა იმ ომებისა, რომლებითაც აღსაუესე იყო მეთვრამეტე საუკუნე. 1739 წელს დავითი ბესარაბიაშია და თურქების წინააღმდეგ იბრძვის, იმ წელს რუსეთის არმიამ ზოტინის ციხე აიღო. ომის მონაწილე ქართველების მხნეობამ და ვაჟაკობამ რუსეთის არმიის სარდალი მინიხი განაცვიფრა და აღტაცებაში მოიყვანა. ეტყობა, დიდად გამოუჩენია თავი გურამიშვილსაც. როგორც თვითონ წერს, მას მონაწილეობა მიუღია „ყველა მტურმსა და ბატალიაში, იგი რომ სიციოცხლეს არა ზოგავდა“.

დავით გურამიშვილი უშუალო მონაწილე იყო შვიდწლიანი ომისა, რომელიც პრუსიის მეფემ ფრიდრიხმა დაიწყო. 1758 წლის აგვისტოში პრუსიელებმა ბრძოლის ველზე გურამიშვილი დაატყვევეს და მაგდებურგის ციხეში გამოამწყვდიეს.

1759 წლის დეკემბერში ტყვეობიდან განთავისუფლებული პოეტი პირდაპირ პეტერბურგს გაემგზავრა, რათა სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებულიყო, რადგან ის უკვე ავადმყოფი იყო და ოფიცრის მძიმე მოვალეობის შესრულება აღარ შეეძლო. „გურამიშვილი იბრძოდა ღრმა მოხუცებულობამდე, სანამ იგი ფიზიკურად არ გატყდა წყლულებითა და ავადმყოფობით, — წერდა ალ. ფადეევი. — იგი იბრძოდა მშობლიური საქართველოს თავისუფლებისათვის, შემდეგ იბრძოდა იმ ომებში, რომლებსაც რუსეთი ეწეოდა. ამ პოეტი-მეომრის ტიპში არის რაღაც ისეთი, რაც ყველაზე მეტად უპასუხებს ჩვენს თანამედროვე გაგებას იმისას, თუ როგორი უნდა

იყოს პოეტი ქართველების ეპოქაში“.

პეტერბურგიდან დავითი უკრაინაში, თავის მამულში დაბრუნდა. მისი ლექსი ამაზე პირდაპირ მოგვითხრობს: „მუნიო ვისენ, შინ წამოველ, ქერი ვხან და ყანა, ფეტვი“.

უკრაინაში ყოფნის წლებში პოეტი წერს ახალ ლექსებს და, ამავე დროს, აგროვებს ძველებსაც, სხვადასხვა დროს შექმნილ ნაწარმოებებს; აქ მან საბოლოოდ გაამზადა თავისი „დავითიანი“, რათა საქართველოში გამოეგზავნა იგი.

უკანასკნელ წლებში უკრაინელმა მკვლევარმა დმიტრო კოსარიკმა იპოვნა დოკუმენტები, რომელთაგან ირკვევა, რომ გურამიშვილი გარდაიცვალა ქალაქ მიროგოროდში 1792 წლის 12 ივლისს (ძველი სტილით).

დმიტრო კოსარიკმა ხანგრძლივი ძებნის შემდეგ მიაგნო გურამიშვილის საფლავსაც.

რა არის ყველაზე მთავარი და არსებითი დავით გურამიშვილის პოეზიაში, რით ხიბლავს იგი ყველაზე მეტად დღევანდელ მკითხველს, რატომ არის, რომ მისი პოეზია თაობების ყურადღების ცენტრში დგას, რატომ არის იგი მუდამ ამაღლებული და ვნებიანი ინტერესის გამომწვევი?

ეს ხდება იმიტომ, რომ გურამიშვილი მებრძოლი პოეტია, მისი შემოქმედება შესანიშნავი ნიმუშია მაღალი მოქალაქეობრივი პოეზიისა, რომელმაც მომდევნო საუკუნეებში განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია მთელ მსოფლიოში.

გურამიშვილმა კარგად იცის პოეზიის ფუნქცია და დანიშნულება საზოგადოებრივ ცხოვრებაში — პოეტმა ქვეყნის ბედი უნდა გადაჭრას, ხალხს იმ საშინელ მანსაცდელში გზა უჩვენოს, მთავარი ჭირი დაანახვოს და წამალზეც მიუთითოს. ამ მხრით გურამიშვილის პოეზიაში მთელი სისრულით ჩამოყალიბდა ის კლასიკური პრინციპი, რომელიც შემდგომში დიდმა ილიამ ასე განსაზღვრა: „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად, მეწოდეს მის ტანჯვით სული, მის ბედით და უბედობით დამედგოს მტკიცე გული“. და გურამიშვილიც ცდილობს იპოვნოს გზა, „ტანჯვის ცრემლი“ მოსწმინდოს თავის ქვეყანას. აი, ეს არის დენაზბრი მთელი მისი პოეზიისა და ეს ყველაზე მეტად მძაფრად ჩანს მის პოემაში: „ჭირი ქართლისა“.

ეს არ არის პოემა ხელოვნური სიუჟეტით, ეს უფრო ლექსად თქმული მატიანია. ესაა მხატვრული მოთხრობა, რომლის გმირი არის არა ერთი პიროვნება, არამედ მთელი საქართველო. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს მასში ცალკეული გმირები დაჩრდილულნი იყვნენ და არა ჩანდნენ. ასე, მაგალითად, პოემაში მკაფიოდ გამოკვეთილია სახეები ვახტანგ მეექვსისა, კონსტანტინე მეფისა და სხვათა. პოემის თავისებურებას შეადგენს ის, რომ იგი უმთავრესად პოლიტიკური ურთიერთობის გარკვევას ისახავს მიზნად და ისევე, როგორც ბარათაშვილს თავის „ბედი ქართლისაში“, გურამიშვილსაც უმთავრესად საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი აინტერესებს.

საუკუნეთა განმავლობაში, ერთი მხრივ, თურქეთის იმპერია და, მეორე მხრივ, შაჰების ირანი, თავიანთ დაუსრულებელ ომებში წინააზიაში ბატონობის განსამტკიცებლად, საქართველოს მიწა-წყალს ერთმანეთს ეცილებოდნენ, იტაცებდნენ, იყოფდნენ მას და ხშირად ნაღვლის ხელახლად გადანაწილებას ახდენდნენ. ამ უბედურებას ზედ ემატებოდა ქართველი ფეოდალების გაუთავებელი ქიშპობა ურთიერთ შორის.

ასეთ პირობებში ვისი ორიენტაცია უნდა აერჩიათ მოწინავე ქართველებს? ვის მხარეს წასულიყვნენ?

აი, ამ ურთულეს საკითხს შესჭიდებია პოეტის ფანტაზია.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსეთისა და საქართველოს მესვეურთა მისწრაფებანი ერთმანეთს ემთხვეოდნენ. რუსეთის მხარდაჭერას უნდა დაეცვა ჩვენი ქვეყანა გაძლიერებული მუსლიმანური აგრესიისაგან, და თუ ვახტანგ მეექვსის ნათქვამს გავიმეორებთ, საქართველო ფოცხვერის კლანჭებისაგან უნდა გამოეგლიჯა.

ეს ასეც მოხდა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, როცა რუსეთთან შეერთებამ იხსნა საქართველო ფიზიკური განადგურებისაგან, მაგრამ იმ დროს, მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, რომელსაც გურამიშვილი აღწერს — ჯერ კიდევ არ იყო პირობები მომწიფებული ამ შეერთებისათვის. გურამიშვილიც, ასახავს რა ამ ვითარებას, წუხს, დარდობს იმის გამო, რომ ქვეყნის ხსნის საქმე ამჯერად კვლავ შეფერხდა, კვლავ შემოსეული მტერი არბევს საქართველოს მიწა-წყალს; ამიტომ არის მისი თხრობის კილო ესოდენ აღელვებული, განგაშით სავსე, ყოველ სტრიქონში ისმის ბორკვა, სასოწარკვეთილება, მწუხარება სამშობლოს ბედზე, რომლისკენაც სიკვდილის საშინელი ხელები გამოწვდილან და გაქრობას უქადიან. ამ განსაცდელში, შეერთების ნაცვლად, ქართველები და კახელები ებრძვიან ერთიმეორეს, მათი ფეოდალები არბევენ ერთიმეორის მიწა-წყალს და ამ სურათს, შუბლზე ჭირის ოფლით, მწუხარებით შესცქერის პოეტი და მოსთქვამს:

ქართლის ჭირსა ვერვინ მოხთვლის,  
თუ არ ბრძენი, ენა მჭევრი!  
იფქლი ღვარძლად გადაიქცა,  
ზედ მობრუნდა ცეცხლის კევრი..  
ამ ამბის თქმა გარჩევითა  
გულმა ამად არ მინება,  
ბევრი ავი გამოჩნდების  
ჩვენი, მასზედ მერცხვინება.  
მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი  
სატყვიარი არა ჰფარავს,  
მეტად მწარედ გული მტკივა,  
მაურთოლებს და ტანში მზარავს.  
აწ რომ ავი არ ვაძაგო,  
კარგი როგორ უნდა ვაქო?  
ავს თუ ავი არ ვუწოდო,  
კარგს სახელად რა დავარქო?

ასეთი საშინელი ტკივილებით წერს დავით გურამიშვილი თავის პოემას. ის ჰკმობს ერის მოღალატეებს, მამხილებლის როლში გამოდის და მორალური განწმენდის პროგრამასაც აყენებს. მისი მიზანი მარტო ის კი არ არ-

ის, დაჰკმობს და შეაჩვენოს ისინი, ვინც დამნაშავეა შეგინებული და აოხრებული სამშობლოს წინაშე. პოეტი, ამავე დროს, ცდილობს გამოაღვიძოს ქართველები სწორ გზაზე გაიყვანოს ქვეყანა:

ადექ, ადექ, ნულარ სწევხარ,  
ზეზე წამოჩეო.  
თავს გვეღების ქურდ-მპარავი,  
მას უდარაჩეო.  
გაუფრთხილდი, არ დათხაროს  
შენი საუნჯეო.  
ადე, ადე, არ დასზარდე,  
რაც დაგპატიუეო,  
ნუხვალ გზასა უკეთურსა,  
ნურ გარდიქაქეო.


გურამიშვილის ნაწარმოებები — „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და ბჭობა, ერთმანეთის ძვირის ხსენება“, „ადამის საჩივარი“, „სულის ამბავი“, „ახა, წმინდა კობალე“, „სწავლა თავის გაფრთხილებისა, და შორს წასვლაზე მზადყოფნისა“, და ბოლოს პოემა „ქაცვია მწყემსი“ აღძრვენ ადამიანური ცხოვრების უაღრესად რთულ საკითხებს; გურამიშვილის მისწრაფებათა შორის ყველაზე ძლიერია წყურვილი სიცოცხლისა, სიყვარულიც, მას ფართო ქვეყანა უნდა, გაშლილი სივრცე, მას თავისუფლება უნდა, რათა ადამიანს არავინ არ სჩაგრავედეს. პოეტმა იცის, რომ ფიზიკურ სიკვდილთან ერთად იგიც ვაჰქრება, ამიტომ ისევ ამქვეყნიურ უკვდავებაზე ზრუნავს. ეს მისწრაფება ნათლად ჩანს მის ლექსში:

თუ არ შევკრებ და არ ვუძღვნი  
ყრმათ ია-ვარდის კონებსა,  
ცოცხალიც არვის ვახსოვარ,  
მკვდარს ვილა მომიგონებსა.

მოსაგონებლად უტოვებს შთამომავლობას თავის ლექსებს, ადგენს სარწყავი არხისა და წისქვილის პროექტებს, რომ მხენელსა და მთესველს შეღავათი მიეცეს, რომ გლეხკაცი გვალვას ადვილად გაუმკლავდეს, უზვი ჭირნახული მოიყვანოს და გურამიშვილის სახელი მადლობით მოიხსენიოს. აი, აქ არის უკვდავება, ესაა იმედი, რომ ცუდად არ ჩაივლის განწირულის სულისკვეთება და მომეს ეკლიანი გზის გავლა გაუადვილდება.

ამით დაიძვიდრა გურამიშვილმა მარადიული სიცოცხლე თაობათა ხსოვნაში; მის ღვაწლსა და ამაგს დღეს ზემოთ აღნიშნავს საბჭოთა ქვეყანა, რომელიც მადლობით იხსენებს ჩვენს დიდ წინაპარს, შორიდან რომ შეტრფოდა იმ სინათლეს, იმ მზეს თავისუფლებისას, რომელიც ახლა მთელი ძალით ბრწყინავს ჩვენს სამშობლოში.





თბილისის 61-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ჯივალ გურაშვილი გაკვეთილზე.

მასწავლებელი იღვწის უკვლახე საზასუსისმცებლთა წმინდის გადაწვევისათვის — იგი სჯავლებს ჰიროგნებას.

მიხეილ კალინინი

გონიერსა მწვრთნელი უკვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს.

შოთა რუსთაველი

ის მასწავლებელი, რომელიც ასერსებს საქმისა და მოსწავლისადმი სიუკარულის შერწყმას, ჰემმარიტი მასწავლებელია.

ლევ ბოლსოვი

მზრდელი ერმისა მეორე შემოქმედი.

ილია ჭავჭავაძე

სამშობლოს უკვდავების საქმეში ჰირველი და გადამჭრელი სიტევა მასწავლებლის ეკუთვნის.

ნიაო კაცხოვალი

ვინც ასწავლის, უფრო მეტი ოსტატია, ვიდრე ის, ვინც ქმნის.

ხალხური

აქთანდილ გურაშვილი

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

გლებო, წელში მოხრილო, გლებო, წელგამართულო, ვაზთან მუხლებმოყრილო უმაღლესო ქართულო — ეგ ხელები ხეს თუ ბუჩქსო, რამდენჯერ ეფერა... ვინ გასწავლა ეგ შრომა? — ვინ და მასწავლებელმა!

მუშავ, გულანთებულო, მუშავ, მკლავმოუღლელო, ჩემი ქვეყნის ღვინიავ და გამწვეო უღლეო, — დგახარ ცეცხლთან, დაზგასთან, როგორც ვაჟკაცს შეჭფერის... ვინ გაძლედა ამ რწმენას? — ვინ და მასწავლებელი!

კოსმონავტო, ცამდე რომ გაგვარდნია სახელი, ნეტა მაგ სიმალღეზე

რანაირად ახველი, — არ შეგაკართო ლაჟვარდის უხილავმა კედელმა? ვინ გასწავლა ამდენი? — ვინ და მასწავლებელმა!


თმაჭალარა სწავლეულო, ბრძენო მრავლისმნახველო, ჩვენი ქვეყნის გადამც მოგიზგიზე სახელო, — დგახარ როგორც სალი კლდე, როგორც ციხე ბებერი... ვინ გაძლედა ამ ძალას? — ვინ და მასწავლებელი!

აი, ვზივარ... ლექსსა ვწერ, ცის თავანი იღება, სულში ულამაზესი მადლობის მზე იღვრება, — ვინ მასწავლა ანბანი,

ანდა ლექსი — პეპელა, ვინ მაჩუქა ზღაპარი? — ვინ და მასწავლებელმა!

არა მარტო სხვას და სხვას, არა მარტო მე და შენ, ჰყავდა მასწავლებელი მამაშენს და დედაშენს; ვინ ანათებს მზესავით, ვისი შუქი გვებევრა? ვინ გვასწავლა ცხოვრება? — ვინ და მასწავლებელმა!

თუ ვინმეა ამქვეყნად, იგი არის, რაც არის: სიყვარულსაც გვასწავლის, სიხარულსაც გვასწავლის, — დგას უკვდავი ფერია, როგორც მზე-ქალს შეჭფერის... თვითონ მასწავლებელსაც ჰყავდა მასწავლებელი!



# გაგონება გაგონება სახეები

გვერდ  
სანიშნა

მოთხრობა

მხატვარი  
ჯ. ლოლუა

## I

ავვისტოს მიწურულს სამი დღე და ღამე გადაუღებლად წვიმდა. მერე ქარკეთილმა წამოუბერა, ღრუბლები გაფანტა, მზემ გამოანათა და ზაფხულის ხანგრძლივი ფვალვით შეწუხებული დაყმენილ-დაყურსული ვენახიც გამოცოცხლდა. ფერმიხდილ ფოთლებს გაზაფხულისებური სიმწვანე და სინორჩე მოეძალა, დამჭკნარი, დაშრეტილი მარცვლებიც თვალდათვალ გაივსო, გაიჭექა, ჭერ აიძვრა, შეფორაჯდა, მერე თანდათან დაიწმინდა, გაკრიალდა, გაკამყამდა; მტევნებიც შეიკრა. კუმისი გახდა, მწიფობაში შევიდა. მწიფობელებიც მოფრინდნენ, საამო კრუალ-კრუალით მოედნენ არემარეს.

სართვლო სამხარისოში გართული გლეხები ღიმილით შესცქეროდნენ მოზრდილ შავ-ჭრელ ფრინველებს. ამბობდნენ: მშრომელი ჩიტები არიან, ყურძენს ამწიფებენ, შრომაში გვეხმარებიანო. მწიფობელები ამართლებენ გლეხკაცის სიყვარულს: მთელი დღე ისე დაჰფარფატებენ დახუნძლულ ვენახებს, ერთხელაც კი არ დაჰკენკავენ შეთვალულ მტევნებს. ეს რომ ასეა, ყველამ როდი იცის და, მართალი გითხრათ, არც მე ვიცოდი, ერთი საბედისწერო შემთხვევის გამო ფავიგე და სამუდამოდ დამამახსოვრდა.

იმ ახალ ნაწვიმარზე, სახლიდან ოდნავ მოშორებით, კოლმეურნეობის ფერმის გვერდით მდებარე ვენახში ჩავედით მე და დათა ბაბუა. ძლიერი ქარისაგან წაქცეულ, გადაფერდებულ ძირებს ფეხზე ვაყენებდით, ვასწორებდით, ჭიგოზე ვამაგრებდით, რომ მზეს არ დაეკრა და შეთვალული, კუმისი მტევნები არ დაეთუთქა. მუშაობაში გართულებს მწიფობელები ისე ტკბილად დაგვმლერდნენ, ვენახიდან გამოსვლა აღარ გვინდოდა.

შუადღემ რომ მოატანა და მზემ დააჭირა, ბაბუა შუა ვენახში ჩამოჯდა, პაპიროსი გააბოლა, ერთხანს ვაზის რიგებს გაჰყურებდა გარინდებული, მერე მე დამიძახა, — გელა, აბა ერთი აქ მოდიო. მივედი: მას თავი არ მოუბრუნებია ჩემსკენ, ისე მითხრა, — მოდი აქ, ჩემს გვერდით დაჯექიო. მე ახალთახალი შარვალი მეცვა და, მართალი გითხრათ, ცოტა დამენანა ატალახებულ მიწაზე მისი დასვრა, მაგრამ უარი ვეღარ ვუთხარი, მივედი და გვერდით მოვუჯექი. ბაბუამ ხელი ქოჩორზე გადამისვა და მითხრა: აბა, ჩემო გელა, გაიხედე, რიგებს თვალი გააღდევენ, რა სილამაზეაო! მეც თვალი გავაღდევენ ლარივით გაჭიმულ რიგებს. მართლაც თვალწარშტაცად იყო მსხვილ-მსხვილი მტევნები ერთიმეორის მიყოლებით ჩარიგებული და ქარმოწმინში ლალად ირხეოდა. ზღაპ-

რული რამ არის-მეთქი, ვუთხარი ბაბუას. ბაბუამ მშვიდად ჩაახველა, გაიღიმა და თქვა: — მარტო ვეცდები ტკბობა არ ქმარა, ჩემო გელა, ამიერიდან თვალიც ტკბობაზე დასაყ უნდა მიეჩვიო.

ბაბუა ცოტა ხანს დუმდა, რაღაცაზე ფიქრობდა, მერე ისევ მე შემომხედა და განაგრძო: — როდესაც კაცს თვლით ტკბობის უნარი უჩლუნგდება, მუცლით ტკბობის უნარი უცხოველდება და ძირუტყვს ემსგავსება, ისე, როგორც აი, ავერ ჩვენი პატივცემული ბეყეთა, — ჩაიჭირქილა და ხელი შარავნისაკენ გაიმწვინა, საიდანაც ჯანრთული და ჰკუნაყლოლი ბეყეთას დათვისებური ბურღლუნი მოისმოდა, ვილაცას ელაპარაკებოდა. არ ვიცი, ვინ შეარქვა მას ეს სახელი, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ შერქმეული სახელია და სოფელში ყველა ბეყეთას ეძახის. ბეყეთას ჯანი არ აკლია და ღონე, ფერი და ხორცი, არც მუშაობა ეზარება მთინცდამთინც. ოღონდ ეს არის, მხოლოდ და მხოლოდ ჭამაზე ფიქრობს, მისი ორი თვალი სულ საკბილოს დაეძებს. რასაც კი მოიხელოთებს, გულდასმით აყვირდება, საქმელად თუ გამოდგებაო. თუ საქმელად არ ვარგა, მისთვის აღარაფერს კაპიკის ფასი აღარა აქვს — არ იჭმევა და რა თავში ვიხლო.

სახედაჭურული ბაბუა ერთხანს ყურს უღებდა ბეყეთას ბურღლუნს, მერე ერთ დახუნძლულ ვაზს ძირზე აუსვა ხელი, ფოთლებსა და მტევნებზე მიელაციცა, მოეფერა. მხოლოს დინჯად წამოდგა და მითხრა: ახლა შინ წავიდეთ, დღეს დავისვენოთ, ხვალიდან კი გოდრების შეკეთება უნდა დავიწყოთ, ორიოდე კვირაში ზვარი დასაჯრეფი იქნება და ჩვენც მზად უნდა ვიყოთო.

ჭიშკრისაკენ გავეშურეთ. ნაპირზე რომ გამოვედით, უცებ თვალში მომხვდა ნაკენკი, გაძლიერებული მტევნები. როგორც სახეს ნაყვავილარი, ისე აჩნდება და აუშნოებს კუმს მტევნებს ნაკენკი. ბაბუას არ სიამოვნებს დაკენკილი მტევნების ცქერა. აქა-იქ მარცვლების შეცლას ჯობს მთლიანად მოწყვიტო მტევანი, დაკენკვა მთელ ძირს აუშნოებს და დახუნძლული ვაზის სილამაზის შებღალვა ბრალიაო, ამბობს ხოლმე. და ახლა, როცა უზომოდ დაკენკილ მტევნებს მოგყარი თვალი, ბაბუას ეს სიტყვები გამახსენდა და წინ მიმავალს გაეძახე:

- ხედავ, ბაბუა, რა უქნიათ მწიფობელებს?
- რა უქნიათ?
- ყურძენი უყენკიათ, ზოგ ძირზე. თითო-ოროლა მტევანია დაკენკილი, ზოგი ძირი კი მთლიანად გაუცლიათ.
- მწიფობელებს გაუცლიათ?! — გაიკვირვა ბაბუამ, მობრუნდა, მტევნებს დააკვირდა, მერე მე შემომხედა და მისაყვედურა: — მწიფობელები რომ ყურძენს არ ჭამენ, არ უნდა იცოდენ?
- არ ჭამენ?
- ჭამენ კი არა, ახლოსაც არ ეკარებიან, ეს როგორ არ იცი — სოფელში დაიბადე და გაიზარდე.
- აბა რა შეჭამდა?
- ნამდვილად ძაღლის ნაჭამია, ბაბუა, თუ არ ჩავუსაფრდით და საფანტით ზურგი არ ავუწვივით, რახან ყურძნის გემო გაიგო, მთლად ამოგვიგდებს ვენახს.

## II

შინ მივედი თუ არა, „ცენტრაალკა“ კედლიდან ჩამოვიღე, გულდასმით გავწმინდე, გავაპირალე და ისევ კედელზე დავკიდე პირით ზევით, ისე, როგორც ბაბუამ მასწავლა აღრიანი გაზაფხულის ერთ ღრუბლიან დღეს. ახლაც თვალწინ მიდგას ის დღე. ბაბუა ვენახს სხლავდა. მე კი მეზობლის პატარა ბიჭს შურდული გამოვართვი და თავის შესაქცევად ვენახის ნაპირზე, აკაციისა და კუნელის სტეს დავუყვევი, დათაფლულ კუნელზე გაწუწავ-

ბულ ჩიტებს მიზანში ვიღებდი. ის იყო, ერთი მაღალი კუნელის კენწეროში გულწითელა მიზანში ამოვიღე, რომ ბაბუამ დამიძახა: — გელა, მოდი აქ! ბაბუას ხმის გაგონებზე გულწითელა გაფრინდა. მე შურდული ძირს დავუშვი, მრგვალი, პრიალა კენჭი ჯიბეში ჩავიღე და ბაბუასთან მივირბინე.

— ეს რა გაქვს ხელში, ამას რას ვხედავ, რალა დროს შენი შურდულია, დავიღუპე კაცი და ეს არის! — შეიცხადა ბაბუამ.

— ეს ნათხოვარი იარაღია, თოფი არა მაქვს და დამიზნებაში ხელს ამით ვიწაფავ, — სიცილით ვუთხარი და თვალი იქვე ბლის ხეზე აყუდებული „ცენტრალკისა-კენ“ ვავაპარე. ბაბუამ ხმამაღლა გაიცინა, შე ეშმაყო, შენაო, მითხრა და ცოტახნით ჩაფიქრდა, იქაურობა მოათვალიერა. მერე ჩემსკენ მოიხედა და წყნარად თქვა: კაცმა ჯერ შრომა უნდა ისწავლოს, იარაღს მერე უნდა მოკიდოს ხელი და დამიზნებაშიც მერე უნდა გაიწაფოს. მე ხმა არ ამომიღია, ისევ იმ „ცენტრალკას“ ვუყურებდი.

— გელა, შენ ახლა რამდენი წლისა ხარ? — მკითხა ბაბუამ მოულოდნელად, თანაც ისე სერიოზულად, თითქოსდა ჩემი გამზრდელი ბაბუა კი არა, ვიღაც უცხო მოხუცი ყოფილიყოს. ვიფიქრე, ალბათ მეხუმრება-მეთქი და ყოველი შემთხვევისათვის ვუთხარი, თოთხმეტი წლისა ვარ-მეთქი.

— თოთხმეტისა?

— კი, თოთხმეტის.

— ჰოო! დიდი ბიჭი ხარ, დროა კაცურ საქმეს შეეჩვიო, ვენახის გასხვლა, მისი მოვლა-პატრონობა ისწავლო, მერე თოფ-იარაღის ხმარებაშიც გაიწაფო... დროა, დრო! — ისე ხმამაღლა თქვა უკანასკნელი სიტყვები, თითქოს ვილაცას უწყრებოდა ურჩობისათვის. მცირე ხნით ჩაფიქრდა. მერე დაყოყნოილი ხელი გაუსხლავი ვაზებისაკენ გაიშვირა და მითხრა:

— იმ ვაზებს ხომ ხედავ, აბა, კარგად დააკვირდი. რას ამჩნევ, როგორი ვაზებია?

მე მხრები ავიჩეჩე.

— როგორი ვაზებია, სუსტი, ძლიერი თუ საშუალო?

— ვერა, ვერ გამოვიცნობ-მეთქი, ვუთხარი და თავი დავღუნე.

— მაშ მომისმინე, — მითხრა ბაბუამ, ერთ ძირ ვაზს ხელი მოჰკიდა, კარგა მაგრად შეარხია და განაგრძო: — ხომ ხედავ ამ ვაზს, როგორ ბოძივითაა ჩასობილი მიწაში, ეს ძლიერი ვაზია, ფესვი ღრმად აქვს ვადგმული. ამას ისიც მოწმობს, რომ სამამულო რქა მსხვილი აქვს, დაბრაწული. რაკი ამაში დავრწმუნდებით, ვიწყებთ გასხვლას. ჯერ სამხრე რქებს ვარჩევთ, ორ მხარსა და ორ ნექს ვატანთ. თითო მხარზე ექვსი სამუშაო კვირტია, თითო ხეზე კი — სამი კვირტი. ესე იგი სულ ვუტოვებთ 18 სამუშაო კვირტს. ყოველი კვირტი თითო ან ორ მტევანს მაინც გამოიტანს, ეს კი 25-30 მტევანი მაინც იქნება და ეს დაბორჯილი ძირი სულ იოლად გაზრდის და დამწიფებს ამდენს. — დაასრულა ბაბუამ და სულ რამდენიმე წუთში ოსტატურად გადასხება ვაზი. მხოლოდ ორი მხარი და ორი ნექი დაუტოვა. მერე უფრო წვრილ ძირთან მივიდა. შეარხია, და დაიწყო: — აბა, ამას დააკვირდი. ძირი წვრილი აქვს, სამამულე რქაც არა აქვს მაინც(დამაინც მსხვილი, ესე იგი ეს საშუალო ვაზია. ერთ მხარს — ექვს კვირტიანს და ერთ ნექს — სამკვირტიანს დავატანთ, სულ 9 კვირტი იქნება, 10-15 მტევანს მაინც გამოიტანს, გაიგე? — გამიღიმა და სასხლავი მაკრატელი გამომიწოდა. — დაიჭი და ახლა შენ გასხალი ერთი ძირი.

— მე?! — გავიოცე.

— შენ, ჰო, შენ! რას გაიკვირვე! შენ უნდა გასხლა,





შენ უნდა მოუარო ამ ვენახს, მე რომ აღარ ვიქნები. აბა, დაიწყე!

მე ერთ მოზარდილ ვაზს ავხედ-დავხედე, მის ბოძით დასობილ, ხავსიან ძირს ხელი ფრთხილად მოვკიდე, ოდნავ შევარბიე...

— რას ეპარები, თამაშად მოსინჯე ძირი, მაგრა შეარბ-შემოარბიე, ხავსიც შეაფშვინი, გატლონგე, რომ მავნებელმა მწერებმა თავი ვერ შეაფარონ, მერე მუელდექი სხვლას, ვაზმა უნდა იგრძნოს ნამდვილი პატრონის ხელი, — დაამთავრა ბაბუამ და მეც ვაზს ხელი მთელი ძალით ავუსვ-დავუსვი, ხავსი შემოვაცალე, გავალამაზე, მერე სამამულე რქებს დავაკვირდი. ერთ მსხვილ, დაბრაწულ მხარზე 6 კვირტი დავთვალე და გადავჭერი, მერე მეორე რქა შევარბიე, 3 კვირტზე გადავჭერი და ბაბუას მე-ვხედე. მან ღიმილით მითხრა, კარგია, ძალიან კარგია: ახლა დანარჩენები ძირში პირწმინდად გადასხიბე და მზად იქნებაო. მეც მყისვე შევუდექი დანარჩენების გადასხიბვას და, როდესაც მოვრჩი, ზვარს გავხედე, თვალი ძლივს გავუწვდინე ლარივით გადაჭიმულ რიგებს და გულში გავიფიქრე: — ყველა ძირს ასე უნდა შეეხოს ხელით, ყველა ძირზე უნდა დათვალოს სამუშაო კვირტები და მერე გადაჭრას, გადასხიბოს. მერე და რამდენია! აუჰ, რამდენი! წარმოვიდგინე, თუ რამდენს მუშაობდა ბაბუა და მისდამი პატივისცემის, მოკრძალების, ენით გამოუთქმე-ლი, ჯერ არავანცდილი გრძნობა დამეუფლა. თითქოს ბაბუ-აც მიმიხვდა, რასაც ვფიქრობდი, ახლოს მოვიდა, ქოჩორ-ზე ხელი გადამიხევა და მითხრა, — დღეს ეს გეყოფა, ოლ-ონდ, რაც გასწავლე, კარგად დაიხსომე, დაგჭირდება. ახ-ლა კი ის თოფი მომიტანე, ეგერ ხეზე რომ არის აყუდე-ბულიო. მე მივუტანე. ბაბუამ თოფი ხელში აიღო, კონდა-ხი მარჯვენა მხარზე მიიბჯინა, ცალი თვალი მოჭუტა, ცა-ლით სამიზნეს გახედა და მითხრა: აბა. კარგად დააკვირ-დი, როგორ მიჭირავს, როგორ ვუმიზნებ და მერე შენც ასე დაიჭირეო. ცოტა ხნის შემდეგ ბაბუამ შეყენებული ჩახმახი დაუშვა და თოფი გამომიწოდა. მეც ზუსტად ისე მივიბჯინე კონდახი მარჯვენა მხარზე, თვალის ზუსტად ისე მოვჭუტე და გავუმიზნე. კარგიაო, თქვა ბაბუამ, ჯერ კუნელისაკენ გაიხედა, მერე მე მომიბრუნდა და მითხრა: — აბა, ახლა ჩახმახი შეაყენე, წამით სუნთქვაც გაკ-მინდე და იმ ჩხართვს ესროლე, კუნელის კენწეროზე, რომ ზისო. მეც მყისვე შევაყენე ჩახმახი, სუნთქვა გაკ-მინდე, გულდასმით გავხედე სამიზნეს, ვესროლე და ჩხართვიც ფარფატიტ დაეშვა ძირს.

— ყოჩაღ! ძალიან კარგი მიზანი გაქვს, — აღტაცებით წამოიძახა ბაბუამ. — ხომ იცი, ჩვენი სოფელი მთისპირ-ა სოფელია, ნადირი ზოგჯერ ეზოშიც კი შემოვარდებდა ხოლმე და თოფ-იარაღის სმარება უნდა იცოდე.

აი, იმ დღის შემდეგ თვალისჩინივით ვუვლი ამ თოფს. როცა საჭიროა, კედლიდან ფრთხილად ჩამოვიღებ ხოლ-მე და ახლაც, რომ დამჭირდა, ჩამოვიღე; გავწმინდე, გა-ვპარიალე, გავამზადე და, დაღამდა თუ არა, მხარზე გა-დავიკიდე და ვენახისაკენ გავსწიე.

### III

ცოტა ხნის შემდეგ ბაბუაც ჩამოვიდა ვენახში. ერთი მოხერხებული საფარი ამოვირჩიეთ; სახელდახელოდ მოვაწყეთ, მოვასამაგისეთ და დავსხედით. ბაბუამ სათუ-თუნე ამოიღო, პაპიროსი გაახვია, მოუყიდა. ერთხანს ორივენი ვდუმდით, მთვარით გაქათქათებულ სივრცეს გავყურებდით, მერე ბაბუამ პაპიროსის ნამწვავი შორს მოისროლა და წამოიწყო:

— ა, ჩემო ბატონო, ხათაბალა თუ გინდა, ეს არის. კაცს გიშრომია, გიწვავია, ოფლი გიღვრია, მოსავალი მოგიყვანია და ახლა უნდა უდარაჯო, ღამე უნდა უთიო

მენს ნაწვავ-ნადაგს. არ უდარაჯებ და მთე-ლი წლის ნაშრომი წყა-ლში ჩაგყვრება. რა გა-ეწყობა, ბაბუა, ძნელია მოსავლის მოყვანა, მა-გრამ, კაცმა რომ თქვას, იმიტომ, რომ მოსავა-ლი მხოლოდ პატიოსან, მშრომელ ადამიანს მო-ყავს, მოყვანილი მოსა-ვალი კი ყველას უნდა

— უქნარას, გაიძვერას, საქმოსანს, ნადირს, ფრინველს, ცხოველს, მწერს... ყო-ველ სულიერს მისცენ უჭირავს თვალი. რას იზამ, ჯერ-ჯერობით ასეა და, რახან ასეა, ყველა თავის ნაოფ-ლარს უნდა გაუფრთხილდეს, — დაასრულა ბაბუამ და ისევ მთვარით გაქათქათებულ სივრცეს ვახედა. შორს, მდინარიდან და წყარო-მინდვრებიდან ბაყაყების ყიყინი ისმოდა, რომელსაც კრუთალების ნაღვლიანი კრუთალი სევდისმომგვრელად ერთეოდა. მე და ბაბუა სულგაქმენ-დილი ვუსმენდით მთვარიანი ღამის ამ მომაჯადოებელ სიმფონიას. უცებ შორს, აღმოსავლეთით, გაჩახახებულ ცისკიდურზე ვარსკვლავი მოწყდა, ცაზე ელვარე ზოლი დააჩნია და უშალ გაქრა. ასეთი რამ არ მინახა და განც-ვიფრებულმა შევძახე:

— ხედავ, ბაბუა, ვარსკვლავი მოწყდა, ვარსკვლავი!

— მერე რამ შეგამინა, აღარ იდარჩა ცაზე სხვა თუ?

— ღიმილით მომიგო ბაბუამ და მოკრიალებულ ცას გა-ხედა, სადაც უამრავი ვარსკვლავი ციმციმებდა. — ავ-რეა, ჩემო ველა, ეგ მოწყდა და სხვა იდარჩა; მერე სხვა მოწყდება, ჩამოვარდება, და კიდევ სხვა დარჩება და ასე სულ ივამჯამებს ეს ცა, ეს ვარსკვლავები, ეს დედამიწა. დაილოცოს მაგათი გამჩენი, დაილოცოს! — დაამთავრა ბაბუამ და ჩამავალ მთვარეს დაუწყო მხერა.

მთვარე ჩავიდა თუ არა, ჩამობნელდა. კრუთალებმაც ხმა გაქმინდეს, ბაყაყების ყიყინიც მიწყნარდა. ბაბუამ დაამთქნარა და ჩაილაპარაკა: — წავიდეთ, ალბათ აწი აღარავინ მოვა, თუ მოსასვლელი იყო, აქამდე მოვიდო-დაო. წამოდგა და ხელი ნაბიჯით გაუყუვა ჭიმკრისაკენ მი-მავალ ბილიკს. უეცრად, ოდნავ მოშორებით, ვაზი შეირხა და ამკარად მომესმა, თუ როგორ ცვიოდა ყურძნის მარ-ცვლები მიწაზე. თოფი მოვიმარჯვე, რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი იქითკენ და ბნელში დავინახე ვაზზე ასვეტი-ლი რალაც შავი ლანდი. ჩახმახი შევაყენე, დავუმიზნე და ვესროლე. ვიფიქრე, ძალღია და, საფანტი რომ მოხვდე-ბა, იკივლებს-მეთქი. მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, არაფრის ხმა არ გამიგონია, მხოლოდ ბაბუას ხმა მომესმა: — ახ-ლოს არ მიხვიდე, დაჭრილი ყოველთვის გამწარებული, გააფთრებულია და არ დაგზოგავსო. მე გულმა მაინც არ მომიტმინა და ნელ-ნელა, ფრთხილად მივუახლოვდი იმ ვაზს, მოვათვალიერე იქაურობა, მაგრამ ვერაფერი მოვ-ლანდე. ასანთი გავკარი, მტევნები ახალი ნაჭამი იყო. მარ-ცვლები მიწაზე ეყარა. ზოგი მტევანი მთლიანად იყო გაც-ლილი, მარტოოდენ ძლამბლებიღა ეყიდა. ამასობაში ბა-ბუაც მოვიდა: იმანაც გულდასმით მოათვალიერა იქაუ-რობა და ვერაფერი რომ ვერ ნახა, თქვა: — ნამდვილი გაქნილი ყაჩაღი ყოფილაო. მცირე ხნით გაჩუმდა. მერე დაყვავებით მითხრა:

— არა უშავს, ბაბუა, ეგ არაფერია, დღეს ვერ მოარ-ტყი, ხვალ უფრო კარგად დაუმოხნე და მოარტყამ. ახლა წავიდეთ, რახან ამჯერად საფანტს გადაურჩა, ამაღამ აქეთ პირს აღარ იზამს ის ავაზაკი.



მეორე დღეს მზე ჩასული არ იყო, საფარში რომ მივედი. ფუჩიჩი და ვევე, შარავზის გადაღმა ფერმის ეზოში დავიწყე ყურება. უცებ ვილაყამ თვალეზე ხელები ამაფარა. ვინ ვარ, გამომიცანიო, ბოხი, ჩახლენილი მამაკაციური ხმით მითხრა და გაინაბა. ჩემდა უნებურად ხელები ჩემს თვალეზე აფარებულ ხელებს შევავახე და ის ხელები ისეთი რბილი, ნაზი, სურნელოვანი და თბილი იყო, რომ რაღაც ღვთიური სიამოვნება ვიგრძენი, ყრუანტელმა დამიარა, ენა დამემა, ხმა ვერ ამოვიღე. გულმანით მიეხვდი, რომ ეს ღია იყო, ჩემი კლასელი ღია ალავიძე. მინდოდა მისი პატარა ხელები დიდხანს მქონოდა თვალეზე აფარებული და არ გავნძრეულვარ. ღია კი უფრო და უფრო ძლიერ მიჭერდა თვალეზე ხელებს და ბოხი ხმით იმეორებდა, თუ გამომიცნობ, ვინა ვარო. უცებ ფერმის ეზოდან გაბმული ძახილი მოისმა:

— ღიაა, ღიაა!  
 — უი, დედაჩემი მეძახის, — წამოიძახა ღიამ, ახლა უკვე თავისი ხმით, თვალეებიდან ხელები მომამშორა და აკისკისდა: — ხომ ვერ გამოიციანი, ხომ ვერ გამოიციანიო. მერე მკაცრი სახე მიიღო და მკითხა:

- აქ რას აქეთებ?
- ვენახს ვდარაჯობ.
- ვენახს რა დარაჯობა უნდა?
- ქურდი შემოეჩვია.
- ქურდი?
- ჰო, ქურდი.
- ვინ იქნება?
- რა ვიცი.
- ის იქნება, სხვა ვინ იქნება, აბა?
- ვინ ის?

ღიამ აქეთ-იქით გაიხედა და ხმადაბლა თქვა:  
 — კაკო იქნება, აბა სხვა ვინ მოიპარავს ყურძენს.  
 — კაკო?


— ჰო, კაკო ხეცადე იქნება, ის ხომ ქურდობისათვის ორჯერ იყო დაჭერილი.  
 — ჯერ ერთი, კაკომ ქურდობას კარგა ხანია თავი დანება, ეგერ ფერმაში მუშაობს პატიოსნად; მეორეც, ვენახს ძალი შემოეჩვია და არა კაცი.

— ძალი?  
 — ჰო, ძალი შემოეჩვია, ყურძენს ჭამს და თოფი უნდა ვესროლო.  
 — შე რომ მოვიპარო ყურძენი, მეც მესვრი თოფს?

— მკითხა ღიამ და ეშმაკურად გაიციხა. მეც გამეციხა. ამ დროს კვლავ გაისმა ძახილი: — ღია, ღიაა!  
 — დედა მეძახის, უნდა წავიდე, — თქვა ღიამ, ბილიკზე გაიქცა, ლობეს მიეფარა და იკაუჩინარდა. გული დამიძიმდა, ჩემს სიცოცხლეში პირველად დამეუფლა რაღაცნაირი უთქმელი ტკბილი სევდა.

შეზინდებისას ღიას მამამ მიტა ალავიძემ და კაკო ხეცადემ შარავზაზე კოლმეურნეობის პირუტყვი ამოატარეს და ფერმაში შერევეს. მე კარგა ხანს ვიჯექი ფიქრებში წასული. ამასობაში მთვარეც ჩავიდა. სიბნელემ დაისადგურა თუ არა, ერთი ცაზი შეირბა. ისევ ამკარად გავიცოხნე, როგორ ცვიოდა მარცვლები მიწაზე. ფეხაკრებით მივეპარე. ისევ ისეთი შავი ლანდი დავინახე ვაზზე ასვეტილი. ახლა ორივე ჩახმახი შევაყენე და ორივე პირი ერთდროულად დავაყარე. მერე ვაზთან მივიჭერი. არაფერი არაა. ასანთი გავკარი, ეხედავ, ყურძენი ახალი ნაჭამია. გოგნებული იქვე, ვენახის ნაპირზე გამოვედი. ეკალ-ბარდები თოფის ლულით გადავწვ-გადმოვწვიე, ისევ გავკარი ასანთს, იქაურობა მოვათვალეირე და სტის სიღრმეში წამიერად თვალი მოვკარი ოთხფეხა ტანმორჩილ

სულიერს. იგი თვალისდახამხამებაში შეიკუმშა, დამრგვალდა, ბურთად იქცა და გაქრა. თვალეებს ვერ ვხედავდი, ხომ არ შელანდებამეთქი, ვიფიქრე.



ამ დროს ბაბუაც წამომადგა თავს.  
 — ისევ ვიმტყუნა მიზანმა?  
 — რა ვიცი, — დაბნეულად ცუბასუსხე. — აი, იმ ბურდებში რაღაც სულიერი შეიკუმშა, ბურთივით დამრგვალდა და გაუჩინარდა.

— შეიკუმშა, ბურთად იქცა და გაქრა? — ალელვებით თქვა ბაბუამ. — ძალი ეშმაკია, ბაბუა, ალბათ, შეშინებულმა ბურდებს შეაფარა თავი. დაიმალა, მოიძვუნტა და შენ ბურთად მოგეჩვენა. დამშვიდდი, შინ წამოდი.



მეორე დღეს, დილით, ჩვენს ჭიშკართან ძახილი გაისმა. ბაბუა იჯვრიდა და ეზოში თადეოში შემოიყვანა.

თადეოზ სალაძე ქალაქში ცხოვრობს, მაგრამ სოფელში ყველაზე დიდი სახლი, ყველაზე კარგად შემოღობილი ეზო და კარ-მიდამო მას აქვს. სოფელში ზაფხულობით შავი „ვოლგით“ ჩამოდის ხოლმე და სულ ქეიფობს, დროს ატარებს. მართალია, ბევრი ალმაცერად უყურებს თადეოზს, მაგრამ ზოგიერთი მარიფათიან, მშოვნელ კაცს ეძახის და პატივსაც სცემს. ბაბუას მაინცდამაინც არაფრად ეპიტნავენა თადეოზი, მაგრამ ამას ეგრერიგად არ ამჟღავნებს. მხოლოდ ერთი უცნაური ჩვეულება აქვს. როდესაც თადეოზთან ერთად ღვინოს დალევს, უთუოდ ამ სიმღერას წამოიწყებს:

მე ეს ჩემი სიმართლე  
 ჯავლაგვიტ მიმათრევს,  
 შენ კი შენი ტყუილით  
 მიჭჭრი შხუილ-შხუილით...  
 მაგრამ მაინც გაგასწრებ,  
 აგრე სწორა თუ ივლი...

იმ დღესაც, შეზარხოშდა თუ არა ბაბუა, ეს სიმღერა წამოიწყო. თადეოზს ამკარად არ ესიაშოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია. ცოტა ხნის შემდეგ ადგა, რაღაც მოიმიზეზა და წავიდა. ბაბუა კი ისევ ამ სიმღერას ღლინებდა, თან ჭურის საჩქველებს ასუფთავებდა. მე ჩუმად მივჩერებოდი.

— რაო, გელა ბიჭო, არც შენ მოგწონს ჩემი სიმღერა? — სიცილით მკითხა ბაბუამ.



სიმღერა მომწონს, მაგრამ რაღაცა გაუგებარია-მეთქი, ვუთხარი.

— რა არის, ბიჭო, აქ გაუგებარი: „მე ეს ჩემი სიმართლე ჩაგლაგივით მიმართევს...“ მე ვშრომობ, ოფლსა

ვღვრი, მოსავალი მომყავს, არავის არაფერს არ ვართმევ, არ ვპარავ, არ ვატყუებ. პური მაქვს და ღვინო ჩემი საწყობი, სახლიც მაქვს და კარიც, სტუმარს საყურადღებო ვხვდები, ქე ვცხოვრობ ჩემი სიმართლით. აგერ უფროსი ოზა სალაძე კი არც შრომობს, არც ოფლსა ღვრის, სხვის ნაშრომს, სხვის ჩაოფლარს იპარავს, კაცსაც ატყუებს და ქვეყანასაც, სასახლეები აქვს ქალაქადაც და სოფლადაც, კურორტიც აქვს და შავი „ვოლგაც“... და ა, ბატონო, „მიძქრის მშვილ-მშვილით“ თავისი ტყუილითა და გაიძვერობით წინ. აბა რა არის ამამი გაუგებარი. შე კაცო!

— ეგ კი გვიფე, მაგრამ თუ ის ტყუილით „მშვილ-მშვილით მიძქრის“ წინ და შენ კი „შენი სიმართლე ჩაგლაგივით მიმართევს“. როგორღა გავუსწრებ შენ?

— როგორ, ჩემო ბატონო და მე რომ ჩემი სიმართლე „ჩაგლაგივით მიმართევს“, ის გზა ისეთი ფართო, ისეთი სუფთა, ისეთი კრიალა, მყარი და საიმედოა, ფეხი არსად არ დამიცდებდა არასოდეს, ქე ვივლი და ვივლი შეუჩერებლად. ის კი „მშვილ-მშვილით“ რომ „მიძქრის თავის ტყუილით“, ისეთი გზით მიძქრის, გზა ისეთ ციკაბოზე, ისეთი უფსკრულის პირას გადაის, ოდნავ თუ ფეხი გადაუცდა, მერე მშვიდობით, ისე გადაიჩენება, ველარასოდეს ვეღარ წამოდგება. მე კი დიხჯად ვივლი, დავწევი და კიდევ გავუსწრებ. გაიგე?

## VI

მზე ჩავიდა თუ არა, „ცენტრალკა“ ავიღე და ჩემს საფარში გავჩნდი. ზუსტად ისე დავეჭექი, გუშინ რომ ვიჯექი და გულში ვნატრობდი გუშინდელის ზუსტად განმეორებას. მართლაც, ყველაფერი ზუსტად ისე განმეორდა, როგორც გუშინ, მთვარეც ისევე ისე ამოვიდა ცაზე, ფერმის პირუტყვიც მორეკეს, დაბეს, ჩამოწველეს, იდავეს, იყაყანეს, იცინეს... ერთი სიტყვით, ყველაფერი გუშინდელივით განმეორდა, ოღონდ ეს იყო, თვალეზზე ხელი არ აუფარებიათ ჩემთვის, არ უყითხავთ, თუ გამოიცნობ, ვინა ვარო. გულდაწყვეტილი გავყურებდი მსუბუქ ბურუსში გახვეულ არემარეს.

ჩავიღა მთვარე და მყისვე, საყდრულმა მყუდროებამ მოიცვა იქაურობა. ცოტა ხნის შემდეგ ერთი ვაზი შეიჩხა. თოფი შორიდან აღარ ვესროლე, რამდენიმე მეტრზე მივუახლოვდი და რას ვხედავ: ძალზე უფრო პატარა სულიერი უყანა ფეხებზე დამდგარა, წინა ფეხები ვაზის ფოთლებსთვის ჩაუვლია და ყურძენს თქლოფნის, ძლომბლავს. ჩახმახი შევაყენე და გავსროლე. დაეინახე, რომ ის რაღაც სულიერი ახტა-დახტა, შეიკუმშა, დამრგვალდა, ბურთად იქცა, ცოტაოდენზე გავგორდა და გაჩერდა. გაოგნებული ვიდექი, შორიასლო ვუყურებდი იმ ბურთს და ახლოს მისვლას ვერ ვხედავდი. ბურთი ადგილიდან არ იძვროდა. თოფში ვაზნები ჩავდე, ორივე ჩახმახი შევაყენე და ნაბიჯ-ნაბიჯ მივუახლოვდი. თოფის ლულა ვყარი, თან ჩექმიანი ფეხი დავაჭირე. ბურთი შეინძრა, გაიშალა და რას ვხედავ: ზღარბი. ჩვეულებრივი ზღარბი! სიხარულისაგან ხმამაღლა ვიყვირე: — ზღარბი ყოფილა. ზღარბი-მეთქი, და თოფი დავახალე. ზღარბმა შეკუმშვა სცადა, მაგრამ ამოოდ, ფეხები გაჭიმა... ამ დროს ბაბუას ხმა მომესმა:

— მამ ზღარბი ყოფილა, ჰა? უყურე შენ მაგ ქურდს, მაგ ბაცაცას, მაგ ავაზაკს! ხომ მიილო, რაც ეკუთვნოდა. ხომ არ შერჩა არამი ლუკმა ყაჩაღს. მაგრამ რად გინდა, რა! მაგას ზომ ჯალაბობა ეყოლება...

**დ**იას, ბატონი ლადო ბავშვების დიდი მეგობარი და მოამაგე იყო. იგი მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების V და VI რესპუბლიკური ოლიმპიადების სახვითი ხელოვნების გამოფენების ყიურისაც თავმჯდომარეობდა.

მისი მობრძანება სიხარულს გვანიჭებდა ესთეტიკური აღზრდის კაბინეტის თანამშრომლებს. ბავშვთა საუკეთესო ნახატების გადარჩევაშიც დიდ მონაწილეობას იღებდა და ხშირად თავადაც მოჰქონდა ნორჩი მხატვრების ნამუშევრები. ნიჭიერი ბავშვის „გამოჩენა“ დიდად ახარებდა; ბატონ ლადოსთან ხშირად მიდიოდნენ საკონსულტაციოდ მშობლები — აინტერესებდათ შვილების ნახატების დონე — „ტყუილად ხომ არ ბლავნისო“. ისიც დიდი ტაქტიკითა და სიტბოთი მოუწონებდა ან შეუსწორებდა, დაარიგებდა და ზოგიერთ ნახატს დაიტოვებდა. ეს დიდი მხატვრის დალოცვა იყო და იმას ნიშნავდა, რომ მომავალში ჩვენს გამოფენაზე აუცილებლად მოხვდებოდა ეს ნახატები. ამგვარი ყურადღება ყველა ნორჩ მხატვარზე თანაბრად ამალელებლად მოქმედებდა.

ბატონი ლადოს დაბადების 80 წლისთავზე მირთმეულ ადრესში ჩვენ ვწერდით, რომ ჩვენთვის დაუვიწყარია მისი დახმარება, ხელშეწყობა და ენთუზიაზმი, რამაც რესპუბლიკის ნორჩებისათვის ხელოვნების მუზეუმის დაარსების საშუალება მოგვცა. ჩვენს არქივში ინახება ბატონი ლადოს წერილი, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული ბავშვთა ხელოვნების მუზეუმის დაარსების აუცილებლობა.

1974 წელს ახალსახლობა ვიზიემთ ფილარმონიის ზედა სართულზე. პირველი ექსპოზიციის გახსნაზე ამაგდარი მხატვარი, ბატონი ლადო მოვიწვიეთ. ჩვენდა საწყენად, ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო ამ დიდ ზეიმს, მაგრამ მოგვილოცა და გვისუ-



# ლადო ბუღიაშვილი და ბავშვები

რვა ყოველთვის მზრუნველად და ფაქიზად მოგვევლო მუზეუმისათვის.

1976 წელს, 80 წლის საიუბილეო დღეებში ბავშვთა ხელოვნების მუზეუმის აქტივისტი მხატვრები ვასტუმრეთ დიდ მხატვარს. სიხარულით მიიღო ბავშვები მხატვრის ხელოვნება. მოზარდებმა უდიდესი სიყვარულის ნიშნად, სახელოვან იუბილარს თავიანთი ნახატები და ყვავილები მიართვეს, დაბადების დღე მიულოცეს და ხანგრძლივი სიცოცხლე, ახალი, დიდი შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს. მასპინძლის გულითადობით გამხსნეველი პატარა სტუმრები, სავარძლებში მოკალათებულნი, ყურადღებით უსმენდნენ დიდ ხელოვანს, რომელიც პატარებს უამბობდა თავის პირველ ბავშვურ შთაბეჭდილებებზე, თავის მხატვრობაზე და აგრეთვე სახელოსნოში გამოფენილი

ზოგიერთი ნამუშევრის შინაარსზე.

დიდ ხელოვანთან ყოფნამ მოზარდები აღაფრთოვანა, სურათების გადაღებისას მორცხვებიც კი გათამამდნენ. ყველას უნდოდა ახლოს მდგარიყო სათაყვანო მხატვართან. გამომშვიდობება გაუჭირდათ. აღარ ეთმობოდათ დიდი მხატვარი და თბილი, სიკეთით სავსე ადამიანი. ეს დღე დაუვიწყარი დარჩა ბავშვთა ხელოვნების მუზეუმის ნორჩი მხატვრებისათვის. მერე პატარებმა საკუთარ მუზეუმში ბატონი ლადო მოიწვიეს.

ამ დღეს მოუთმენლად ველოდით ძია ლადოს გამოჩენას. მასთან გადაღებული ფოტოების სტენდიც კი მოვაშაადეთ მის 80 წლისთავთან დაკავშირებით. ერთ-ერთ ფოტოსურათზე პატარა რუსუდან ფეტვიაშვილი თავის ნახატს სჩუქნის დიდ მხატვარს. მუზეუმის ამავე დარბაზში მოვაწყეთ



# ააჰო, ააჰი, რა ვიჭამოა?!

გამოფენა სახელწოდებით „დიდი მხატვრების ბავშვობისდროინდელი ნახატები“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. 16 წლის ლ. გუდიაშვილის ფერწერული პატარა ტილო თითქოს „მშვიდად გატრუნულ მწვანე ხავერდოვან გარემოცვაში სვეტნათელი საყდრის მრავალსაუკუნოვანი სხეულია. იგი თითქმის ცოცხალია უმრევლოდაც, რადგან ქართული სულის ნაწილია მტკიცედ შეკრული კედლებით, მწყობრი ხაზებითა და პროპორციებით, ჰარმონიული აღნაგობით“. აი, 16 წლის ელენე ახვლედიანის „ძველი თბილისის ერთი კუთხე“; 14 წლის ირაკლი გორდელაძის მეგობრული შარტები, 10 წლის გიგლა ფირცხალავას „კაცია-ალამიანის“ ილუსტრაციები, ირაკლი თოიძის ბატალური სცენები; ნ. ოქროპირიძის, გ. შიქაძის, ო. თავაძის, ე. ამბოკაძის, თ. მირზაშვილის, ე. და ბ. გორგაძეების ფერწერა, ა. ვარაზის ესკიზები, დ. ნოდის, კ. სანაძის, მ. ბერძენიშვილის, ზ. ნიჭარაძის და სხვათა ნახატები.

არცთუ ისე ადვილი იყო ამ უჩვეულო გამოფენის მოწყობა. ეს ჩვენი ოცნების ნაყოფი „მხატვრის კვირეულს“ მიეუძღვნენ. თაროებიდან და კარადებიდან სამზეოზე გამოვიდნენ ჩვენი ცნობილი ოსტატების ბავშვობისდროინდელი ნახატები. გამოფენამ ყველა მოხიბლა, — პატარაც, დიდიც. ნორჩებისათვის კი ის განსაკუთრებით საინტერესო იყო, რადგან ასეთი ნამუშევრების ხილვა ამდიდრებს, აფაქიზებს მოზარდთა გრძნობებს, ხელს უწყობს ბავშვების ესთეტიკურ აღზრდას და უნერგავს მათ უფროსი თაობისადმი მოწიწების, პატივისცემის და თაყვანისცემის გრძნობას. სწორედ ამ გამოფენით გვინდოდა ბატონი ლადოსათვის დიმილი და სიხარული მიგვენიჭებინა, მაგრამ... ისევე ავადმყოფობა და იგი ამჯერადაც ვერ მობრძანდა ჩვენთან.

კიდევ ერთხელ დიდი მადლიერების გრძნობით მოვიგონებთ დიდ ადამიანთა სახეებს, ვინც ჩვენთან ახლოს იყო, იზიარებდა ბავშვების სიხარულსა და გამარჯვებებს — სახალხო მხატვარს ლ. გუდიაშვილს, ე. ახვლედიანს, პროფ. შ. ამირანაშვილს, მოვიგონებთ მათ სიბოლესა და მხარდაჭერის გამო.

ელენე გორგაძე,  
ბავშვთა ხელოვნების მუზეუმის  
სამხატვრო ხელმძღვანელი.

— თაგვო, თაგვო, თაგუნიავე, გვითხარი, რა ვიჭამოა?  
— დანვრილებით ჩამოგიყვე?  
— დიახ, დიახ!  
— კი, ძამია!  
ყველაფერი, რაც მინახავს, სანადიმოდ ნაღდად ღირდა: შევექცევივარ პურის თავთავს, ძველ წიგნის ყდას, ფერად წინდას, ლორის ნაჭერს... იცით, წლეულს ვახშმად ორიანიც მქონდა, დღიურიდან ამოხეულ ფურცლიდან რომ მიღიმოდა.

მერე აქვე, ბოსტნის პირას ვჭამე მუჭა მზესუმზირა.  
— კიდევე, კიდევე?  
— იმ დღეს მართლა სხვენზე ვნახე ლორის ძეხვი. წუხელ სტუმრად ხუთ მათლაფა კატის წვნიანს მივაძეხი...  
— თაგვო, თაგვო, თაგუნიავე, ყველაფერი მართალია?  
— უჰ, რას ამბობთ, თუ ვტყუოდე, ქორმა ცისკენ გამაქროლოს! ერთადერთი, რაც ვთქვი ბოლოს, ის სიზმარში ვნახე მხოლოდ.

# როგორ იქნა კველი სწრაფად

იყო ძველად ვებერთელა, პატარების შიშის მგვრელი, ჭრელი, გრძელი, საზარელი, უცნაური ჯიშის გველი.  
— ყლაპ! — — აქრობდა გოჭსა და ცხვარს ყოველ დილა ცისმარე. კვლავ ისმოდა მისი რისხვა:

და იმ დღიდან საუზმეზე გველი ჭამდა ერთ ცალ ღვეზელს. სადილზე კი — ახალთახალს ერთ კონა ხახვს, ერთ თავე ჭარხალს. თან ოხრავდა: — ველარ ვჭამო. ოხ-ოხ! ოხ-ოხ! ვახ-ვახ! ვახ-ვახ! შოდა, ერთ დროს შიშისმგვრელი, ტლანქი, სქელი, თვალეცივი, დაილია, დადნა გველი სიფრიფანა ქაღალდით. გოგო-ბიჭებს გაუხარდათ, გამოაბეს თოკი მარდად. — ფრინდი-ფრინდი! — დაჰკრეს ტაში და აუშვეს მალლა ცაში.

— ამას როგორ ვიკმარებ! სადილზე კი, იცით, ერთად ათას ქათამს მიირთმევდა, ზედ ციკანს დააყოლებდა, ციკანს თხას დააყოლებდა, თხას — ძროხას და ძროხას — კამეჩს და ყვირილით ცას იკლებდა: — შემაყლაპეთ კიდევე რამე! ერთხელ გველი გაძდა ისე, დაეკარგა სიხალისე, გაუფუჭდა სულმთლად მადა. — მიშველეთო! — აღრიალდა. მსახურები კისრისტეხით გავარდნენ და უხმეს ექიმს. მან ავადმყოფს რჩევა მისცა: — თუ დიეტას არ დაცავთ, გასკდებითო, დედას ვფიცავ!

ბოროტი და უმაძღარა ასე იქცა გველი ფრანად.



# «**აქსანაფიური**» **ქათამა**

მანანა გელაშვილი

მხატვარი რ. ცუცქერიძე

მ ო თ ხ რ ო ზ ა

ო, რა რიგ გიხარა სიღონი დიდედამ საზაფხულო არდადეგების დადგომით! — ჩამოუყვანეს მერცხალა შვილიშვილი გიორგი ბიჭი, დიდდას კვიცი, დიდდას მწვანე ბალახი, დილის ნამი და ცისკარი! თვითონ გიორგის ხომ უხაროდა და უხაროდა! ჭალა-მინდორში ნავარდი, მდინარეში ბანაობა, თევზაობა, ტყეში წასვლა, ბალ-ვენახში პირის ჩატკბარუნება და ვინ იცის, კიდევ რამდენი სიამოვნება ელოდა სოფელში. და კიდევ ერთი რამ უხაროდა გიორგის: დილ-დილობით აღარავინ წამოახტუნებდა: — არიქა, სკოლაში გაგვიანდებო. მაგრამ...

ინათა თუ არა, დიდდას ცეცხლისფერმა მამალმა ერთი ისე ომახიანად დაიყვილა, რომ გიორგი დაფეთებული წამოვარდა ლოგინიდან.

— გაგაღვიძა ვანა, შვილო, ამ ვერანამ! — შეწუხდა სიღონი დიდდა, როცა კიბის თავზე გაბუნჩული შვილიშვილი დაინახა.

— რაღა არდადეგები გამოვიდა... ეგრე ძილი თუ არ დამაცალა, თავს წავაცლი, — ნამძინარევი ხმით აბუზუნდა გიორგი და მამალს მუშტი მოუღერა, მერე იქვე საფეხურზე ჩამოჯდა და ისევ მამალს მიაჩერდა.

— ძალიანაც ნუ გაბრაზდები, შვილო, ერთი მხრივ კარგიც კი არ-

ის, დღე გრძელი გექნება, რამდენ რასმე მოასწრებ... — ამოსძახა დიდედამ ეზოდან და ქათმებს სიმიინდი დაუყარა.

მამალი მედიდურად დააბიჯებდა, გამალებული კენკავდა სიმიინდს, ზოგჯერ შეჩერდებოდა, ცალ ფეხს ასწევდა, გაირინდებოდა, რაღაცას ყურს მიუგდებდა, სასხვათაშორისოდ ჩაუნისკარტებდა რომელიმე დიდდას და ისევ განაგრძობდა კენკვას.

— რაკილა გაიღვიძე, ხელ-პირი დაიბანე, ამასობაში მე ძროხას მოვწველი. ისაუზმე, შვილო, და მერე რაც გინდოდეს, ისა ჰქენი, — ისევ შეეხმაურა შვილიშვილს დიდდა.

გიორგიმ უგულოდ ისაუზმა, ამან ძალიან შეაწუხა მოხუცი.

— ეგრე ხართ ქალაქელები, ეგრე უხეიროდ იქნევთ ყბასა. აბა ერთი განახა, აქაური გოგო-ბიჭები როგორ იღმურძლებიან... მაგრამ არა უშავს, მალე შენც მადა მოგაცემა და ეგრე ჩინჩხვარივით აღარ იქნები.

ჰამას რომ მორჩა, გიორგიმ ეზო-ყურე მიიარ-მოიარა, ბოსელში შეიხედა, ძაღლს გაეთამაშა, მწიფობაში შესული ქლიავი შეათვალიერა. მაგრამ საითაც წავიდა, ყველგან იმ ყოყლოჩინა მამალს გადააწყდა, თითქოს უდარაჯებსო გიორგის, ისე შემოანათებდა ხან საიდან და ხან საიდ-

ან. რაკილა ერთი აითვალწუნა, ბიჭმა გული ველარ მოიბრუნა საჭათბის უტიფარ ბელადზე. ჯერ ხელი აუქნია დასაფრთხობად, მერე ვითომ კენკვას დასწვდა სასროლად, მაგრამ მამალი, ეტყობა, გრძნობდა, რომ გიორგის გულის სიღრმეში კიდევაც ეშინოდა მისი; ისიც იცოდა, რომ დიდდას მწვანედ მოღალანე ეზოში კენკვის ნასახიც კი არ მოიძებნებოდა, და ნირშეუცვლელად, მკერდგამოწეული დააბიჯებდა. ის კი არა და, შემხედვით, ვითომდა აი, რა ძალა შემწევსო, აუცილებლად რომელიმე დიდდას ჩაჰკრავდა ნისკარტს. გიორგიმ შეამჩნია, რომ უფრო ერთ ქოჩორა თეთრ ქათამს იჯაბნიდა მამალი.

— სიღონი დიდდა, ჩამოვიდა გიორგი? — გზის გადაღმიდან დაიძახა ვილაკამ.

— შენა ხარ, თამრო? ჩამოვიდა, მაშ არ ჩამოვიდა! შემოდი, გენაცვალე, შემოდი.

თამრო იყო, ხოსიტანთ აჯილა გოგო, გიორგის კბილა და ამხანაგი. შემოვიდა და ღიმილით მიუჯდა გიორგის კიბის ქვედა საფეხურზე. რაკილა ერთბაშად სათქმელიც ვერაფერი მოძებნეს და გაკეთებაც ჯერ არაფრისა გადაეწყვიტათ, ძალაუნებურად ისევ იქვე მოფუსფუსე ქათმებს მიაჩერდნენ, რომლებსაც პირწმინდათ აეკენკათ სიმიინდი და ახლა შემთხვევით აღმოჩენილის იმედით-ლა დაკრიახობდნენ.

— თქვენი მამალიც ასე უთენია იწყებს ყვირის? — ჰკითხა გიორგიმ თამროს.

— ჰო.

— ისიც ასე ჭრელია?

— ცოტა სხვანაირია, მაგრამ მაინც ჭრელია.

— თეთრი, აი სულ თეთრი მამალი, ერთი წერტილიც რომ არ ჰქონდეს სხვა ფერისა, გინახავს? — ჰკითხა გიორგიმ.


თამრო დაფიქრა.

— მგონი, არა. არა, არ მინახავს. გოლაანთ ჩვენნაირი ჰყავთ. გაღმა სასიტანთი შავია და კისერზე ყვითელი დასდევს, იმედაშვილებს წითელი ჰყავთ, ბურთიკანთა, მგონი, სულ აღარა ჰყავთ...

— დიდდა, — ახლა მარანში მოფუსფუსე დიდდას გასძახა გიორგიმ, — გინახავს სულ თეთრი მამალი?

— რა ვიცი, შვილო, ჩვენს სოფელში თითქოს არავის უნდა ჰყავდეს ეგეთი და სხვაგან არ ვიცი... ზევით, ფერმაში ალბათა ჰყავთ...

— ვითომ ქათმები კი რატომ არ არიან ესე ჭრელები? აგე, ნაცარას თითქოს ჭრელი ეთქმის, მაგრამ აბა ეგ რა ჭრელია. ყინტორაც ხომ არ



არის ერთი ფერისა, მაგრამ ნამდვილი ჭრელი, აი, ამ მამალივით. არც ვეგ არის... თამრო! რა მოვიგონე! — უცებ წამოხტა გიორგი. — მოდი, ეს ჩვენი თეთრი ქოჩორა ჭრელად შევლებოთ!

— როგორ უნდა შევლებოთ?! — გაოცდა თამრო.

გიორგიმ კიბე აირბინა, ჩემოდანს ეცა და დედის მიერ წყობისად ჩალაგებული ტანსაცმლის ქვევიდან საღებავების ორი კოლოფი და ფუნჯები ამოაწყო.

— ჰო, მართლა, ეს ერთი კოლოფი და ფუნჯიო, დედამ დამბარა, თამროს მიეცო, — გაუწოდა გიორგიმ თამროს საღებავები.

ქოჩორა ადვილად დაიჭირეს და საქმეს შეუდგნენ. ბუმბულმა ჯერ არ მიიკარა საღებავი, აისხლიტა წყალი. გიორგი კი უსვამდა. მაგრამ საღებავი ერთ ფერად წყალწყალა წერტილად გროვდებოდა ქოჩორას ტანზე და მალევე ცურდებოდა. თამრო უკვე დაიღალა ქათმის ჭერით. მერე კი მიხვდა გიორგი და წყალი ნაკლები გაუტრია, უფრო სქლად ააყოლა ფუნჯს საღებავი და თანდათან ააჭრელა თეთრი ქოჩორა — მწვანედ, ხარინჯისფრად, ლურჯად...

— უჰ, ბიჭო, თუთიყუშს არ დაამსგავსა?! — აღტაცებით შესძახა თამრომ.

ქოჩორამ ერთი კი იუცხოვა, ბუმბულს წიწვნა დაუწყო. ერთი პირი ფუნჯიც კი გააგდებინა გიორგის ხელიდან. მერე, ეტყობა, თვითონვე მოეწონა თავისი ახალი შეფერილობა და გაუტრია. შორხნენ საქმეს გიორგი და თამრო, ჩამოსვეს ქოჩორა და ხელპირ მოთხუპნულები მიაჩერდნენ, რას იზამდნენ ჭრელი ქოჩორას დანახვებზე ქათმები, უფრო კი მამალი. ქოჩორა დინჯად, გზადაგზა ბალახის უნდლი წიწვნით მიუახლოვდა ღობის ძირში მიყუჩებულ ქათმებს. და უცებ, უნდა გენახათ, რა ამბავი ატყუდა! აფორიაქდნენ, აკრიახდნენ, დაფრთხნენ ქათმები, ზოგი აქეთ ეცა, ზოგი იქით. მამალი გაიფხორა, ბუმბული აიშალა, თავი ასწია, ბიბილო მთლად გაულურჯდა, ქოჩორას თვალები გადაუბრიალა. იმან კი აინუნშიაც არ ჩააგდო მამლის გამოხდომა. მამალმა ახლა დაყოვლება დააპირა, ფრთა ფრთას შემოკრა, თავკისერი წინ წამოსწია, მაგრამ გაურკვეველი, ხრინწიანი ხმის გარდა ხახიდან არაფერი ამოუვიდა. მაშინ კი დაიბნა ქათმების ბელადი, შერცხვენილმა თავი ჩაქინდრა და სასწრაფოდ დატოვა იქაურობა. ქოჩორა კი არხეინად დააბიჯებდა ეზოში და უკვე აღარ ეშინოდა, რომ ვინმე საეგეს წაართმევდა

ან თავში ჩაუნისკარტებდა. ამასობაში სიღონი დიდდამაც მოათავა მარანში საქმიანობა და გარეთ გამოვიდა.

— რა ვქნა, ეს რა ჯურის დედალია, ვისი რა არის ასეთი? — შეცბა დიდდა ჭრელი ქოჩორას დანახვაზე. მერე გიორგის და თამროს სიცილი რომ შემოესმა, ყველაფერს მიხვდა, გაიღიმა და ესლა თქვა: — მიკვირს, იჩერებს და არ იწიწკნის ბუმბულს, მაგრამ, ეტყობა, მოსწონს ამ საცოდეს...

მერე გიორგის და თამროს კიდევაც გადაავწყდათ ქოჩორა და ახლა უკვე სხვა რამ გასართობის ძებნაში იყვნენ. ის იყო, ვენახში ჩასვლა დააპირეს, რომ ქვლივადიანთ ეუხმა შაქრო და კრუხის პალი ვასიკო მოადგნენ. ბიჭებმა დიდი კაცებივით ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი, ლაპარაკის დაწყება კი ველარ მოახერხეს. ვასიკომ კაკლისკენ ჩაიარა, მალულად შეათვალა ტოტები, ერთი ბურთსაც გაჭკრა ფეხი და გაშეშდა.

— ვაჰ, ბიჭო, ეს რა ქათამია?! — შესძახა გაოცებულმა და ქოჩორას მიუახლოვდა.

ემშაქისფხვა თამრომ გიორგის თქმა არ დააცალა და პირზე ლიმილ-მოურევლად გამოაცხადა:

— ეს ავსტრალიური ქათამია, გიორგიმ ჩამოიყვანა ქალაქიდან. მალაზიაში არიგებდნენ თურმე...

შაქროც ინტერესით მიაჩერდა „ავსტრალიური“ ქათამს.

— კვერცხსა სდებს? — იკიფხა ვასიკომ.

— მა რას იზამს, ბიჭო! — უპასუხა ისევ თამრომ.

— ისეთივე თეთრსა?

— არა, ჭრელსა, თანაც დღეში ორ-ორსა, — შესტოპა თამრომ. გიორგის ხმა ვერ ამოეღო.

— ბიჭო, გიორგი. მე კი არ მომ-

ცემ ერთ კვერცხსა? აი, თუ ვინც მელის ლეკვს მოგვეკრი სანაცვლოდ ანდა ჩვენი ვენახისეულ გოგონა ბალს ამოგიტან კალათით, ისეთი ტკბილია რო...

გიორგიმ უხერხულობა იგრძნო და რალაც ჩაიბურტყუნა, თამროს გადახედა.

რალა თქმა უნდა. ვასიკომაც მოინდომა „ავსტრალიური“ ქათმის ყოლა.

— ოღონდ მეც მარგუნე ერთი კვერცხი და თუ ვინდა, ძიაჩემს ხვალ სანადიროდ მივყევიარ ქალიანში და შენც წაგიყვან...

მალე მთელი სოფლის გოგობიჭებს მოედო ამბავი — სიღონი დიდდას გიორგი ავსტრალიური ქათმის კვერცხებს არიგებდნო და აივსო დიდდას ეზო-გარემო ყმაწვილებით. თამრომ სია შეადგინა: შაკვანტა ნუციკოო, მწვანე სოსიკოო, ხოსიტაშვილების შვიდივე შვილიშვილიო. შაქრო მამისაშვილის სამი გოგოო, დორიალა ილიკოს ბიჭოო... ვილა არ ჩაწერა იმ სიაში.

გიორგის დაბნეულობამ კი გაუარა, მაგრამ მაინც უხერხულად გრძნობდა თავს. უკვე თამროსაც აღარ ეტყობოდა უწინდელი ხალისი. ორივეს ახლა ისლა აწუხებდა, როგორ გაემყლავნებინათ თავიანთი ოინი. და წვიმა რომ არა, ნამდვილად არ ასცდებოდათ თანატოლების რისხვა. წამოუშინა მსხვილმა წვიმამ და აჭიკვივებული გოგობიჭები აივანს შეეფარნენ. ხოლო სანამ „ავსტრალიური“ ქოჩორა თავშესაფარს მოეებინდა, კარგა დასველდა და საღებავიც წურწურით ჩამოუვიდა. ამის შემეყურე ბავშვები ჯერ, ცოტა არ იყოს, შეცბნენ, ერთმანეთს გადახედეს და მერე ხმამაღლა სიცილი ასტეხეს. გიორგის და თამროს გულზე მოეშვათ.



კომუნისტური  
კულტურის  
მხარის

# სკოლის



## შრომ და დასვენება

მასწავლებელი

შაჰარაძე

სასწავლო წლის დამთავრებისთანავე კარდანახელმა მოსწავლეებმა ჩვენი სოფლის ზღვებში „პიონერ-მშენის“ ალაში ავაფრიალეთ. მეურნეობის მუშებს ვეხმარებით, მხარში ვუდგევართ.

ყოველდღე ჩვენი ყრბამული აღვიძებ ვენახებს. ახლა რიგთაშორისებს ვთოხნით. თითოეული ჩვენგანი ექვსი რიგთაშორისის მოთონხასაც კი ასწრებს.

მოსწავლეების ნაწილი სკოლის რემონტში მონაწილეობს.

ზღვრებში სხვებსაც შეხვდებით. ისინი თბილისის 102-ე რუსული და 82-ე საშუალო სკოლების მოსწავლეები არიან და ჩვენსავით ეხმარებიან კარდანახის საბჭოთა მეურნეობას.

განსაკუთრებით ბეჯითობენ: მ. ლეკბორაშვილი, ნ. მიიშივილი, დ. ხელაშვილი, მ. მანოშვილი, ლ. თანდაშვილი, მ. ხიმშიაშვილი და სხვები.

მოსწავლეთა მუშაობას სკოლის ორგანიზატორი ც. ცერცვაძე ხელმძღვანელობს.

ჩვენით ყველა კმაყოფილია. ყოჩაღი ბავშვები არიანო, — ამბობენ ჩვენზე მეურნეობის მუშები.

გენია შაკიაშვილი,  
გურჯაანის რაიონის კარდანახის  
საშუალო სკოლა, VII კლასი.

განი

მასწავლებელი

მამულაძე

უნდა, ორივეგან კარგია. მაგრამ სულ სხვაა მოსწავლეთა შრომისა და დასვენების ბანაკებში გატარებული დრო, როცა შენი გარჯით შექმნილი დოვლათის სიხარულს ტოლმეგობრებთან ერთად ინაწილებ.

შუამთის საშუალო სკოლას ამგვარი შრომის მდიდარი ტრადიცია აქვს.

ყოველ ზაფხულს შრომით ბანაკებად ერთიანდებიან სკოლის მეშვიდე და მერვეკლასელები: იბროვნებენ ნათეს ფართობებს, იღებენ ვალდებულებებს. წარმატება არასოდეს არ აყოვნებს. ასეა წელსაც. კარგა ხანია, რაც შრომისა და დასვენების ბანაკი „მეგობრობა“ შექმენით. ბანაკში 60 მოსწავლე ვართ გაერთიანებულნი.

დღის რეჟიმი, სამუშაო გეგმა რა ხანია, შევადგინეთ. უკვე გარკვეულ წარმატებებსაც მივალწიეთ შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ჩვენი პედაგოგები — შ. მამფორია, ლ. გოგობერიძე და თ. კორძაძე მხარში გვიდგანან, ყველაფერს აკეთებენ, რომ თითოეულმა ჩვენგანმა გულიანად იმუშაოს, აქტიური მონაწილეობა შეილოს საზოგადოებრივსა და კულტურულ-სამეფო საქმიანობაში.

ბანაკში ძალზე საინტერესოდ ვატარებთ დროს. ვერც ვიგრძენით, ისე მიიღია ჩვენი შრომითი მეოთხედის ნახევარზე მეტი.

მიხეილ ბურაძე,  
შუამთის საშუალო  
სკოლა, VIII კლასი.

შანი

ლაგრა

მოსწავლელი

ზაფხული

ყველა მოსწავლე მოუთმენლად ელოდება სასწავლო წლის დამთავრებას. მართლაც, რა ჯობია ზაფხულის მხიარულ არდადეგებს: პიონერთა ბანაკები, ლაშქრობები. რა თქმა

იმ დღეს მოუთმენლად ველოდით. ძნელი იყო თითოეული ჩვენგანისათვის მშობლებთან, დედაქალაქთან განშორება, მაგრამ ისე გვიზიდავდა დამოუკიდებელი ცხოვრება, რომ სხვა აღარაფერზე ვფიქრობდით.

ჩავედით და გავვოცდით. იმდენად მოვიხიბლეთ ქიწნისელთა სხეულებით მოყვარეობით. არა მგონია, რომელიმე ჩვენთაგანს დაავიწყდეს ქიწნისში გატარებული 24 დღე, ადამიანები, რომლებთანაც ურთიერთობა გვქონდა.

რა დაგვაკვირებს ქიწნისის მეურნეობის დირექტორის მიხეილ ქობლიანიძის, პროფკავშირების თავმჯდომარის მერაბ ქობლიანიძის ყურადღებას, მეურნეობის მძღოლს ბიძია პლატონს, სოფლის ექთანს დეიდა ენისას, რომლებიც ზრუნვას არ გვაკლებდნენ. თავი შეგვაყვარა სამხარეულოს პერსონალმა — დეიდა ტასია კომ და დეიდა ლუბამ.

იმ ადამიანებმა, რომლებიც პასუხს აგებდნენ ჩვენს თითოეულ ნაბიჯზე, ისე დაგვამეს ყოველი დღე, რომ მოსაწყენად რას მოიცილიდი?! გადიოდა დღეები... არც შრომა გვაკლდა, არც გართობა. ვმუშაობდით მართლაც რომ გულმოდგინედ: ვპარგლავდით, ვთოხნიდით, ვარჩევდით თუთის ფოთოლს აბრეშუმის ქიისათვის. პირველად გავკვირდა: შეგვაშინა მინდორზე გაშლილმა ვეებერთელა სანერგემ, შეგვაშინა გასამარგლავმა კვალმა, ბოლო რომ არ უჩანდა, მაგრამ სოფელი განა დაანებებდა ჩვენს თავს უიმედობას?! გვაშინებდნენ, გვეხმარებოდნენ, გვასწავლიდნენ და შევეჩვიეთ შრომას. მალე უფრო მონდობით, ხალისიანად ვმუშაობდით.

თავისუფალი დრო ძალზე ბევრი გვქონდა და ყოველთვის ვცდილობდით, შედეგიანად გამოგვეყენებინა: ხშირად დავდიოდით ექსკურსიებზე, დავათვალიერეთ ლ. კეცხოველის სახლ-მუზეუმი ტყვიავში, ვნახეთ იკორთა — აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი, მოვიხიბლეთ ჭავჭავაძის მუზეუმი ბუნებით...

გადაწყვიტეთ, გაცნობოდით სოფლის სახელოვან ადამიანებს, გაგვევო მათი მიზნები, მათი მისწრაფებები. აბა, ამ გადაწყვეტილების განხორციელებას წინ ვინ აღუდგებოდა და ჩვენც მონდომებით შევუდექით საქმეს: ვესაუბრეთ შრომის წითელი დროშის ორდენოსან ყუყუნა მირაზანაშვილს. მოვიხიბნეთ სამაძულო ომის ვეტერანის გიორგი ქობლიანიძის ნაამბობი; ეს ის ადამიანია, ვინც პირველმა შემოიყვანა ტრაქტორი ქიწნისში, ვინც გმირულად იბრძოდა უკრაინის მიწაზე. ვესაუბრეთ გიორგი დუგუზაშვილს, 1943-45 წლებში 16 მადლობა რომ მიუღია სტალინისაგან სხვადას-



ხვა დამსახურებისათვის. დავტკბი სახალხო მთქმელის — ივანე ჭობლიანიძის ლექსებით. მთელ სოფელთან დამეგობრებულები ისე ვგრძნობდით თავს, როგორც საკუთარ სახლში.

გამოთხოვებისას სტუმართმოყვარე ქიწინსელებისთვის კლუბში საღამო მოვაწყვეთ.

კონცერტს დიდი წარმატება ხვდა წილად — დარბაზში დიდხანს ისმოდა ტაშის ხმა.

გულდასაწყვეტი იყო სოფლიდან გამომგზავრება. ჩვენი სკოლის შრომითი მეოთხედის მონაწილე მოსწავლეებმა გადავწყვიტეთ, შემოდგომაზე კვლავ ჩამოვიდეთ ქიწინის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში და ვაშლის კრეფაში დავეხმაროთ მეურნეობის მუშაკებს.

თამარ ხვედელიძე,  
თბილისის 142-ე საშუალო სკოლა, X კლასი.

**ჩვენი სიზუსა**

თუ ჩვენს მკერდზე ამუამად ყელსახვევი ფრიალებს, მომავალში, გჯეროდეთ, ყამირს ავახშიანებთ; გზას გავიკვლევთ კოსმოსში, სად მთვარეა ნამგალა, დაულაშქრავს დავლაშქრავთ, გაუკვალავს გავკვალავთ; ახალ ქუჩებს გავიყვანთ, ახალ სახლებს ავაგებთ, ცამდე მალალ ბაირალს ახალ ორდენს დავაბნევთ, ჩვენს მიღწევებს, გმირობას კომკავშირულს დავარქმევთ.

ნანა ანთაძე,  
ლანჩხუთის რაიონის ჭურუყვეთის 8-წლიანი სკოლა, VIII კლასი.

**მხსენი უკრისკაიოს საულგვითან**

ფამისტურ გერმანიაზე გამარჯვების 35-ე წლისთავს მივუძღვენიოთ კონცერტი, რომელიც 8 მაისს ჩავატარეთ ოთხი უცნობი ჯარისკაცის საფლავთან. წინასწარ ეს საფლავები გავასუფთავეთ, სარეველები მოვთხარეთ, მიწა გავასწორეთ. მოვაწყვეთ პიონერული ხაზი. მესამეკლასე-

ლი ოქტომბრელები საზეიმო ვითარებაში მივიღეთ პიონერთა რიგებში. მათ ფიცი დადეს, რომ იქნებიან მოწინავენი, იცხოვრებენ და ისწავლიან ისე, როგორც გვიანდერძა ლენინმა, როგორც გვასწავლის კომუნისტური პარტია.

კიდევ ერთხელ გავიხსენეთ ის ქარცეცხლიანი დღეები, საბჭოთა ხალხის გმირული გამარჯვება; გავიხსენეთ, როგორი თავზარდაცემით დაიწყო დიდი სამამულო ომი და როგორი ომანაიანი შეძახილით დამთავრდა იგი. გავიხსენეთ გმირი კომკავშირელები: ზოია კოსმოდემიანსკაია, ზოია რუხაძე, შოთა გამცემლიძე, ოლეგ კოშევი, გმირი პიონერები: ვალია კოტიკი, ზინა პარტნოვა და სხვები.

ბოლოს ყვავილების თაიგულებით შევამკეთ უცნობი ჯარისკაცების საფლავი და სკოლაში დავბრუნდით.

ნინო მახვიზივილი,  
ხაშურის რაიონის ზემო ოხიაურის საშუალო სკოლა, VII კლასი.

**ხაშურის ნაყოფი**

ჩვენი რაზმი ფეხს უწყობდა რაზმელის საქმიანობას, მაგრამ შემდეგ თანდათან ჩამორჩა. ცხადია, ძალიან მაწუხებდა ეს ამბავი. ვფიქრობდი რა მელონა. ერთ შაბათ დღეს კლასში გამოვაც-




ნორე კორესპონდენტთა ჟურნალი №10

ხადე, მოდით, ხვალ ლისის ტბაზე წავიდეთ, სურათები გადავიღოთ, გავერთოთ-მეთქი. ყველას მოეწონა ჩემი წინადადება. წავედით. უკან დაბრუნებისას ამხანაგებს შევთავაზე გაზეთი გამოგვეშვა, როგორ გავატარეთ კვირა დღე, წერილები ფოტოსურათებით გავველამაზებინა. ეს აზრიც ერთსულოვნად მოიწონეს.

ისევ გააქტიურდა ჩემი რაზმი. ჩამოვაცალიბეთ „სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი“, რის შემდეგაც ჩვენს კლასში ერთი ორიანიც არ დაწერილა. ეზოებში ვრგავდით სხვადასხვა ხეების ნერგებს, ვახარებდით ყვავილებს. „სადაც პიონერია, იქ სილამაზე და წესრიგია“—იყო ჩვენი დევიზი. აქტიურად ვეხმარებოდით ყოველ ახალ პიონერულ წამოწყებას. ყოველივე ამან ტკბილი ნაყოფი გამოიღო — ჩვენ მარჯვენაფლანგელები გავხდით.

ნინო მამფორია,  
თბილისის 102-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი.



# უფორმანო გოგონა

ხანლო ჩენელი

მხატვარი

იოსებ სამოსნაძე

ისტორიული მოთხრობა

თუ გნებავთ იცოდეთ, ვილი მქვია. თავი რომ არ წარმოგიდგინოთ, ხომ შეიძლება ზოგიერთებმა გულისწყრომა გამოთქვან: „ერთი ამას უყურეთ, რამდენს ლაქლაქებს და არავინ კი იცის, ვინ არის, ან საიდან მოსულაო“. მაშ ასე, მქვია ვილი და ვარ ქალაქელი ბიჭი, ესე იგი ქალაქის მკვიდრი. თუმცა სოფლადაც ხშირად ვიმყოფები, ერთხანს მიცხოვრია კიდეც იქ და იქაურ საქმიანობასაც ძალიან კარგად ვიცნობ.

სხვა ქალაქელ ბიჭებს რომ ჰკითხოთ, რომელი მხრიდან კახაშვილებს ცხენს ან რომელი მხრიდან წველიან ძროხას, ვერ გიპასუხებენ, მე კი ყველაფერი ზუსტად ვიცი.

სოფელში ბებია და პაპა მყავს. იმათთან ვატარებ ჩემს ზამთრისა და ზაფხულის არდადეგებს. ისე ხშირად ჩავდივარ, რომ მთელ სოფელს ვიცნობ, ვიცი, ვინ სად ცხოვრობს, რა საქმიანობას ეწევა.

ბებიაჩემის სახლიდან კარგა მოშორებით, ხევის მხარეს, კორნელები ცხოვრობენ. ღია კორნელი ჩემი ტოლი გოგოა. სულ პატარაობიდან ვიცნობ, იმ დღიდან, ვაცხარებული ცხვარი რომ დამედევნა. თხმელის ქალაში ისე ჩამოვირბინე გორაკიდან, ფეხებს სულ კეფაზე ვირტყამდი. მაშინ ვნახე პირველად, ღია ცხვართან მივიდა და თითები ცხვირზე მოუცაცუნა. იდგა ცხვარი თავისთვის გაყურებულ. ღია მითხრა, ტყუილად ირბინე, ცხვარი არავის ერჩისო... თავმოძროხედ მელაპარაკებოდა და ჩუმჩუმად ეცინებოდა კიდეც. ნაწნავები წელამდე სცემდა. ახლა თმა მოკლედ აქვს შეჭრილი, როგორც ყველა გოგონას, ვინც დიდობს.

წავიდოდა, წამოვიდოდა და იმ ცხვრის ამბავს მასხენებდა. ძალიან მინდოდა, ერთი კარგი მუჭოლუგუნი მეთავაზებინა, ასე რომ მოჰქონდა თავი თავისი გულადობით, მაგრამ ვერ ვახერხებდი. არც მერე მომეცა ამის შემთხვევა. ღია ახლაც ყოჩაღი გოგოა, არავის დაეჩაგვრინება, ამიტომ მომწონს გოგოებში ყველაზე მეტად, თუმცა სულ ვჩხუბობთ. გული მომდის, როცა მემპარტახებმა,

თავს მამეტებს. მაშინ ყველანაირად ვცდილობ დავჯანო, თუმცა ეს არც ისე ადვილია. აი, თავგისა კი... რა მოგახსენოთ; თავგის დანახვაზე ჩვეულებრივი გოგო ხდება, რომელიც, თავგს ან ბაყაყს თუ თვალი მოჰკრა, წივის და კივის. ეს კი აი, როგორ გავიგე: ერთხელ მინდორში ერთი უცნაური თავგი ვიპოვე. მთელ ზურგზე შავი ზოლი გასდევდა. დავიჭირე, ღიას ვაჩვენებ-მეთქი. იმან კი თვალზე ხელი აიფარა და ყვირილი დაიწყო: არ გაბედო, არ გაბედო, შორს გადაადგეო. ჯერ მეგონა, განგებ ყვიროდა, თურმე მართლა არ შეშინებია?! ახლა მეც მქონდა მიზეზი გამებრაზებინა.

ერთხელ გამოვეკიდე და ყასიდად დავიძახე: „თავგი, თავგი-მეთქი“, მინდოდა შემეშინებინა. ღია აქეთ ეცა, იქით ეცა, გზა რომ ვერ ნახა, კედელს აეკრა, ტუჩების კვანტა დაიწყო და ბელისწერის მოლოდინში აიწურა. მე ცხვირწინ ცარიელი მუჭა გადავუშალე. ჩემს ხუმრობაზე სიცილი ამიტყდა, მეგონა იმასაც გაეცინებოდა, მაგრამ წამწამები სატირლად ახამამა და აკანკალებული ხმით მისაყვედურა:

— რატომ შემაშინე?

სიცილი პირზე შემაცივდა. უხერხულობაში ჩავვარდი. ალბათ, საცა სამართალია, ბოდიშის მოხდა მეკუთვნოდა, მაგრამ ამას ასე იოლად ვერ ვაკეთებ, რადგან ყოველგვარ ეშმაკობაზე უფრო სამარცხვინოდ ბოდიშის მოხდა მეჩვენება. ორივენი ვლუმდით, არ ვიცოდით, რა გვეთქვა. შინ წასვლა დავაპირე. მაშინ ღია მითხრა:

— კი არ მეშინია, მეზიზღება.

ველარ ვკითხე, სახელდობრ ვინ ეზიზღებოდა, მე თუ თავგი, მაგრამ იმ დღის შემდეგ თავგით აღარ შემიშინებია. გულახდილად რომ ვთქვა, ერთხელ კიდეც შევეცადე ღიას გულაღობა გამომეცადა. ეს ამბავი სხვაგვარად მოხდა.

ახალწლის არდადეგები იდგა. უცებ — ბრახ! კარი გაიღო და ღია შემოვიდა, ხელში ლაბით სავსე ფინჯანი ეჭირა — დედას გამოეტანებინა

ბებიაჩემთან საახალწლო ძღვნად. სოფლად ასეთი წესია — დღესასწაულებში მეზობლები ერთმანეთს უნდა წაიციონ მოიკითხვენ. ქალაქში ასე არაა. იციან, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს სახლში. თითოეულს მალაზიიდან ის ამოაქვს, რაც თვითონ ესიამოვნება. ზოგიერთ მეზობელს რამე რომ მიართვა, გაიკვირვებს და გისაყვედურებს კიდეც; შენი სამოწყალო რა მჭირს, რომელი ლატაკი მე მნახეო. სინამდვილეში, ეს ხომ ძველი ადათ-წესია — ყურადღების გამოხატვა. სოფელში ბევრი რამ სულ სხვაანაირად ესმით, ვიდრე ქალაქად.

ჰო, იმას ვამბობდი, ღია ღია მოგვიტანა და მაშინვე უკან გაბრუნება დააპირა, მე კი დამხმარე მჭირდებოდა, პაპაჩემის ძველ გრამაფონს ვაკეთებდი, სახელური ჰქონდა რომელი.

ღია ნახა, რომ მარტო ვერ შევძლებდი ზოგიერთი რამის აწყობა-მართვას და ხელი წამაშველა.

გრამაფონი რომ შეკეთდა, კარადიდან ძველი ფირფიტები გადმოვიღეთ და დაუჯარით. ღია სულ აღარ ჩქარობდა წასვლას. ვიცოდი, ასეც იქნებოდა!

აგანთეთ ბენგალიური ცეცხლი, მოვისმინეთ მუსიკა — სულ ძველებური ტანგოები, ფოქსტროტები და ვალსები. ღია მკითხა, ტვისტის ცეკვა თუ გიყვარსო? ორგანულად ვერ ვიტან-მეთქი. მე კი პირიქით, ვგიჟდებო, და წაიცეკვა კიდეც. იმდენი მეც კი ვიცოდი, მაგრამ დავაცადე ცეკვა, ეჩვენებინა. ადამიანს ცეკვა არ უნდა დაუშალო. უხდებოდა კია, ხელიკივით იკლავებოდა, ქვაზე მზით შემთბარ ადგილს რომ ექებს. შევაქე, კარგი ცეკვა გცოდნია, მაგრამ მე ციგურები მირჩევნია-მეთქი.

ღია კი თურმე ციგურებზე არასოდეს მდგარიყო, წარმოდგენაც არ ჰქონდა. მე სასრილოდ მოვიპატიე, წაგიყვან და ხელად ისწავლი, აი, მაშინ თქვი, ტვისტი სჯობს თუ ციგურები-მეთქი. დარბაისლურად ვსაუბრობდით. დამპირდა, ჩამოვალო, თუმცა ორივემ კარგად ვიცოდით, რომ ეს ჩვენი ლაპარაკი ლაპარაკად დარჩებოდა. უბრალოდ, გვსიამოვნებდა ოცნება იმაზე, რაც შეიძლებოდა მართლაც მომხდარიყო.

კარგა დაღამებული იყო, ღია წასვლა რომ დააპირა. პაპამ მითხრა, გააცილეო... რა იმის თქმა მინდოდა, ისედაც ვაპირებდი...

მართალია, ღია იუარა, აქ მეგელი არ იცის და სიბნელისა კი არ მეშინია, მაგრამ მე და პაპა იმის ნათქვამზე ხომ არ გავივლიდით. გარეთ უკუ-

ნი ლამე იდგა, პატარა თოვლი იდო. ხუმრობით საშიში ამბების მოყოლა დაიწყო. ლიამ სიცილი დაიწყო: მე არაფრისა მეშინია, შუალამისას უღრან ტყესაც გავივლიო. ამის თქმაზე ერთმა აზრმა გამკრა თავში.

კორნელების სახლი დიდი შენობაა. საცხოვრებელ ბინას, ბელელს, კალოს და ბოსელს ერთი სახურავი ადგას. ოთახებში ეზოდანაც შეიძლება შესვლა და კალო-ბელლიდანაც.

ლიას ვუთხარი, მოდი, შინ ბელლიდან შევიდეთ, თქვენები ცოტა აეფთხორიაქოთ-მეთქი.

იქ ელექტრონი არ ენთო და ვიფიქრე ლია შემეშინებინა. ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ლიამ ხელი ჩამკიდა, რის ვაი-ვაგ-

დაღრღნეს ადამიანი... ლიას ხელი აუთრთოლდა, ვიფიქრე, კარგი დროა-მეთქი და ხელი შევეშვი... ერთი ნაბიჯით ჩამოვრჩი და გავისუსე. გულის ძვრის მეტი არაფერი მესმოდა. რამდენიმე ნაბიჯზე კიდეც ჩამოვრჩი, ხელით რალაც ძველი მაგიდა მოვისინჯე, ჩავიმუხლე და ქვეშ შევძვერი. იმდენი ვიბორიალე, რომ ლიას კიდეც უფრო დავშორდი.

— ვილი! — ჩურჩულით დამიძახა ლიამ ბელლის მეორე მხრიდან. გავიტრუნე. კიდეც დამიძახა. ავდექი და კბილების კრაჭუნი დავიწყე. მაგარი კბილები მაქვს და კარგადაც ვაკრაჭუნებ ხოლმე. ერთ ჩემს ამხანაგს კი მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ მჯავე ვაშლს ჭამს.

დავიყმუველე. ვგრძნობდი, როგორ დაპროწიალობდა ლია კარის ძებნაში. მგონი, კიდეც ჩაავლო ხელი სახურავის ხარეულოს კარის სახელურს და დამემშვიდებინა და შინ ერთად შევსულიყავით, მაგრამ მე არ გავხსენებია, ისე შევარდა შინ ტყვიასავით. მაშინვე ლია და მისი მამა უკან შემოვიდნენ ბელელში. მამამისს პატარა სანათური ეჭირა. მე ჯერ ისევ ჩაკუნტული ვიჯექი.

— ყოჩაღ, ყმაწვილო! — მომმართა ლიას მამამ. — აქ რას უზიხარ სიბნელეში?

— მე... მე... სალამო მშვიდობისა, — თავაზიანად ვუბასუხე და წამოვდექი. — ლიას შეშინება მინდოდა.

— ბარაქალა, სახლიკაციც ასეთი უნდა, — გაეცინა ლიას მამას. ლიამაც ჩაიკისკისა.

ოთახში შევედი. სტუმრები ჰყავდათ, სიცილით შეგვხვდნენ. ტანისამოსი მთლად მტვერსა და ფქვილში მქონდა ამოვანგლული. აბლაბუდები მქონდა დადებული. მინდოდა ამეხსნა საქმის ვითარება, ლია გულალობაში უნდა გამომეცადა-მეთქი, მაგრამ ჩემს ნათქვამზე ლიამ გულიანად გადაიხარხარა, სულის მოსათქმელად ლუმელთან დაგდებულ კუნძზე ჩამოჯდა.

— რა გაცინებს? — ვკითხე ნირწამხდარმა.

— მე სულაც არ შემეშინებია, თავი ისე მოგაჩვენე, რომ შენ თვითონ დამფრთხალიყავი შიშისგან! კარგად ჩაგივარდა ენა მუცელში?

— შენც კარგად აგითრთოლდა ხელი!

— შიშისგან კი არა, სიცილისაგან!

— მაშ ჩვენი „თამაში“, ფრედ დამთავრდა! — განვაცხადე შერიგებისათვის. ლია ენას მაინც არ აჩერებდა, მე ფეხზე ვიდექი, ეს კი შიშისაგან მაგიდის ქვეშ შეძვარაო. სტუმარი ვიყავი. თავაზიანობაც მოითხოვდა, არ შევეკამათებოდი. დიდი ამბავი, თუ ადამიანს ნაკუთარ სახლში არ შეეშინებდა. ერთხელაც იქნება, გავხდები კაპიტანი, გავემგზავრები ნიანგების ქვეყანაში, სადაც აუცილებლად წავიყვან ლიას, დავსვამ რომელიმე შხამიანი ქვეწარმავლის ან ნიანგის წინ და თითსაც არ გავანძრევ, როცა წივილ-კვილს ატეხს, მიშველეთო. მე მშვიდად გავამზადებ ყალიონს, გავაჩაღებ და, ვითომც აქ არაფერი, ვკითხავ:

— შენ, მგონი, რალაც მითხარი, ძვირფასო!..

აი, ასეთი ვარ მე!



ლახით, ხელების ცეცებით მივედი ბელამდე — ხორბლის სუნი მეცა. იმდენი ხარახურა ეყარა, ძლივს ვიკვლევდით გზას. მე ჯერ გავინაბე და მერე ჩუმად დავიშინე: შშშშშ...

ლიამ ყურცი არ მათხოვა. მე კი, ვითომ ძალიან შევეშინდი, ვუჩურჩულე: — გაიგონე რალაც ხმა? რა უნდა იყოს?

ლიამ ისევ არად ჩაავლო ჩემი ნათქვამი, თავისი მეტი რა იქნებოდაო?

— თავგები? — შევიცხადე, — წარმოუდგენელია. მაშინ, ალბათ, ვირთხები იქნებიან, საზიზღარულვაშებიანი და ბასრკბილებიანი ვირთხები... ო, რა საშინელები არიან! — სადღაც წაითხული მქონდა და დავიწყე ვირთხებზე ლაპარაკი, მოვეყვი, როგორ

რაც შემეძლო, ვაკრაჭუნებდი კბილებს. საბერველივით ვქშინავდი, ყრუდ ვღმულოდი, თან აქეთ-იქით დავცოცავდი, რომ საშიში ყოფილიყო იქაურობა. ხან რას წამოვედებოდი და ხან რას, ბრახაბრუხი გაუდიოდა ყველაფერს, ზოგი რამ ჩამოვარდა, ზოგი გაგორდა, თითქოს ყველაფერი ინგრეოდა.

ლიამ სასოწარკვეთით შესძახა: „ღმერთო ჩემო!“

მე მაინც ვმაგრობდი, არ ვტყდებოდი. წარმოვიდგინე, რა შიშის ქრუანტელი უვლიდა ლიას თავიდან ფეხებამდე. უფრო მოვუმატი კბილების ღრჭიალს და მგელივით გაბმულად

მ. შარაძის სტ. სტ.  
სსრ. სახელმწიფო  
რესპუბლიკა

მეტალორგთა ქალაქის მეგობრობის, თბილისისა და ფალიაშვილის ქუჩების 19, 33, 14 ნომრებში მცხოვრები ბავშვების მეგობრულ კოლექტივზე კომკავშირის ქალაქკომშიც იციან. ბავშვებს — რუსთავის მე-18, მე-19 და მე-7 საშუალო სკოლების მოსწავლეებს ერთმანეთის ჭირიცა და ლხინიც გაზიარებული აქვთ...

ჩემს მარჯვენა ხელად ვთვლი მე-19 სკოლელებს — ტანია გავაშელს, გიული კურტანიძესა და ასმათ შუბითიძეს. გოგონები მეოთხე-მეხუთე კლასებში იყვნენ, როცა ჩემთან მოვიდნენ; ახლა უკვე კომკავშირელები არიან, მაგრამ მაინც არ გვცილდებიან. უმცროსებზე ზრუნავენ.

სახლმმართველობასთან მოქმედ პიონერული და კომკავშირული აქტივის კლუბში მხოლოდ კარგი საქმის თაოსნები იყრიან თავს. ტანიას, ასმათსა და გიულის ჩვენს სახლმმართველობაში აქტიური მუშაობისათვის კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის სიგელები გადაეცათ. ამ გოგონების დახმარებით გავაერთიანეთ მეგობრობის, თბილისისა და ფალიაშვილის ქუჩებზე მცხოვრები პიონერები და უფროსკლასელები სპორტულ სექციებში, — კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის გუნდებში; პიონერული და კომკავშირული აქტივის კლუბის ხელმძღვანელთა ყურადღება არც მნელად აღსაზრდელებს აკლიათ.

...როცა შეიტყვეს, ალა და ირინე შინაურებს არ უჯერებენ და დროს უქმად ატარებენო, ტანია, გიულიმ და ასმათმა მთელი ქუჩა ფეხზე დაა-



პიონერული აქტივის კლუბის  
მუშაობას ხელმძღვანელობს  
ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური  
საბჭოს წევრი  
ნათელა ფაილოვა

**წელაულს „კომსონის“ მრავალი მაგიდის ირგვლივ გამართული საუბრის მთავარი თემაა ზოგჯერ უნებურად სწორ გზას ანდანილი მოზარდებისადმი ყურადღება და ზრუნვა, ე. ი. პიონერული აქტივის მუშაობა სკოლის გარეთ. თქვენთან სასაუბროდ ზოგჯერ იმ უფროს მაგონრებასაც მოვიწვევთ, რომელშიც გვეხმარებოდნენ თავისუფალი დროის ორგანიზაციაში. ერთი მათგანია რუსთავის მე-9 სახლმმართველობასთან არსებული ბავშვთა ოთახის პედაგოგ-ორგანიზატორი ლამარა ჟღენცა.**

## სამი პურიც გავიჭინებთ

ყენეს; მათგან შევიტყვე ალასა და ორინას გატაცებაც; გოგონებმა რატომღაც არ ისურვეს სპორტულ სექციის გაერთიანება, არც სხვა წრეებისადმი გამოიჩინეს დიდი ინტერესი — თუ საკერავ მანქანას მოგვცემთ, კარგი იქნება, ჭრა-კერვა გვიანტერესებსო. მაშინ დახმარება რუსთავის მე-7 საშუალო სკოლის მოსწავლეებს ქრისტიანე ჯავახიძის ვთხოვეთ და მან მალე სახლმმართველობასთან გახსნა „ჭრა-კერვის კურსები“.

...ყველა ააღელვა მე-19 სკოლელის, მნელად აღსაზრდელი ვალერი ტულიკოვის ბედმა. ვალერი ძილიციის ბავშვთა ოთახმა აიყვანა აღრიცხვაზე.

ბიჭუნას ყურადღება აკლდა, დროს ქუჩა-ქუჩა უმიზნოდ ხეტიალში ატარებდა. ვალერი მაშინვე მოეჭყა კომკავშირული აქტივის კლუბის ყურად-

ღების ცენტრში.

— ყველაზე უფრო სპორტის რომელი სახეობა გიტაცებს? — ვკითხეთ ერთხელ ვალერის.

— მაგიდის ჩოგბურთი! — გვიპასუხა მეტისმეტი ყურადღებით „შეწუხებულმა“ ბიჭმა. ეგონა, ამის შემდეგ მაინც მომეშვებინაო.

ვალერი ტულიკოვს ჩოგბურთის მაგიდა შეეუძინეთ. არამართო შეუუძინეთ, საკუთარ ეზოშიც მივუტანეთ. დავავალეთ, ჩოგბურთის მოყვარულთა გუნდი შეექმნა, ეზოში დღის მეორე ნახევარში ევარჯიშათ და საკუთარი „გუნდი“ ეზოების სპორტკაიადისათვის მოემზადებინა.

ჩოგბურთის მაგიდა მთელი ზაფხული ვალერის ეზოში იდგა... მის შემდეგაც... თვალისჩინივით უფრო ხილდება ინვენტარს.

მე-19 საშუალო სკოლის ხატვის

მასწავლებელმა მერაბ მჭედლიშვილმა ჩვენი თხოვნით სახლმმართველობასთან ხატვისა და ძირითადი სპორტული შექმნა. წრეებში გაერთიანებული ველი ბევრი აღმოჩნდა; ისინი ჯერჯერობით ერთ მოუწყობელ ოთახში იკრიბებიან ხოლმე. ვალერიმ რომ გაიგო, ხატვის წრე შეიქმნაო, მაშინვე ჩაეწერა და მერაბ მასწავლებელს გვერდიდან არ სცილდება.

ამ ზაფხულს ცოტა ხნით რაჭაში მომიხდა წასვლა. წასვლამდე ვალერის ტელეფონით ველაპარაკე, ჩემს რყოფნაში მეტი პასუხისმგებლობა რომ ეგარძნო და გოგონებს დახმარებოდა; ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაუხარდა; დავალემა ხუთიანზე შემისრულა. ჩვენი კლუბის ბავშვებისათვის განკუთვნილ სპორტულ ინვენტარსაც მიხედა.

სახლმმართველობისა და მისი აქტივის თაოსნობით ფალიაშვილის ქუჩაზე კარგა ხანია, რაც კლუბის მშენებლობა დაიწყეს, მაგრამ მის დამთავრებას საშუალო არ დაადგა; ამას ძალიან განიცდიან ბავშვები. — ჩვენ თვითონაც ვიმუშავებთო, — ამბობენ ბიჭები, მათ შორის ავთანდილიც.


თავიდან ავთანდილიც პირქუშად შეხვდა პიონერული აქტივის ყურადღებას, მაგრამ შემდეგ „გატყდა“. ახლა იგი კარგად სწავლობს და უკვე ჩვენი კლუბის ბევრი ქების სიგელიც დაიმსახურა.

მეგობრობის, თბილისისა და ფალიაშვილის ქუჩებზე მცხოვრებ მოსწავლეებს მუდამ მოუხარიათ ჩვენი სახლმმართველობის ბავშვთა ოთახ-

თან არსებულ კლუბ „განთიადში“. კლუბი ბავშვების პატრიოტულ აღზრდას ემსახურება. მას მერვეკლასელი ტანია გავაშელი ხელმძღვანელობს; ტანიას მხარში უდგას მე-19 საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელი ნანული ბურდული. „განთიადთან“ მუშაობს სპორტული, ესთეტიკური აღზრდის სექციები, ნორჩ ნატურალისტთა, ქართულ ხალხურ საკრავთა შემსწავლელი წრეები, „საექსკურსიო ბიურო“.

განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია კლუბთან არსებული ნორჩ ნატურალისტთა წრე. ბავშვებმა მიწის ნაკვეთი მოითხოვეს. ჩვენ უყურადღებოდ არ დავტოვეთ მათი თხოვნა, — რუსთავის საქალაქო საბჭოს მოვასხენეთ და საქალაქო საბჭოშიც შეგვიპირდნენ ამ თხოვნის შესრულებას.

...მეგობრობის, თბილისისა და ფა-



ლიაშვილის ქუჩებზე მცხოვრები ქართველი, რუსი, სომეხი ბავშვები კარგი მეგობრები არიან. „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“ — ასეთია მათი ცხოვრების დევიზი. ეს გამომჟღავნდა ვალერიასადმი ზრუნვაში, ავთანდილის გამოსწორებით გამოწვეულ სიხარულში; იმაშიც, რომ ყველანი ჩვენი სახლმმართველობის ბავშვთა კლუბის საუკეთესო მომღერლებს ნაწული ჩიხრადქსა და ეთერ წიქარიშვილს ერთხმად აპყვებიან ხოლმე; რომ ტაშს უკრავენ სამი ეზოს მხატვრული კითხვის ოსტატებიდან საუკეთესოს — მე-19 საუკუნის სკოლის მერვეკლასელს ეროსი კიწმარიშვილს.

ჩვენს გვერდით არიან და გვამხნე-

ვებენ რუსთავის მე-18 საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს წევრები. მათი ყურადღება არ მოკლებია ამ სკოლის მოსწავლეს მალხაზ ძნელაშვილსაც, რომელიც კარგა ხანს იყო სკოლას ჩამოცილებული.

მალხაზი ახლა სკოლაში დადის. ამ წარმატებაში კი ყველას წვლილია, არა მარტო სკოლის რაზმეულის საბჭოსი, არამედ ჩვენი სახლმმართველობის ირგვლივ შემოკრებილი პიონერული და კომკავშირული აქტივიცაც.

არ დაგიძლავთ, სახელოვან მეტა-ლურგთა და ქიმიკოსთა ქალაქში მოსწავლეთა მხრიდან დანაშაულობათა ჩადენის საკითხი დღეს ძალზე მწვეველ დგას: ამიტომაც არიან განსაკუ-

თრებული ყურადღების დასახლები როლის ქვეშ ვალერი, ავთანდილი მალხაზი და ყველა, ვინც კი ჩვენი სახლმმართველობის მიკრორაიონში ცხოვრობს. მთავარი, იცით, რა არის? ეზოში მცხოვრები ბავშვები თავად არიან დაინტერესებულნი ამხანაგების ბედით. როგორც გითხარი, ისინი ერთმანეთის ჭირსა და ღონის იზიარებენ. მათ დიდ დახმარებას უწევს სკოლების პიონერული აქტივი. მათ გარეშე ვერც კი წარმომიდგენია ჩემი მუშაობა. სწორედ მათი დახმარებით შევძელით სკოლას ჩამოცილებული შვიდი მოსწავლის დაბრუნება სკოლაში.

სამი ქუჩის მეგობრებს რუსთავში ბევრი იცნობს...

**მალხა საბაშვილი**

**პანაპურაგით თუ არა კონკონს?**

1972 წ. 2 მარტს აშშ-მა გაუშვა კოსმოსური ხომალდი „პიონერ-10“. 1973 წლის დეკემბერში ხომალდმა გაიარა იუპიტერთან, შემდეგ ურანთან. მისი ორბიტა ისეა ჩაფიქრებული, რომ პლანეტებმა მესამე კოსმოსური სიჩქარე მიანიჭონ მას, ე. ი. ხომალდმა შეძლოს გაარღვიოს მზის მიზიდულობა, დატოვოს მზის სისტემა და წამში დაახლოებით 11 კმ სიჩქარით წავიდეს ვარსკვლავთშორის სივრცეებში. 80 000 წლის შემდეგ ეს ხომალდი დაახლოებით 1 პარსეკ მანძილს გაივლის, შემდეგ გაემართება ვარსკვლავ ალდებარანისკენ და 1 მლნ 700 ათასი წლის შემდეგ მიაღწევს მის მიდამოებს...

ეს ფაქტი თავისთავად ღირსშესანიშნავია — ადამიანის ხელით დამზადებული საგანი პირველად გავა ვარსკვლავთშორისეთში. საზეიმო იყო, დედამიწის მიზიდულობა რომ გავარღვიეთ და პირველი ხელოვნური თანამგზავრი შევქმენით, საზეიმო და დაუჯერებელი იყო, ადამიანი კოსმოსში რომ გავიდა და ისიც, მთვარეს რომ მიაღწია. ვარსკვლავთშორისეთში გასვლაც, ცხადია, ძალზე ამაღლებებელია.

ხომ შეიძლება, „პიონერ-10“ აღმოაჩინოს რომელიმე ვარსკვლავთა სისტემის ცივილიზაცია? აი, ამ შემთხვევისათვის მასზე მოათავსეს ლითონის ფირფიტა, რომელზეც ამოკვეთეს ზოგი მონაცემი ხომალდის გამშვები ცივილიზაციის შესახებ. ნაჩვენებია ადამიანის გარეგნული სა-

ხე, ცნობა მზის შესახებ და ცაზე მისი მდებარეობა. ამ მიზნით ფირფიტაზე მიუთითეს მზის მიმართ რამდენიმე პულსარის მდებარეობა. პულსარები ჩვენი გალაქტიკის უნიკალური ობიექტებია. ისინი დისკრეტულ რადიოსიგნალებს ასხივებენ გარკვეული, საოცრად მყარი პერიოდებით. ეს, ფაქტიურად, ევოლუციადამთავრებული ვარსკვლავებია, რომლებიც კარგად ცნობილი უნდა იყოს ყველა ცივილიზაციისათვის. ამას გარდა, პულსართა პერიოდები დროთა განმავლობაში გარკვეული კანონით იზრდება. ფირფიტაზე აღნიშნული მათი ახლანდელი პერიოდების და ხომალდის აღმოჩენის მომენტში მათი პერიოდების ერთმანეთთან შედარებით უცხო ცივილიზაცია დაადგენს ჩვენი ხომალდის გაგზავნიდან გასულ დროსაც, ე. ი. გაგზავნის მომენტს...

ოლონდ ვინემ ოდესმე რომ სადმე იპოვოს „პიონერ-10“, ამისი ალბათობა თითქმის ნულის ტოლია! არის ყურადღების მიპყრობის სხვა გზაც: გაიგზავნოს რადიოგადაცემები. მაგრამ საით? თუ ცალკეული ვარსკვლავისკენ, მეტად მცირე

იქნება მის სისტემაში დასახლებული პლანეტის არსებობის ალბათობა, ე. ი. სიგნალის მიღების ალბათობაც. სფერული, ყველგანმომართული გადაცემა კი, ჩვენს თანამედროვე ენერგეტიკას თუ გავითვალისწინებთ, ძალზე სუსტი გამოვა და უახლოეს ვარსკვლავებამდე ვერ მიაღწევს.

გამოსავალი მაინც იპოვეს. რამდენიმე წლის წინათ არესიბოს (პუერტო-რიკო) 300 მ-იანი რადიოტელესკოპით გაიგზავნა რადიოგადაცემა ვარსკვლავთა ერთ-ერთი გროვისაკენ. ეს გროვა რამდენიმე ათეულ ათას ვარსკვლავს შეიცავს და ჩვენგან 24 000 სინათლის წლის მანძილზეა. რადიოგადაცემა ვიწრო კონუსშია მიმართული, მაგრამ იგი გროვამდე მისვლისას გროვის ყველა ვარსკვლავს მოიცავს, ამიტომ მისი მიღების ალბათობა არც ისე მცირეა.

მაგრამ თუ ჩვენ გვიპასუხებენ, პასუხი 48 000 წელიწადში მოვა!

აი, ასეთი სიძნელეები გველოდება სამყაროში თანამოძმეთა მოძებნის გზაზე. ეგება მოინახოს კოსმოსურ მანძილთა ზეჩქარი გადალახვის რაიმე გზა? ენახოთ. იმედი ვიქონიოთ.





განყოფილებას ხელმძღვანელობს  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
კანდიდატი  
ნოდარ შამანაძე

### მთავის სიყვარული

მახარებს მთები მალღები,  
ამაყად გადმომდგარები,  
მათ მწვანე ხალიჩაზედა  
შემოფენილი ფარები.  
ქარაფები და კლდეები,  
არნივთა საბუღარები,  
ია, პირიმზე, გვირილა...  
ყვავილნი დაუმტყნარები,  
აქ დავიბადე, აქ ვცხოვრობ,  
მინას აქ მივებარები.

მთქმელი გიორგი მარცვალაშვილი,  
ჩაშწერი ლილი მარტიშვილი,  
ღუშეთის რაიონის ჩარგლის  
8-წლიანი სკოლა, VII კლასი.

### დედის ღარიკება

გულისყურით მომისმინე,  
რასაც გირჩევ, შვილო ჩემო,  
ჩემი ანწყოს ყვავილობავ  
და მომავლის შუქთამფენო;  
შეიყვარე რუსთაველის  
ენა ბრძოლაგადახდილი,  
უერთგულე, ვით ტარიელს  
ერთგულობდა ავთანდილი.  
მოძმეს ხელი შეაშველე,  
ჯანსაღია თუ სნეული,  
შენი სიტყვით, შენი საქმით  
იყავ კარგი, ღირსეული.  
კარგი საქმის თაოსანთა  
შენც იყავი მხარდამჭერი,  
რომ სამშობლო ქვეყნის გულში

ქებით გახდე ჩასანერი.  
სამოყვროდ და სამასპინძლოდ  
სახლის კარი გქონდეს ღია,  
სტუმარი ხომ ოჯახისთვის  
ხალისი და სილაღეა.  
შვილო, მიტომ გამოგზარდე,  
შენი შრომით მამულს არგო,  
სამახსოვროდ, სასახელოდ  
ხალხის გულში ნერგი დარგო.

მთქმელი გიორგი მარცვალაშვილი,  
ჩაშწერი გიული გარსეშვილი,  
ღუშეთის რაიონის ჩარგლის 8-წლიანი  
სკოლა, VII კლასი.

### რასმე კჰვია ღმრეშე?

ამ სოფლის მცხოვრებლებს უამრა-  
ვი ღორი ჰყოლიათ. ერთხელ მამასა-  
ლისს გაუგია — თათრის ჯარი გვიპი-  
რებს თავდასხმასო. მას ხალხისათვის  
ურჩევია: მორეკეთ ყველამ თქვენ-  
თქვენი ღორები, დიდი კოლტი შევა-  
დგინოთ და თათრებს სოფლის შემო-  
სასვლელში დავახვედროთო. ასეც  
მოქცეულან. თათრის ჯარს, როგორც  
კი ღორის კოლტი დაუნახავს, ზიზ-  
ლით პირი უბრუნებია და სოფლის  
დარბევაზე ხელი აუღია. გახარებულ  
ხალხს სოფლისთვის ღორეშა უწო-  
დებია.

მთქმელი ელენე იჩაბიტია (75 წ.),  
ჩაშწერი გიბ მჭედლიძე,  
ქ. სოხუმი. აძიუბუის 1-ლი საშუალო  
სკოლა, VII კლასი.

### მეხსვარიო ჩეულებ

წინათ მეცხვარეებს ერთი კარგი  
ჩეულება ჰქონდათ: თუ რომელიმე  
მათგანს სტიქიური უბედურების შე-  
დეგად ცხვრის ფარა მთლიანად დაე-  
ლუპებოდა, ნადიმს გამართავდა. ნა-  
დიმზე მიწვეული მწყემსები გასა-  
ჭირში ჩავარდნილ ამხანაგს მარტო  
სიტყვებით კი არ ანუგეშებდნენ,  
ცხვრითაც შეეწოდნენ ხოლმე: ზოგი  
ხუთ ნერბს აჩუქებდა, ზოგი — ათს,  
ზოგი კი მეტსაც.

ერთ ასეთ ნადიმზე დაგვიანებით  
მივიდა ჩოხაჩაოხეული მეცხვარე

და სუფრის ბოლოს დაჯდომის  
ეგონა, ეს თვითონაა ღარიბი და ერთ  
ცხვარსაც ვერ შეეწვიაო. ყველამ რომ  
თავ-თავის საჩუქარზე ილაპარაკა,  
თამადამ ჩოხაჩაოხეულ მეცხვარეს  
დამცინავად მიმართა: შენ რაღას შე-  
ეწევო. იგი გაღიმებული წამოდგა  
და რიხიანად დაიწყო:

რა მოგახსენოთ, ძმობილო,  
ბორბალო დიდი მთა არი,  
ორი ათასი ცხვარი მყავს,  
ბატკან-ნახარდი სხვა არი,  
თხუთმეტი მარტო ძაღლი მყავს,  
ბინის გომია სხვა არი,  
ვაჟისა აკვანი მიდგას,  
ქალისა კიდევ სხვა არი,  
ნადიმზე მოველ ასი ცხვრით,  
ორი და სამი რა არი?!

მთქმელი ილა ბასილაშვილი (76 წ.),  
ჩაშწერი ხათუნა ნიკოლიშვილი,  
ლენინგორის 1-ლი საშუალო სკოლა,  
V კლასი.

### მოხუცი მეყვარის ნათყვანი

ხელში დავიჭერ კომბალსა,  
ნახირს გავდენი დილითა,  
ძროხები ძოვენ ბალახსა  
დაულალავი პირითა,  
დაიტენავენ ცურებსა  
მარწყვა, შველა და ყირითა...  
თითო ათ ლიტრას ინველის  
სალამოთი და დილითა,  
რძე მოდის ჩქაფაჩქუფითა,  
როგორც რო წყალი მილითა.

მთქმელი მიხეილ მეზვრიშვილი (82 წ.),  
ჩაშწერი მანანა მეზვრიშვილი,  
თელავის რაიონის კისხხვის საშუალო  
სკოლა, X კლასი.

### სოჯალი კეჭვი

თამარ მეფეს ერთხელ ამ სოფელ-  
ში გაუვლია. შარავზიდან გლენის  
კარმიდამოში გადაუხედავს და დაუ-  
ნახავს: თორმეტიოდე წლის ბიჭს  
ცოცხი ეჭირა ხელში და ეზოს გვიდა.

# ჩემი სოფელი

ეს ამბავი გაკვირვებია და თავისი  
ამალისათვის უთქვამს: შეხედეთ,  
შეხედეთ, ძე გვის! ამის შემდეგ ამ  
სოფელს ძეგვი დაერქვა.

მთქმელი რუსუდან ოსაფაშვილი (58 წ.),  
ჩამწერი იამაზა ამირიძე,  
თბილისის 149-ე საშუალო სკოლა,  
VII კლასი.

## კ ნ დ ე ვ ე ზ ი

ბრიყვ მწყემსს ურჩევნია ნახირი  
შორიდან მოაბრუნოსო.

●  
კარგ მშოენელს კარგმა შემნახვე-  
მა აჯობაო.

●  
მორცხვი ქალი —  
ქვეყნის თვალი,  
მორცხვი კაცი —  
კვერცხის ფასი.

●  
ერთი თხილის გული ცხრა ძმამ  
გაიყო, შენ კი მეუბნები: საყოფი  
არ იყოო.

●  
დროზე მთესველი დროზე მოიმ-  
კისო.

●  
დღე-მეზვალე კაცსაო  
თოვლი მოუვა კარსაო,  
ან ყინვას ვერ გადურჩება,  
ანდა სუსხიან ქარსაო.

●  
ერბო რომ გადმოვა, ციცხესა და  
ჩამჩას ფასი დაეკარგებაო.

●  
იმ მეზობლის ჭირივე, რომელიც  
კვერცხზე მარილს მომიყრისო.

●  
როგორც იზრომებ. ისე იცხოვრე-  
ბო.

●  
რასაც ვერ შეწვდები, ნუ შეეწვდე-  
ბო.

●  
მცონარა ადგა და ველარ დაჯდაო.

●  
შენი შრომით შეძენილი ლუკმა  
ტკბილიაო.

მთქმელი ეპატარინე ივანაშვილი,  
ჩამწერი მანანა შაქლაშვილი,  
საჩხერის რაიონის გორისის საშუალო  
სკოლა, VII კლასი.

## მ ა ლ ა ი ა ნ ა ზ ა

ძლიერმა ქარმა დაჰქროლა  
და მოიტანა ამბავი:  
მზემ აიკრიფა სხივები,  
დაგვხურა ღრუბლის საბანი,  
გარდაიცვალა ლენინი,  
ცრემლით მოირწყა მთა-ბარი.  
ალარ გვყავს დიდი ბელადი,  
მაგრამ იმისი სახელი  
მუდამ იქნება ლხენის და  
სიცოცხლის გამომსახველი.

მთქმელი მარინე სოთიაძე (80 წ.),  
ჩამწერი ლეილა ამონაშვილი,  
თელავის რაიონის ლაფანყურის  
საშუალო სკოლა, X კლასი.

## კ ა ს ი ფ ა ს დ ე ბ ა

კაცი ფასდება შრომითა,  
ამას არ უნდა ცილობა,  
შრომასთან ცოდნაც კარგია,  
პატიოსნება, ზრდილობა,  
გულახდილობა, სისწორე,  
სიმართლე, პირდაპირობა,  
ამათგან ერთიც რომ გაკლდეს,  
ვერ ეღირსები გმირობას.

მთქმელი თამაზოზა გოგაბერიშვილი,  
ჩამწერი მანანა ვაშაშაძე,  
ვანის რაიონის ზედაგორას  
წ-წლიანი სკოლა, VIII კლასი.

## ს ა მ ს უ რ ი მ ა მ ა ნ ა ს ა

მოვლა ვისწავლე ვაზისა,  
თავს დავსტრიალებ ვენახებს.  
ყურძენი მიჯობს ყველა ხილს,  
ვაზი სჯობია ყველა ხეს.  
სანამდე მეზვრე არ გავხდი,  
ვერ გავიმართე წელშია;  
კედლებს მიმძიმებს ჯაგნები,  
მაჭარი ბორგავს ქვევრშია,  
ჩამოდით ბარისახოდან,  
სამგორს მენვიეთ რთველშია.

მთქმელი ბიო ბარჯიკაშვილი (38 წ.),  
ჩამწერი რევაზ გამხვამაშვილი,  
თელავის რაიონის კონდოლის საშუალო  
სკოლა, X კლასი.

ჩემი სოფელი...  
ბილიკები, ორლობები,  
ჩემი სოფელი...  
ცაცხვისა და ალვის ხეები;  
დღისით — ლურჯი ცა,  
მოქარგული ოქროს სხივებით,  
ღამით — მზუნავი  
ბადრი მთვარე და ვარსკვლავები.

ჩემი სოფელი...  
ტყეები და ეკალ-ბარდები  
და გზის პირებში  
თეთრი, თეთრი აკაციები,  
ბაღში — წითელი,  
მოღალანე ტურფა ვარდები,  
ბუჩქის ძირებში —  
თავდახრილი, მორცხვი იები.

ჩემი სოფელი...  
კოინდრები, კოხტა სახლები,  
ჩემი სოფელი...  
ბულბულები და წეროები,  
ტყისპირა ველზე  
ძველთა ძველი ნამოსახლევი.  
ჩემი სოფელი...  
მდელოები და ჩეროები.

ჩემი სოფელი...  
წყაროები, მიწა აყალო.  
ჩემი სოფელი...  
გულკეთილი ხალხი მშრომელი,  
მწვანე ველები,  
მინდვრები და კლდენი პიტალო...  
დედის მკერდით  
ტკბილი არის ჩემი სოფელი.

## ო ქ წ ნ ე ბ ა

როცა ჩაქრება ცისკრის ვარსკვლავი  
და ცის კამარა გაცისკროვნდება,  
ამღერებული, აჩქეფებული  
სადღაც მიილტვის ჩემი ოცნება.  
ცის მნათობი რომ აიკრეფს სხივებს  
და ლურჯ მთებს იქით ჩაესვენება,  
ამღერებული და ფრთებშესხმული  
მზის სხივს მიჰყვება ჩემი ოცნება.

# საქართველო

## სსსსსს

ასამთ გრობაპა

ზ ლ ა კ ა რ ი

მატყარი

დ. ზარაფიშვილი

მოხეტიალე ბიჭუნა კოკა შორეული მოგზაურობიდან სამშობლოში ბრუნდებოდა, ზურგჩანთა მოკიდებული მოიძვროდა ყვავილებით მორთულ მინდორზე. მერე ზურგჩანთა მოისროლა და მოეჩვენა, რომ დედამიწამ გულში ჩაიხუტა. დიდხანს იწვა ბიჭუნა ყვავილებსა და ბალახში პირქვე დამხობილი, მათი სურნელებით გაბრუებული.

უცებ უჩვეულო სიჩუმემ შეაკრთო და წამოახტუნა. სულგანაბული ყვავილების თავზე უხმოდ რიალებდნენ ფუტკრები. შორიახლოს ამაზრზენი სისინი ისმოდა. ბიჭუნას ძარღვებში სიცვიემ დაურბინა, ყვავილებსაც შეაურთოლა.

კოკამ ფეხზე ჩხველტა იგრძნო. დაიხედა. ფეხებთან ზღარბი მობობდებულიყო და რაღაცას ეჩურჩულებოდა. ბიჭუნამ ხელში აიყვანა.

— ჩემო მეგობარო! — მიმართა ზღარბმა, — ქვესკნელის მბრძანებელმა სიცოცხლის ხმები გაიტაცა. ფოთლებს შრიალი წაართვა, მდინარეს ხმა, ნაბიჯს ჩქამი, ყვავილებს სუნთქვა, ბავშვებს სიმღერა... — ცოტა ხანს შეისვენა და კვლავ განაგრძო: — მე ვერაფერი დამაკლო ბოროტმა, მაგრამ მიწინასწარმეტყველა, ხმას თუ ამოიღებ, მოკვდებიო. მშვიდობით, კოკა! შენ უნდა დაიხსნა სიცოცხლის ხმები! — ეს თქვა და სული განუტევა.

კოკამ ზღარბი ბალახებში ფრთხილად დაასვენა და სწრაფად იქითკენ გასწია, საიდანაც ამაზრზენმა სისინმა მღუმარება მოჰგვარა ყველას და ყველაფერს.

მიდიოდა ყმაწვილი და ხედავდა, როგორ დალასლასებდნენ სიცოცხლის ხმებს მოკლებული სულდგმულნი. ტანკენარი ხეები აღარ ირხეოდნენ — აღარ ისმოდა ფოთლების შრიალი, ჩუმად მიედინებოდნენ რუები. კოკა შეუსვენებლივ მისდევდა ქვესკნელის მიუფის კვალს. ბოლოს უზარმაზარი უფსკრულის თავზე აღმოჩნდა. უფსკრულის სადღაც სიშორეში მიიკლაკნებოდა და სიღრმეში ვერცხლისფერი მდინარის ვიწრო ზოლს უერთდებოდა.

ანაზღად წვერწამახულ კლდეთა ქიმები ბიჭუნასაკენ სხივებივით წამო-

ვიდნენ და თან დედამიწის გულიდან შადრევანივით ამომსკდარი მუსიკის ხმები ამოიყოლებს. დაღლილობისაგან დაძიმებულმა სხეულმა სიმსუბუქე იგრძნო. საზარელი მღუმარებისაგან გათოშილ გულს თბილმა ტალღებმა გადაურბინეს და გააღადეს. მაგრამ უფსკრულიდან ამოვარდნილი ხმები მოულოდნელად ჩაქრნენ, ჩაკვდნენ უკაცრიელ სიღრმეში. სიჩუმისაგან კვლავ საშინელი სიცვიე იშვა და ყმაწვილს შეაურთოლა.

ამ დროს უფსკრულიდან წყლის იდუმალი ხმა მოესმა:

— ნუ აყვენებ!

ბიჭუნა კლდეს მოწყდა და მდინარისაკენ — უფსკრულის სიღრმეში გადაეშვა. უზარმაზარ ფრიალო კლდეებზე ფრიალით გადმოდიოდა პირქუში მდინარე და ახლა უკვე კოკასთან ერთად მიიკვლევდა ლუსკუმისაკენ გზას. ცივი დუმილის შემდეგ ყმაწვილს ახარებდა მდინარის ზარი და ზათქი. ხმაურში ყურმა ნელ-ნელა გაარჩია ჭიკჭიკი, ირმის ყვირილი, ქარის კავილი — ყველა ხმა, ლუსკუმში ჩაკეტილი, ყველა ბგერა, კვნესითა და ზრიალით ზემოთ ამომავალი.

მდინარემ მგზავრი მშვიდობიანად გააშორა მშფოთვარე წყვილადს და იისფერი შუქით განათებულ ციხესიმაგრესთან შეგუბდა. აქ დედამიწა გელოდებოდა, — უთხრა ყმაწვილს და დამეში დაინთქა.

კოკამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. ციხესიმაგრის კარი ნელა გაიღო და ბიჭუნა მრავალწახნაგოვან დარბაზში აღმოჩნდა. აღმდარის გვირგვინისანი დედამიწა მდიდარულად მორთულ ტახტზე იჯდა. სტუმარი გამოჩენისთანავე შენიშნა და თავისთან მიიხმო.

— მაღე მოსულხარ, ყმაწვილო! — მხარზე ხელი დაადო კოკას და დასძინა: — გიცნობ, ყოჩაღი ბიჭი ხარ! ბევრჯერ მინახიხარ ჩემს მთებსა და ტყეებში. ქვესკნელის მეფის საძებნელად რომ წამოხვედი, ჩარდახზე მაგნიტის წამოსახსამი გადავფინე, რომ მის ძალა ჩემთან მოეყვანე.

კოკას მოაგონდა ფერად-ფერადი მინერალებით სავსე ზურგჩანთა, ყვავილებიან მინდორზე რომ დატოვა. მერე მღუმარე, შიშისაგან ცახცახებული ბუნება დაუდგა თვალწინ და დედამიწას შეეკითხა:

— თქვენ ალბათ იცით, სად იმყოფებიან სიცოცხლის ხმები?

— ისინი ბნელ უფსკრულში იმყოფებიან ეშმაკ და ცხრაადლიანი მათრახითა სცემს, რომ დაიმორჩილოს, — მწუხარედ ჩაიდუღუნა დედამიწამ.

უცებ ბიჭუნას მოეჩვენა, თითქოს კედლებზე ადამიანებისა და ხეების, ცხოველებისა და ჩიტუნების ლანდებმა გადაირბინეს და ერთ კუთხეში მიიყუთუნენ. მათ თავზე ელვასავით მიიკლაკნებოდა შავი ზოლი, რომელიც ხან ერთი მხრიდან გამოჩნდებოდა, ხან მეორე მხრიდან გაკრთებოდა და აჩრდილთა თავზე მძიმედ ეცემოდა. კროლდნენ და ცახცახებდნენ აჩრდილები.

კოკა მონუსხულივით წამოგდა. ეს მოჩვენება კი არა, სინამდვილე იყო. ბიჭუნა კედლებზე მიწის შვილთა ლანდებს ხედავდა. აჩრდილები თან წამოჰყოლოდნენ სიცოცხლის ხმებს და მათ სატანჯველს იზიარებდნენ.

ყმაწვილი აჩრდილებისკენ გაემართა. მიახლოებისას კედელი გაიხსნა და მოლაპლაპე შუქმა კოკას თვალი მოსჭრა. დედამიწამ ყომრალი წამოსახამის კალთა გადააფარა ბიჭუნას. მიწასავით გამჭვირვალე საფარიდან ყმაწვილმა ყურადღებით შეათვალიერა სინგურისფერი დარბაზი. დარბაზის შუაგულში ფერია იდგა, ტანს მეწამული კაბა ემოსა და მარმარილოს ხელებში გავარვარებული მახვილი ეჭირა.

— იცანი, ჩემო ბიჭუნავ? ეს ის ფერიაა, ღამ-ღამობით ბავშვებს სიმღერას რომ ასწავლის, პოეტებს ლექსებს რომ ათხვევინებს, მხატვრებს ფერებით ასაჩუქრებს, ადამიანებს მთისა და ბარის საიდუმლოებას ანდობს.

— მერე აქ ვინ ჩაკეტა?

— უფსკრულის მბრძანებელმა ჩააგლო მარადიულ ცეცხლში, — ღრმად ამოიოხრა დედამიწამ. — მახვილი, ხელთ რომ უბყრია, ერთად გამოვჭედეთ. ამ მახვილს ჯადოსნური ძალა აქვს. ვინც გავარვარებულ მახვილს ხელში აიღებს და ყინულოვან ტბას სამჭერ დაჭკრავს, ჯადოსნურ სალამურს იპოვის და, თუ მას დაუკრავს, სიცოცხლის ხმები სამუდამოდ გადარჩება.

კოკამ წამოსახსამის კალთა გადაიხადა — მას ახლა არც სწავდა და არც თვალს სჭრიდა ცეცხლმოკიდებული კედლები, და აღმოედებულ დარბაზში შევიდა. დედამიწამ სცადა შეეჩერებინა.

— ჩემო ბიჭუნავ, ცეცხლს კიდევ რომ გადაურჩე, ყინვას ვერ გადაურჩები!



— თუ იმას მოგვიკლავენ, რაც გვა-  
ლაღებს, ჩვენც ვერ ვიცოცხლებთ! —  
მტკიცედ განაცხადა კოკამ და ფერი-  
ას მახვილი ჩამოართვა.  
— გახსოვდეს, ბიჭუნავ! — აფორი-  
აქდა დედამიწა, — ტბა ჭაღოსნურ

სალამურს გადმოგცემს და შენც  
უმალ დაუკარი, თორემ ორივენი ყი-  
ნულის ნამსხვრევებად გადაიქცევი.  
ამის თქმა მოასწრო დედამიწამ და  
კოკა გაუჩინარდა.  
ამასობაში ქვესკნელის მეუფეს ბი-

ჭუნას შესაპყრობად თავისი ქვეშევრ-  
დომები დაეგზავნა. თვითონ კი, ამო-  
ძებნით გამძვინვარებული, საშინელი  
დრიალით უახლოვდებოდა დედამიწას  
წის ციხესიმაგრეს.  
— შეანგრიეთ გვირგვინოსანი მი-  
წის ხელშეუხებელი ზღუდეები! არ მო-  
ერიდოთ მის ცრემლსა და მწუხარე-  
ბას! ჩვენც მისი შვილები ვართ, მაგ-  
რამ ვძულვართ და ადამიანს ენდობა  
მხოლოდ!  
დარბაზში იარაღის უღარუნით შე-  
მოცუფდნენ ქვესკნელის მეუფე და  
მისი მცველები.



— თავი მოჰკვეთეთ ფერიას! —  
უბრძანა მეფემ ჭაღათებს. — სამუ-  
დამო ძილს მიეცით სიცოცხლის ხმე-  
ბი! შეიპყარით და დღე მოუსწრაფეთ  
იმ თავზედ, ხა-ხა-ხა, კე-თილ ბიჭუნას,  
სიცოცხლის ხმების დახსნა რომ გა-  
დაუწყვეტია!  
მერე მძულვარედ ჩახედა დედამი-  
წას თვალეში და დაისისინა:  
— მოგიკლავ საყვარელ შვილს,  
რომ ველარ გაიგო, ვინ არის კეთი-  
ლი, ვინ ბიროტი. მე გეუოლები ერ-  
თადერთი შვილი. აღერსი რომ მოგი-  
ნდება, მე მომეფერები. ისე გეყვარე-  
ბი, რომ ველარ მიხვდები ჩემს სიბო-  
როტეს.  
გულშეღონებული დედამიწა პირ-  
ქვე დაეცა.  
— იცოდეს ყველამ, რომ უკ-  
ვდავი ვარ! ვიდრე ვარსებობ, დედა-  
მიწაც იარსებებს. დასერეთ მისი  
გულ-მკერდი. დაუხვრიტეთ გრანიტი-  
სა და მაგნიტის ძვლები. თავი მოხა-  
დეთ ცეცხლოვან ქვევრებს, რომ დე-  
დამიწას სხეული ეწოდეს.  
ჭაღათებმა ფერია გაიყვანეს. სიცო-  
ცხლის ხმები უსიტყვოდ იხოცებო-  
დნენ... დედამიწა საღათას ძილს მის-  
ცემოდა.  
ქვესკნელის მეუფე ზეიმობდა.  
ამ დროს შორიდან ძლივს გასაგო-  
ნად მოისმა სალამურის ხმა. ქვესკნე-  
ლის ჭურღმულეები ოდნავ შექანდა,  
ცხრაკლიტულეები შეირყა.  
სალამურის ხმა თანდათან მოახ-  
ლოვდა და გაძლიერდა. ცეცხლი გა-  
ნელდა.  
ლუსკუმის მეუფე და მისი ჭაღა-  
თები ძალას კარგავდნენ.  
სალამურის ხმა აღნობდა წყვილი-  
აღს.  
ყოველი ჩქამი, ბგერა და მელოდია  
პირვანდელ მფლობელს უბრუნდებო-  
და.  
ქვესკნელის ფსკერზე მუშემ ჩაიხედა.  
ნელ-ნელა წამოაღა დედამიწა.  
კეთილი ბიჭუნას დაკრული სალა-  
მურის ხმამ მდუმარე სილურჯე გა-  
არღვია და სამყაროს სიცოცხლის  
ხმათა გათავისუფლება ამცნო.

ჰიდროენერჯია არის და ალბათ კიდევ კარგა ხანს დარჩება ენერჯიის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ. სად უნდა აიგოს მომავლის ჰიდროელსადგურები? ძირითადი ჰიდრორესურსები ან უკვე გამოყენებულია, ანდა სულ მისხალ-მისხალ არის სამომავლოდ აწონილი. თამამი საინჟინრო პროექტები უეჭველად შექმნიან ხელოვნურ ზღვებს, მაგრამ ეს მხოლოდ დაუსახლებელ რეგიონებში მოხდება, ე. ი. იქ, სადაც მიწა იოლი შესაღებია, სა-

# კომპლექსური

# ჰიდროელსადგურები

დაც მიწის წყლით დაფარვა არ გამოიწვევს სხვა საარსებო რესურსების დამარხვას. აზიის, აფრიკის და სამხრეთ ამერიკის ბევრი მდინარე მომავალში ალბათ პირსაც იბრუნებს, რათა ხელსაყრელი წყალსაცავები და ჰიდრონაგებობანი განლაგდეს მათზე.

საჰარის უდაბნოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ხმელთაშუა ზღვის დიდებული პლაჟებიდან სულ რაღაც 80 კილომეტრის დაშორებით, მდებარეობს პატარა — ოვალური ფორმის გიგანტური ქვაბული (მისი სიგრძე 300 კილომეტრს ჰპარბობს). კატარის აღმოსავლეთ ნაწილში გაწოლილია ოაზისი მაგარა, დასავლეთით — ოაზისი სივა. თვით ყველაზე თავზეხელაღებულ მექარავნებსაც კი ზარავთ ამ ქვაბულის გახსნება და სათოფედ არ ეკარებიან მას. მართლაც, დედამიწის ზურგზე ძნელად თუ მოიძებნება კატარაზე უსიცოცხლო, გამოფიტული, ცხელი და ქარიანი ადგილი. ამ ქვაბულამდე ვერ აღწევენ ხმელთაშუა ზღვის ნოტიო ქარები, რადგან მათ გზას უღობავს საკმაოდ მაღალი (2300 მეტრამდე სიმაღლის) მთარეხილი; მზის უღმობელი სხივები კატარას ზედაპირს არაბუნებრივად აცხელებს. ქვაბულში, რომლის უღრმესი ადგილი ოკეანესთან შედარებით 135 მეტრით დაბლაა, არ შედის და, ცხადია, არც გადის არც ერთი წყლის ნაკადი.

კატარის ასეთმა უჩვეულო გეოგრაფიულმა მდებარეობამ კარგა ხანია მიიპყრო გეოლოგთა ყურადღება. ჯერ კიდევ 1912 წელს ბერლინელმა პროფესორმა პენკმა მოინდომა ამ უნიკალური ადგილის სამეურნეო მი-

ზნით გამოყენება. მაგრამ იმხანად ესოდენ გრძელი არხისა და გვირაბების გაყვანა შეუძლებელი შეიქნა. ამ საკითხს 1933 წელს კვლავ მიუბრუნდნენ, მაგრამ ისევ ამაოდ. 1964 წელს კატარის პრობლემა ისევ დადგა დღის წესრიგში. ხმელთაშუა ზღვის წყალი რომ არხით კატარამდე მიიყვანონ, ამას კოლოსალური თანხა სჭირდება და ამიტომ მაშინ ესეც სამომავლოდ გადაიდო. და ბოლოს, 70-იანი წლების დასასრულს გერმანელმა ჰიდროლოგმა ბესლერმა ყურადღება მიაქცია ამერიკის ატომური ენერჯიის კომისიის ერთ-ერთ პროექტს, რომლის თანახმადაც გამიზნული ატომური აფეთქებებით ნიუ-მექსიკის შტატში ამოთხარეს ხელოვნური ქვაბულები, გაიყვანეს არხები. ხომ არ შეიძლება ამ მეთოდით იქნას გაყვანილი არხი, რომელიც ხმელთაშუა ზღვას კატარასთან დააკავშირებს? — შეეკითხა ბესლერი ამერიკელ სპეციალისტებს. პასუხი დადებითი მიიღო. მართლაც, წარმოუდგენელია უკეთესი ადგილი, სადაც შეიძლებოდეს აფეთქებებით მთების დანგრევა და არხის გაყვანა. ამას მთის ქანებიც უწყობს ხელს და მდებარეობაც იმდენად უღაბურია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს დანაღმული ადგილებიც


კი არ არის ზოგან განაღმული. შეცნიერი ფიქრობს, ატომური აფეთქებებით გათხრილ კატარისაკენ დაქანებულ არხზე გზადაგზა ელსადგურები აშენდეს. ხმელთაშუა ზღვის წყალი უზარმაზარ ტურბინებს დაატრიალებს. ქვაბულის კოლოსალური მოცულობის და განუწყვეტელი აორთქლების მეოხებით ეს ხელოვნური კასრი მხოლოდ 60-70 წლის შემდეგ „გაივსება“. სიტყვა „გაივსება“ აქ შეგნებულად არის ჩასმული ბრჭყალებ-

ში, რადგან ხელოვნური ზღვის გიგანტური სარკე (ფართობი 121 000 კვ. კილომეტრი) ოკეანესთან შედარებით მაინც 60 მეტრით დაბლა იქნება. ასე რომ, წყლის დონე არასოდეს არ აიწვევს უფრო მაღლა და ზღვიდან შემოსული წყალი (წამში 650 კმმ) აორთქლებით გაქრება. საგუბარიდან წელიწადში 19 მილიარდი კმ მეტრი წყალი აორთქლდება და ეს სავსებით საკმარისია, რათა ჰესის ტურბინებმა მუდმივად იმუშაოს. ამრიგად, ეს ქვაბული მართლაც რომ თავისებური „უფსკერო კასრია“.

მაგრამ ამ რეგიონში, პროფესორ ბესლერის მეთაურობით, სრულიად შემთხვევით კიდევ ერთი ახალი სასწაული აღმოაჩინეს, რაც ამ კასრთან სიმძლავრეს რამდენიმეჯერ გაზრდის. კატარის ჩრდილო ნაწილში ზღვის დონიდან 215 მეტრის სიმაღლეზე იპოვნეს ბუნებრივი ღრმული, რომელსაც 50 მილიონი კმ მეტრი წყალი შეუძლია დაითიოს. ეს წყალსაცავი თავისებურ აკუმულატორად შეიძლება იქნეს გამოყენებული და აი, როგორ: ცნობილია, ელექტროსადგურები ძირითადად დღისით მუშაობენ, რადგან ღამით ენერჯიაზე მოთხოვნილება მცირდება. კატარის სადგურების ტურბინები კი დღედაღამ იმუშავენ! ღამით გამოყოფილი ენერჯია მძლავრი ტურბინებით ტაფობზე აიტანს წყალს. ეს წყალი დღისით, პიკის საათებში ქვემოთ დაეშვება და ამუშავებს რამდენიმე სხვა ელექტროსადგურს.

ვარაუდობენ, რომ ამ კომპლექსის მშენებლობას შვიდი წელი დასჭირდება.

„ნაუკა ი ეინ“





# ბიონიკა

რ ა რ ი ს  
ბ ი ლ ი გ ი ა


მხოლოდ მოძრავ საგნებზე რეაგირებენ ჩვეულებრივი ბაყაყებიც. ამიტომ არის, რომ ისინი ხშირად ეტანებიან გველის მოსავსავე ორკაბ ენას, რომელიც მათ საკბილო ჰგონიათ. მსხვერპლის დაჭერით გართული ბაყაყი თვითონვე მიილტვის თავისი არახელსაყრელი ბედისაკენ — პირდაპირ პირში უვარდება წყლის გველს. გველმაც „იცის“ ბაყაყების ეს სუსტი მხარე და წყალსატევების მახლობლად წარმატებით ნადირობს მათზე.

მწერები შესანიშნავი მფრინავები არიან, ხოლო მათი საფრენი აპარატები — ადამიანის შექმნილზე გაცილებით უფრო ეკონომიურნი. სხეულის მდგომარეობის შეუცვლელად, მხოლოდ ფრთების დახმარებით მწერები განსაკვიფრებელი სიმსუბუქით ასრულებენ ჰაერში ისეთ ვირაჟებს, რომლებიც ყველაზე საუკეთესო თვითმფრინავებისათვისაც მიუღწეველია.

იმის შესასწავლად, თუ რა როლს ასრულებენ ფრენისას ფრთის ცალკეული მონაკვეთები, სპეციალისტებმა გამოიკვლიეს სხვადასხვანაირად მფრინავი მწერები: ორფრთიანები, ბადეფრთიანები, სწორფრთიანები, ქერცლფრთიანები, ხეშეშფრთიანები და სხვ. ქირურგიული მაკრატლით ფრთის ცალკეული ნაწილების შექ-

რის შემდეგ მეცნიერები ნაოპერაციევ მწერებს ბუნებაში უშვებდნენ და აკვირდებოდნენ, თუ როგორ ფრენდნენ ისინი. რა შეიცვალა მათ ფრთებზე...

პტეროსტიგმის მოშორების შემდეგ ნემსიყლაპები არათანაბრად იწყებდნენ ფრთების ქნევას. მათი ფრენა უფრო ფარფატს ემსგავსებოდა. აღმოჩნდა, რომ პტეროსტიგმა არეგულირებს ფრთების ქნევას და მექანიკური დანიშნულება აქვს. როგორც კი ეს ცნობილი გახდა, აეროდინამიკის სპეციალისტებმა ფლატერი გაიხსენეს. ფლატერი ეწოდა მავნე რხევებს, რომლებიც ამსხვრევდნენ საფრენ აპარატთა (თვითმფრინავთა) ფრთებს. არაერთი შესანიშნავი კონსტრუქცია დაღუპა სწრაფად მფრენი მანქანების ამ ნამდვილმა რისხვამ. ახლა იგი წარსულის მწარე მოგონებებს



განეკუთვნება. სახელოვანმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა მსტისლავ კელდიშმა შემოქმედდა სპეციალური თეორია აეროდინამიკის ძალთა გავლენით ფრთების უეცარი რხევების წარმოშობის შესახებ. ამ თეორიის საფუძველზე მიკვლეულ იქნა ფრთების ბოლოების დამძიმების გზით ფლატერის თავიდან აშორების ხერხები. ახალი, მსგავსი დამძიმებების მქონე ფრთებში რხევები არ წარმოიქმნება.

მაგრამ ნემსიყლაპიას ფრთებზე პტეროსტიგმას ხომ იგივე დატვირთვა აქვს, რაც თვითმფრინავის ფრთების ბოლოებზე შეგნებულად გაკეთებულ შესქელებებს. სწორედ მწერების ფრენის კვლევისას აღმოაჩინეს ბიოლოგებმა ნემსიყლაპიას

ფრთებზე პტეროსტიგმა — პირველსახე იმ გამოგონებისა, რომელიც კონსტრუქტორებმა ხანგრძლივი ძვირადღირებული კვლევა-ძიების შემდეგ შეაიარაღეს სწრაფადმფრენ თვითმფრინავთა ფრთები. ეს პირველსახე, თურმე, მილიონობით წლის განმავლობაში არსებობს მრავალი მწერის ფრთებზე.

ნემსიყლაპიას ფრთებზე პტეროსტიგმის მიკვლევის შემდეგ ცნობილი რუსი აეროდინამიკოსი მ. ტიხონრაჟოვი წერდა: „ბუნება ზოგჯერ მიგვანიშნებს, თუ რა განსაკვიფრებელი სიმარტივით შეიძლება ამოიხსნას ყველაზე რთული ამოცანები“.

ასე დაიბადა სიუჟეტი ახალი, ჯერ კიდევ დაუწერელი იგავისა, რომლის მორალი თითქოსდა ურჩევს ადამიანს: „ისწავლე ბუნებისაგან, გადაიღე მისგან ყველაზე ჭკვიანური, რათა ყველაფერი უფრო უკეთ გააკეთო, ვიდრე ეს თვით ბუნებაშია“.

მკვლევარებს არაერთი თავსატეხი გაუჩნდათ: რად სჭირდებათ ფრთებზე ქერცლი პეპლებს, ანდა მიკროსკოპული ბეწვები — სხვა მწერებს, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელებს არ აქვთ გრძობათა ორგანოებისათვის დამახასიათებელი რაიმე ფუნქცია...

დელფინების შესწავლამ მეცნიერებსა და ინჟინრებს შესაძლებლობა მისცა, შეექმნათ სპეციალური საფარი, რომელიც ხომალდებისა და სხვადასხვა ნაგებობის მოძრაობის დროს შეამცირებდა წყლის წინააღმდეგობას.

საქმე ის არის, რომ, ენერჯის შედარებით მცირე დანახარჯისას, დელფინები დაეუფლნენ სწრაფად ცურვას და გიგანტურ ნახტომებს. ამას მათ მიღწიეს არაერთი ათასწლეულის მანძილზე, როცა საკვების მოსაპოვებლად სწავლობდნენ სწრაფადმცურავი თევზების დაწევას. საინტერესოა, რომ ჰიდროდინამიკოსთა გამოანგარიშებით, დელფინს არ შეუძლია განავითაროს 20 კილომეტრზე მეტი სიჩქარე საათში. სინამდვილეში კი იგი 2-3-ჯერ აჭარბებს ამ სიჩქარეს. ჯერ კიდევ 1936 წელს ამერიკელი ჯეიმს გრეი, რომელიც სწავლობდა წყლის ცხოველთა მოძრაობას, დაინტერესდა დელფინის უჩვეულო და



## შინაოუსკლელთა მემორიალი ბერჯანში

1978 წლის 9 მაისს, გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, ქალაქ გურჯაანში გაიხსნა შინაოუსკლელთა მემორიალი (მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი, მხატვარი გრიგოლ ჩირინაშვილი, რელიეფები შეასრულა მოქანდაკე ტატიანა კიკაბიძემ, არქიტექტორები გივი ჭაფარბიძე და ირაკლი მოსულიშვილი). მემორიალი საკმაოდ რთული არქიტექტურული ანსამბლია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვარდიხფერი ქვით მოპირკეთებული, რელი-

ეფებით დამუშავებული კედელი და ერთსართულიანი ნაგებობა, სადაც მუზეუმიცაა გამართული. მხატვრულ-კომპოზიციურად ანსამბლი ერთიანი, შეკრული მთელია. სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს კედელზე რამდენიმე რეგისტრად განლაგებული რელიეფები, ერთიანად დეკორატიული დეტალებით გაერთიანებული ცალკეული მრავალფიგურიანი სცენები; მოქანდაკე ტ. კიკაბიძე კარგად იყენებს ძველი ქართული რელიეფების ფორმასა და ტექნიკას—ბრტყელი, კუთხოვანი, სტატიკური ფიგურები მოკლებული არ არიან შინაგან დინამიკას და რიტმულობას. ცალკეული ფიგურები, ვაზის მტევნები, ბრიალები, ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებანი უძველესი ქართული რელიეფების ასოციაციას იწვევენ და თან უაღრესად თანამედროვენი არიან. ანსამბლის ცენტრი, მისი ძირითადი ნაწილი საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის და რუსთაველის პრემიის ლაურეატის მერაბ ბერძენიშვილის მიერ შესრულებული ფიგურაა.

გურჯაანის მემორიალის ანსამბლში მ. ბერძენიშვილს უნდა შეექმნა სამამულო ომის მონაწილე კახელი კაცის

ზოგადი სახე. ჩანაფიქრი, განუზოგადებინა ქართველი კაცის შეგნებაში ღრმად ჩამჯდარი სახე ქართველი კაცის ნოფილმის „ჭარისკაცის მამის“ საქარიაძისეული გმირისა, სრულიად გამართლებული აღმოჩნდა. იდეა დაიბადა, საპოვნელი იყო ფორმა. უპირველესად განისაზღვრა ადგილი, სადაც მონუმენტი უნდა აღმართულიყო. საამისოდ შერჩეულ საქმაოდ მაღალ ბორცვზე არქიტექტორებმა შექმნეს დაბალი, უბრალო და სადა კვარცხლბეკი, რომლის მასალად გამოიყენეს საქართველოს ამ კუთხისათვის ტრადიციული აგური. არქიტექტორები მთლიანად დაემორჩილნენ მოქანდაკის ნება-სურვილს — ეს კვარცხლბეკი მხოლოდ ხელს უწყობს მონუმენტის ისედაც ვეებერთელა ფიგურის წარმოჩენას (ნაქვედი სილენძით შესრულებული ძეგლის სიმაღლე 12 მეტრია). დიადი, ოდნავ მძიმე ფიგურა მთლიანად ბატონობს ანსამბლზე, რომლის სხვა დეტალები გაითქვიფა მონუმენტის ვეება მასაში. ადამიანის ფიგურის ხაზგასმული, პლასტიკურად ძლიერი ფორმა, მისი ბუნებრივი მოძრაობა, მძლავრი, ცოცხალი ფორმები, მკვეთრი სილუეტი და მოცულობა გაბატონდა სივრცეზე, დაბლიდან ფიგურა თითქმის ცის ფონზე იკითხება და კახეთის ლაჟვარდოვანი ჰაერი ქმნის განუსაზღვრელ სივრცეს, რომელსაც ზუსტად უნდა

სწრაფი ცურვით. გრემ ცდებით დამტკიცა, რომ დელფინის მიერ განვითარებული სისწრაფე საგრძნობლად აჭარბებს ამ ცხოველის კუნთური ძალების საზღვრებს. მისივე გამოთვლით, დელფინს უნდა ჰქონდეს ან ზებუნებრივი, კერძოდ, ნებისმიერ ძუძუმწოვარზე შვიდჯერ უფრო მეტი ძალა (რაც შეუძლებელია), ანდა რაღაც სხვა ძალით უნდა ახერხებდეს წყლის წინააღმდეგობის შემცირებას. მაგრამ რა ძალით? იმ დროისათვის ამ ამოუხსნელმა მოვლენამ —საკუთარ შესაძლებლობებზე უფრო სწრაფად მოძრაობამ, — „გრეის პარადოქსის“ სახელწოდება მიიღო.

ბევრად უფრო გვიანდელი დაკვირ-

ვებებით გამოირკვა, რომ დელფინის ჰიდროდინამიკური თავისებურებები გაცილებით უფრო სრულყოფილია, ვიდრე ტორპედოებისა და წყალქვეშა ნავების კონსტრუქციები. ამ ფაქტმა დააინტერესა მეცნიერები. მათ მიკროსკოპულად შეისწავლეს დელფინის გლუვი და მკვრივი ტყავი და მის მიხედვით შექმნეს წყალქვეშა ნავების კორპუსების „ჩასაცმელი“. საათში 70 კილომეტრი სიჩქარის განვითარებისას ასეთი მოდელი 60 პროცენტით ნაკლებ წინააღმდეგობას ხვედებოდა, ვიდრე „ჩაუცმელი“ ნავი. მაგრამ ეს მოდელი დელფინის ტყავის უხეშ იმიტაციას წარმოადგენდა. ამჟამად საბ-

ოლოდ დადგენილია, რომ ცურვის პროცესში წყლის წინააღმდეგობის დაძლევის საქმეში ტყავის გარეგანი შრის მორფოლოგიური და ჰისტოლოგიური თავისებურებების გარდა დიდ როლს ასრულებს თავის ტვინი. იგი სპეციალური ბიოდენების საშუალებით არეგულირებს ტყავის იმ უბნის მუსკულატურის მუშაობას, სადაც მოცემულ მომენტში წყლის ყველაზე მეტი წინააღმდეგობა იგრძნობა.

ბიონიკის — მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ამ პირმშოს წინაშე დიდი პერსპექტივები იშლება.

არნ. ვეპეჰორონი,

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

# იბნო

თუ  
კან  
უნს

## კომუნიკაცია მხაჯას?



რა არის გამოსახული ამ ფოტოზე? მოგვწერეთ, სად მდებარეობს იგი და რა იცით მის შესახებ.

მორგებოდა ფიგურა, რომ არ დაკარგულიყო, არ დაკნინებულიყო. ამან განაპირობა ფიგურის ზომა, მისი ფორმების სიმძიმე, დინჯი, თავშეკავებული დინამიკით აღსავსე მოძრაობა, ოღნავ „დაფანტული“ რიტმი. მონუ-

მენტი საუკეთესოდ იკითხება ყველა მხრიდან, თუმცა მას მაინც აქვს საკუთარი ხედვის წერტილი. წინააღმდეგობაზე ფიგურას შინაგონების მაზარა და ქული უდევს, რომელთაც თითქოს თავის თანასოფლებლებს უწვდის.

ქ. გურჯაანის შინაგონების მემორიალი ქართული მონუმენტური ხელოვნების კიდევ ერთი თვალსაჩინო გამარჯვებაა.

ამირან ჩხარტიშვილი,  
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

## გვიანული სიტყვა

### გაკვეთილება

- აბა მითხარ, რომელ რიცხვში არის სიტყვა ბაფთა?
- მხოლოდითში, — იმ წამშივე უპასუხა მართამ.
- და, შარვალი რომელია რიცხვში არის, თემო?
- ზემოთ მხოლოდითშია და მრავლობითში — ქვემოთ.

### უხეხურითი

— ეს რა დღეში ჩავიგდია მთლად ახალი ქული?!

- ყმაწვილებმა მომხადეს და ითამაშეს ბურთი.
- მერე, ბიჭო, თვითონ რაღას აკეთებდი ნეტავ?
- თვითონ კარში ვიდექი და ბურთს ვიჭერდი, დედა.

### ნაგვრა

- მეც კურდღელივით ვეება ყურები მქონდეს ნეტავი, ყველაფერს გავიგონებდი, — ამბობს კუდრაჭა ნესტანი. დას გაკვირვებით უყურებს პაწაწკინტელა ალუდა:
- რას ამბობ, გოგო, იმხელა ყურებს დაბანა არ უნდა?!

### საკუქარი

დისწული მოინახულა იმ დღეს დეიდა მარომ, და უთხრა: კარგი საჩუქრით მინდა, რომ გაგახარო; ოღონდაც უნდა წინასწარ შენს მასწავლებლებს ვკითხო, როგორა სწავლობ სკოლაში, ჩემო პატარა მიხო. და, აი, უცებ მუდარა გამოკრთა ბიჭის ხმაში: — თუ გახარება გსურს მართლა, სჯობს არ იკითხო მაშინ...



მხატვარი ზურაბ შორჩინძი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი. ოჯახს მეთევზეობით არჩენდა. ერთხელ მის ბადეს ოქროს თევზი ამოჰყვა. გაუხარდა მეთევზეს, მაგრამ თევზისკენ როგორც კი ხელი გაიწვდინა, თევზმა ბოლო მოიქნია და წყალში ჩახტა. მეთევზე შეწუხებული დაბრუნდა შინ. ვერა და ვერ დაივიწყა ოქროს თევზი. ყოველთვის იღბლიანად თევზაობდა, ოქროს თევზი კი მანამდე არასოდეს დაეჭირა.

გავიდა სამი წელი. კაცი გამდიდრდა. თავი დაანება თევზაობას, ღუქანი გახსნა და ბედნიერად ცხოვრობდა, მაგრამ ოქროს თევზის მოგონება წინანდებურად მოსვენებას არ აძლევდა.

მალე ცოლი მოუკვდა და სხვა ქალი შეირთო. ამ ცოლს პატარა ბიჭი მოჰყვა. თავდაპირველად მეთევზემ შეიყვარა ბავშვი, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო ხშირად ფიქრობდა, ჩემი შვილი არ არისო და თა-

# ოქროს თევზი

ფინური ზღაპარი

ნდათან მოიძულა. რომ არ დაენახა, შორს მიდიოდა სავაჭროდ და კარგახნით შინ არ ბრუნდებოდა.

ერთ დღეს მდინარის პირას ბიჭმა ვიღაც კაცი დაინახა. ანკენით თევზს იჭერდა. მოაგონდა, სახლის კუთხეში ბადე რომ ეგდოთ და შინისაკენ გაიქცა.

— დედა, ბადე მომეცი, წავალ და თევზს დავიჭერო.

— ჯერ პატარა ხარ, მდინარეზე ვერ გავიშვებ, დამეხრჩობიო.

ბიჭმა მაინც თავისი გაიტანა და დედამ მისცა ბადე.

მიიბრინა ბავშვმა მდინარესთან, ბა-

დე ისროლა, ცოტა დაახანა და მოზირდა. რას ხედავს: ბადეს ოქროს თევზი ამოჰყვა! დაავლო ხელი და გაიჭიდა. ნაპირს ოციოდე ნაბიჯით რომ მოშორდა, გაიფიქრა: „რა გუყო ამ თევზს, გავყიდო თუ მოვხარმოო?“ კიდევ შეხედა თევზს და იფიქრა: „შინ წავიღებო“. მერე — „რა ლამაზია, ოქროსია, ცოდვია ამის მოხარშვა, მოდი, ისევ გავუშვებო!“

დაბრუნდა მდინარესთან, თევზი გაუშვა და თვითონ შინ წავიდა. ნაპირთან ბიჭები თამაშობდნენ, მათ დაინახეს, რომ ბიჭმა თევზი გაუშვა, მივარდნენ ღუქანში, მის მამინაცვალთან, და ეუბნებთან:

— ბატონო! თქვენმა შვილმა მდინარეში ოქროს თევზი დაიჭირა და ისევ გაუშვაო.

ეს რომ გაიგონა, ვაჭარი ბრაზით გაცოფდა.

— რვა წელია, ოქროს თევზზე ვოცნებობ, იმან კი გაუშვა. ოქროს თევზი ხელში რომ ჩამვარდნოდა, უეჭველად გავმდიდრდებოდიო! — გაფთრებული სახლში შევარდა, დახას ხელი სტაცა და ბიჭს მივარდა.

— ვინ მოგცა ნება, რომ ჩემი ოქროს თევზი გაუშვიო!

შეშინდა ბიჭი, მოიბუზა, სიტყვაც ვერ დაძრა. ვაჭარმა ეს რომ დაინახა, კიდევ უფრო აუწყია ხმას:

— შე ძაღლის ლეკვო, ის ოქროს თევზი შენს თავს ათასჯერ მერჩიაო.

— და მოკვლა დაუპირა. დედა ტირილით გადაეფარა შვილს.

— თევზის გულისთვის ბავშვი უნდა მომიკლაო?!

დიდხანს ეხვეწებოდა ქმარს, მაგრამ ვერ იქნა და გული ვერ მოუღებო. ბოლოს უთხრა:


— კარგი, ოღონდ დღისით არ მოკლა, დაღამებას დაუცადე, ვინმემ არ დაგინახოსო.

ვაჭარი რომ სახლიდან გავიდა, დედამ შვილი გულში ჩაიკრა და ტირილით ურჩია:

— წადი, შვილო, შენი აქ დარჩენა აღარ შეიძლებაო.

მოუშვდა საგზალი და გამომშვიდობებისას დაარიგა:

— გზაში მგზავრი თუ შეგხვდეს, ჯერ გამოსცადე, უთხარი, ერთ წუთს უნდა გავჩერდე-თქო, და განზე გადექი. თუ დაგიცადა, ერთად წადით, თუ არა, შენი ამხანაგი არ ყოფილაო.



წავიდა ბიჭი. ბევრი იარა თუ ცოტა, გზად ერთ კაცს გადაეყარა. იარეს ერთად. ბიჭმა გაიხსენა დედის სიტყვები და ცოტა ხნის შემდეგ უთხრა თანამგზავრს:

— ერთი წუთით მომიცადე, ასლავე მოვალო!

კაცმა ცოტა ხანს უცადა, მერე თქვა, წავალო, და გზას გაუღდა.

„დედა მართალი იყო, ეს ჩემი ამხანაგი არ არისო“, — გაიფიქრა ბიჭმა და გზა განაგრძო.

გზად კიდევ ერთი კაცი შემოეყარა, ისიც გამოსცადა, მაგრამ არც ის გამოდგა უკეთესი.

მესამე დღეს, დაბინდებისას, მაღალი, მხარბეჭიანი ჭაბუკი შეხვდა.

— ერთად წავიდეთ, ძმობილო! — დაუძახა ბიჭს, მერე ჰკითხა:

— მარტო რატომ მიდიხარო?

ბიჭმა სიმართლე უამბო:

— მამაჩემმა ოქროს თევზის გულისთვის მოკვლა დამიბირა, დედამ გადამარჩინა, მითხრა, გაიქციო და მეც მივდივარ, არ ვიცი, სადა, სადაც დამიღამდება, იქ გავითენებო.

— ნუ ნაღვლობ! — დაამშვიდა ჭაბუკმა, — ერთად წავიდეთ, მე გიშველიო. — და ღვიძლი ძმებივით ერთად განაგრძეს გზა.

ორი დღე იარეს და ერთ ქალაქს მიადგნენ. ამ ქალაქში ძველთაგანვე ასეთი ჩვეულება ჰქონდათ: ვინც საჭმლის ფულს არ გადაიხდოდა, სიკვდილით სჯიდნენ. მგზავრებმა, რაღა თქმა უნდა, არ იცოდნენ ეს. გავიდნენ ერთ ქუჩაზე და ხედავენ — ნაირ-ნაირი საჭმელ-სასმელი იყიდება.

ბიჭმა თქვა:

— მშია და რა ვქნათ, ფული რომ არა გვაქვსო.

— შენც ერთი, ნუ გადავიხდით, ისე ვქამოთ! ვიშოვიო და მერე მივცეთო, — მიუგო ჭაბუკმა.

შევიდნენ დუქანში, მოატანინეს ბრინჯი, ლავაშები და სულმოუთქმელად გადასანსლეს ყველაფერი. მოუტანეს ანგარიში, ისინი კი ეუბნებიან:

— ფული არა გვაქვს, გვადროვიო, სანამ ვიშოვიო.

მელუქნემ მეფესთან უჩივლა ბიჭებს.

მეფემ კი თავის მინისტრს უბრძანა:

— ამაღამ ორივე აქ მომგვარეთო! საღამოს ძმობილები გათოკეს და მეფეს მიჰგვარეს.

— სადილის ფული რად არ გადაიხადეთო? — ეკითხება მეფე.

— ჩვენ მგზავრები ვართ, რაც ფული გვებადა, გზაში შემოგვიხარჯა, ვიფიქრეთ, ვიშოვიო და გადავიხდითო.

— მე ასეთი კანონი გამოვეცი — ვინც საჭმლის ფულს არ გადაიხდის,

ავაზაკია და ცოცხალს ვერ გაუშვებთ. ეი, წაიყვანეთ ეს არამზადები და სახრჩობელაზე ჩამოჰკიდეთო! — იყვირა მეფემ.

— დიდებულო მეფევ, ერთი სიტყვა მათქმევინეთო! — თქვა მინისტრმა.

— თქვიო! — ბრძანა მეფემ.

— ამ ჭაბუკებს შეხედე, რა ღონივრები არიან. შვიდი წელია მას აქეთ, რაც ჩადოქარმა ასული მოგტაცა. მოდი, ეს ჭაბუკები მის დასახსნელად გავგზავნოთ. თუ დაიხსნიან, მინისტრებად დანიშნე და ერთ მათგანს შენი ასული მიათხოვე. თუ არა და, მაგათ დასჯას მერეც მოესწრებო.

მეფეს მოეწონა მინისტრის ნათქვამი, ჭაბუკები გაათავისუფლა და უბრძანა:

— ბოროტმა ჩადოქარმა ასული მოგტაცა, თუ იმას დაიხსნით, უხვად დაგასაჩუქრებთო.

ყმაწვილები დათანხმდნენ.

მეფემ მსახურს უბრძანა, მათთვის ორი ქურანი ცხენი მოეყვანათ. მოახტნენ ჭაბუკები ცხენებს და ქარით გააქროლეს.

ორ დღეს შეუსვენებლად აჭენეს, მესამე დღეს კი მაღალი მთები დაინახეს. აქეთ ფრიალო, შიშველი კლდე ეშვებოდა. სხვა არაფერი ჩანდა.

ცხენები იქვე დააბეს და თვითონ კლდეზე აცოცდნენ. უფროსმა დაუძახა უმცროსს:

— ხედავ, წინ რა არისო?

— ვხედავ, მთის ძირას ოქროს კოშკი დგას. მარჯვნივ მდინარე ჩამოუდის და ზედ დიდი ხილია გადებულიო.

უყურეს, უყურეს და ჩადოქარი დაინახეს.

— ვინა ხართ, რომ აქ მოსვლა გავიბედავთ, სიკვდილი ხომ არ მოგნატრებიათო? — ჰკითხა ყმაწვილებს დედებრმა და თვალები დააბრიალა. მერე პირი დაალო და მიაფურთხა. თურმე უნდოდა, ფურთხით დაეხრჩო დაუპატიებელი სტუმრები. მაგრამ ყმაწვილები არ დაიბნენ, — დანები იშისვლეს.

— თქვენისთანა აქ ბევრი მოსულა. ცოცხლები კი უკან არავინ გაბრუნებულა, — დაიტრახა ჩადოქარმა.

მეფე ყოველ წელიწადს ასიათასობით ჯარისკაცს გზავნის, მაგრამ სავმარისია სული შეეუბნებო, რომ მათი სულები ფერფლად იქცეს, მათი ძვლების ფერფლი კი ქარმა გაფანტოს. ის მთა, თქვენ რომ დგახართ, სწორედ მათი ძვლებისაგან არის ნაგები. ჯერ ტუჩებზე რძე არ შეგმობიათ და აქ რამ მოგიყვანათო? — ჩადოქარმა ამ სიტყვების დასრულება ვერც კი მოასწრო, რომ უმცროსი მიეჭრა და დანა მოუქნია. მაგრამ დედა-

ბერმა სული შეუბერა და დანა გაჭრა.

ეს რომ უფროსმა დაინახა, დაუფიქრებლად

— ძმაო, თავს ვუშველომ დასწრებო შევივბოროლებითო.

ჩადოქარმა ბოროტად გაიცინა.

— გიტყობათ, სიკვდილი გეჩქარებათო.

და ამ სიტყვებით ის ჰაერი ჩაისუნთქა, რითაც უმცროსს სული შეუბერა. მაშინ უფროსმა მახვილი გადააგდო. ჰაერის ნაკადმა აიტაცა მახვილი და ჩადოქარს გული ორად გაუშპო. გაიმარჯვეს ძმებმა. მივიდნენ მდინარესთან, ჩამობანეს სისხლი, გარეცხეს მახვილები. უცებ ხედავენ, ოქროს კოშკიდან ქალიშვილი გამოდის. ნამდვილი მზეთუნახავია. ხელში ოქროს ჩაიდანს უჭირავს. ყმაწვილები რომ დაინახა, აღერსიანად ჰკითხა:

— მამაცო ჭაბუკებო, საიდან მოსულხართ, განა არ იცით, რომ აქ ჭიანჭველთა ვერ გაუჭაჭანიაო?

— ჩადოქარს მეფის ასული მოუტაცინა და იმას ვეძებთო. — მიუგეს ჭაბუკებმა.

— მაშინ ჩქარა წამოდით, ჩადოქარმა არ დაგინახოთ, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებთ. მე ვარ ის მეფის ასული. მამაჩემმა ჩემს დასახსნელად ბევრი ვაჟაკი გამოგზავნა, მაგრამ ჩადოქარმა ყველა შესანსლათო.

— აბა, ამ მთის უკან გადი და გაიხედე, რას ნახავო, — უთხრეს ძმობილებმა. მეფეს ასულმა მთის იქით გადაიხედა, მოკლული ჩადოქარი რომ დაინახა, ძალიან გაუხარდა, დაბრუნდა ყმაწვილებთან და ეუბნება:

— გეტყობათ, ნამდვილი გმირები ხართ! მაგრამ ჩადოქარს ორი ვაჟიშვილი ჰყავს. ისინი ორმოცი დღით წასულები არიან, დღეს დაბრუნდებიან და მაშინ რაღა გვეშველებათო.

— ნუ გეშინია, მეფის ასული, იმათაც გაუკუსწორდებითო, — მიუგეს ბიჭებმა.

შეიყვანა მეფის ასულმა ყმაწვილები კოშკში; კარგი ასვა, აჭამა. მერე უფროსმა უბრძანა უმცროსს, კართან დამდგარიყო და მეფის ასულისათვის ედარაჯნა, თვითონ კი ხიდქვეშ დაიმალა და ჩადოქარის ვაჟებს დაელოდა. მალე მოვიდნენ ჩადოქარის ვაჟები — თეთრი ჩადოქარი და შავი ჩადოქარი. შორიდანვე ეგრძნობთ კაცის სუნი.

— აქ ვინ იმალება, ჩქარა გამოვიდესო! — ღრიალებდნენ.

— ეი, ჩადოქარებო, მეფის ასული მოგვეციო! — დაიძახა უფროსმა, — თუ არა და ნაწლავებს დაგაყრვივნებთ და თავებს წაგაცლითო.

— იქით, შე ძუძუმწოვარავ! როგორ გვიბედავ შებრძოლებას, სიკვდილი ხომ არ მოგნატრებიაო? —

დაიღრიალა თეთრმა ჯადოქარმა, და პირდაპირ გულში დაუმიზნა ბიჭს გრძელი ჩუგლუგი, მოიქნია, მაგრამ ჭაბუკმა ხელი უტაცა და შუაზე გადაუმტვრია.

ეს რომ შავმა ჯადოქარმა დაინახა, შეშინდა. ეტყობა, მაგარი ყმაწვილია, ერთი უნდა ვცადო და შევიბრძოლო. გააფთვებული დათვივით ეძგერა, სამოცდაათფუთიან რკინას დაავლო ხელი და დაიღრიალა:

— აბა, დამიხვლიო!

უფროსი ჭაბუკი არ შეშინდა, დაპყრა მახვილი რკინას და ორად გაჩეხა. რკინის ნატყეხებმა ფეხები მოამტვრია ჯადოქარებს. ჭაბუკმა მიწას გააკრა ჯადოქარის ვაყები. თავები წააჭრა და ხილზე გამოკიდა.

მოირბინა უმცროსმა და გადაეხვია უფროსს. მოახტნენ ცხენებს და მეფის ასული შინ წაიყვანეს. გადაიარეს მთები, უღაბნოები, მინდვრები. ჭალაქამდე ერთი დღის სავალი რომ ჰქონდათ დარჩენილი, ერთ სოფელში გაჩერდნენ. ერთმა ჭალარა მოხუცმა მათი დაბრუნება მეფეს შეატყობინა.

მეფემ დიდად გაიხარა:

— სიზმარში ხომ არა ვარო?

— თავი მომკვეთეთ, თუ გტყუოდეთ! — უთხრა მოხუცმა.

მეფემ მთელი ლანგარი ოქროს ფულები მისცა მახარობელს და იმავე ღამეს დაფდაფების ცემით სოფლისაკენ გაეშურა, თან მინისტრები და ოთხასი რჩეული ჯარისკაცი ახლდა. მივიდნენ სოფელში, შეიგებნენ მეფის ასულსა და მის მხსნელ ჭაბუკებს და ყველანი ერთად დაბრუნდნენ სასახლეში. ხალხს ისინი ხელში აყვანილები მოჰყავდა.

გავიდა ერთი კვირა. მეფემ მაჭანკლებს დაუძახა და ეუბნება:

— ამ ჭაბუკთაგან რომელიც მოინდომებს ჩემი ასულის ცოლად შერთვას, იმას მივათხოვებო.

მაჭანკლებმა ძმანდაფიცებს მიუტანეს მეფის სიტყვები.

ორივეს უნდოდა, ერთმანეთისათვის დაეთმო ბედნიერება. ბოლოს უფროსმა თქვა:

— მეფის ასული შენთვის დამითმია, მე ვერ შევირთავ და ამის მიზეზს მერი გიტყვიო.

ასეც გადაწყვიტეს. მეფემ თავის ასულსა და უმცროს ბიჭს დიდებული ქორწილი გადაუხადა.

გავიდა კიდევ ერთი კვირა, დადგა მერვე დღე და უფროსმა უთხრა უმცროსს:

— მე შინ უნდა დავბრუნდე, შენ კი აქ დარჩიო.

— რაკი შენ მიღიხარ, მეც წამოვალ, მარტო ვერ გაგიშვებო.

მეფე ძმანდაფიცებს ეხვეწა, დარჩითო, მაგრამ ვერა და ვერ დაიყოლია. რაღა უნდა ექნა, გამოეთხოვა ქლიშვილსა და სიძეს, გაატანა საგზალო, მისცა ოქრო-ვერცხლი და გაუშვა.

დიდხანს იარეს და ბოლოს დიდ მდინარეს მიადგნენ. უფროსმა თქვა, მოდი, აქ შევჩერდეთო.

— გასსოვს, თხუთმეტი წლისა რომ იყავი, და აქ ბადე ისროლეო? — ჰკითხა უმცროსს.

— ისიც მახსოვს, ოქროს თევზი რომ დავიჭირეო, — მიუგო უმცროსმა.

— მერე ის თევზი რა უყავიო.

— ისევ მდინარეში გავუშვიო.

— შენი სიკეთე არ დამვიწყებია. მე ის ოქროს თევზი ვარ. რაკი შემიბრალებ და არ მომკალი, თანაც ჩემი გულისათვის ამდენი ტანჯვა გამოიარე, მინდოდა, სიკეთე სიკეთით გადამეხადა, ახლა კი ნახვამდისო, — და ამ სიტყვებით წყალში ჩახტა. ცოტა ხნის შემდეგ ტალღებში ოქროსფერად მბზინავი თევზი გამოჩნდა და თითქოს გამოთხოვების ნიშნად უმცროსს ვაყაცას თავი დაუკრა.

თარგმანი ანა ნემსაძემ



გომეგაუმთა  
მელოდიები

ფრინველების შემდეგ ყველაზე მრავალფეროვანი ხმა ბაყაყებსა და გომეგაუმებს აქვთ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ყველა მათი „არა“ როდი იწვევს მსმენელთა დადებით ემოციებს. მაგალითად, გომეგაუმ ფულერა ისეთი გამყიფიანი ხმით შემოსძახებს ხოლმე, რომ კაცს ტანში გასცრის. სამაგიეროდ, ვასაკას კრული არავის აშინებს, იგი კატის ხმაშაღალ კრუტუნს მიაგავს. არსებობს ბაყაყი-ხარი, ეს სახელი მას იმიტომ კი არ შეერქვა, რომ გარეგნობით ხარსა ჰგავს, არამედ ძლიერი, ხარის ბლავილის მსგავსი ხმის გამო. ვაცილებით სახიამოვნო მოსასმენია სამხრეთამერიკული გომეგაუმის მელოდიური რაკაკი, გეგონება, ფლეიტა ხმინაობსო ბასის აკომპანემენტის თანხლებით. ასევე სიამოვნებით მოუსმენ ჩვენს, ევრაზიაში ფართოდ გავრცელებულ ნაცრისფერ გომეგაუმს. მისი მელოდიური სტვენა ჩიტის გალობას მოგვაგონებს.

ნავთობი  
მარსზე?

მარსის ებადლებული „არხები“ სრულიადაც არ არის არხები. ახალი ჰიპოთეზის თანახმად, მარსზე არსებული აქტიური ვულკანები მის ატმოსფეროში ამოაფრქვევდნენ წყლის ორთქლს, რომელიც შედეგების შემდეგ წვიმის სახით ჩამოდიოდა და კვლავ ორთქლდებოდა. ეს ციკლი მანამდე მეორედებოდა, სანამ მზის ულტრაიისფერი გამოსხივება წყლის მნიშვნელოვან ნაწილს წყალბადად და უანგზადად არ დაშლიდა. წყალბადი სივრცეს ერეოდა, უანგზადი კი სხვა ელემენტებთან შეერთებისას პლანეტას უღალ შეფერილობას აძლევდა.

იგივე გამოსხივება შლიდა ქიმიურ შენაერთებს და ხლეჩდა ატმოსფერულ ელემენტებს, რის შედეგადაც წარმოიქმნა ატომებისა და აქტიური იონების რთული ნარევი. რამდენადაც წყალბადი ყოველთვის აქროლდებოდა ხოლმე, თანაფარდობა მასა და უანგზადს შორის მუდამ იცვლებოდა. ამ პროცესს შედეგად მოყვა ჭერ მეთანის, შემდეგ კი სხვა ნახშირწყალბადების კოლიმერიზაცია (პოლიმერიზაცია — მაღალი მოლეკულური წონის მქონე ორგანულ ნაერთთა





წარმოქმნა დაბალმოლეკულური ნაერთები-საგან). ამრიგად, 10 მილიონი წლის განმავლობაში შეიძლება იმდენი ნავთობის პოლიმერიზება, რომ მას შეეძლო მარსის მთელი ზედაპირი 1 მეტრ სისქეზე დაეფარა.

**დაჯიშეთ ხე!**


ფანქარი იმთავითვე მერქნისაგან მზადდებოდა. მაგრამ ამჟამად მერქნის გაძვირებამ, აგრეთვე დამზადების ტექნოლოგიის სირთულემ სპეციალისტები აიძულა უფრო იაფი, არასტანდარტული მასალებისთვის მიემართათ. ასეთ მასალად, ბუნებრივია, პლასტმასა მიიჩნეეს. მაგრამ პირველი ცდები მარცხით დამთავრდა. მართალია, ტექნოლოგია გამარტივდა, სამაგიეროდ ფანქრები უვარგისი გამოდგა — პლასტმასის მეტისმეტი მოქნილობის გამო გრაფიტის ღერი მალე ტყდებოდა.

ეს სიძნელე გადალახეს ერთ-ერთი ამერიკული ფირმის სპეციალისტებმა. მათ გადაწყვიტეს გამოეყენებინათ მინის ბოქვითა გამოყარებული პოლისტირენი. ცდა წარმატებით დაგვირგვინდა: ასე დამზადებული ფანქრები ტრადიციული ფანქრებისაგან არაფრით არ განსხვავდება.

**მტრადი — ნაშველი**

ცნობილია, მტრედს ძალზე მახვილი თვალი აქვს, და აი, ამერიკელებმა გადაწყვიტეს ეს ფრინველი ზღვაში მაშველად გამოიყენონ. მტრედები ისე გაწვრიანდნენ, რომ მათ საკმაო სიმაღლიდან შეამჩნიონ ნარიჩის ფერი (მაშველი რგოლის ფერი) და ამის შესახებ ადამიანებს აცნობონ.

მაძებარი ვერტმფრინავის ქვედა ნაწილში მოათავსეს პლექსიგლასისაგან დამზადებული გამჭვირვალე თალფაქი, რომელიც სამ ნაკ-



ვეთურად არის დაყოფილი. თითო ნაკვეთში თითო მტრედია. თითოეულ მტრედს თავისი სათვალთვალო სექტორი აქვს. როგორც კი ზღვის ზედაპირზე ყვითელ ლაქას შეინიშნავს, მტრედი მაშინვე მიკროგამომრთველს ჩაუნიშნობს. სპეციალური მოწყობილობა მას იმწამსვე აჩილდობს ხორბლის მარცვლებით. ხოლო პილოტს, რაკი იცის, რომე-

ლი სექტორიდან გაიცა სიგნალი, ვერტმფრინავი საპირო მიმართულებით მიჰყავს.

**ფუტკრები ცნობისმოქმართა წინააღმდეგ**

იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენად არის გაბინძურებული გარემომცველი ბუნება, ამერიკელი სპეციალისტები ტყეებსა და პარკებში ჰკიდებენ ავტომატურ ხელსაწყოებს, რომლებიც აგროვებენ ცნობებს ჰაერის შემადგენლობაზე, მასში მტერის რაოდენობაზე, წვიმის წყალში ქიმიური ნივთიერებების შემცველობაზე... ეს ღონისძიება არ გამოპარვით შედეგად ცნობისმოყვარე ცელქ ბიჭუნებს. ისინი ხეებზე ძვრებოდნენ, რომ ავტომატური ხელსაწყოები „გამოეკვლიათ“, რასაც ხშირად ძვირფასი აპარატურის დაზიანება მოსდევდა.



ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად ორიგინალური ხერხი იქნა მოძებნილი. ხელსაწყოთა მცველები გახდნენ... ფუტკრები. სწავლულები ხის ტანზე აკეთებენ ხელოვნურ ფულეროს, რომელშიც ჩამაგრებულია აპარატურა, და შიგ ველურ ფუტკრებს აბინავებენ.

ამ სიახლემ ორგვარი სარგებლობა მოიტანა: არც ხელსაწყოები ზიანდება და მათი მონაცემებიც უფრო ზუსტია. საქმე ის არის, რომ ფუტკრების შეგროვებული მტკერი გაბინძურებული გარემოს თავისებური კონცენტრატორია და სწავლულებს ეხმარება უტყუარად დაადგინონ ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების არსებობა და მათი შემადგენლობა.

**ყველაზე შხამიანი**

ადამიანისათვის ცნობილი გველების 2500-ვე სახეობა საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, და მანც, მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ შესძლეს მეცნიერებმა დაედგინათ, რომელია ყველაზე შხამიანი ამ ქვეწარმავალთაგან. ეს არის ცენტრალური ავსტრალიის უდაბნო ადგილებში მოხინდრე ყავისფერი, შავთავა გველი, რომლის სიგრძე

180 სანტიმეტრს აღწევს. იგი მეცნიერებისათვის 1879 წლიდან არის ცნობილი. ამჟამად მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ მოახერხეს ცოცხალი ეგზემპლარის მიტანა მელბურნის უნივერსიტეტში. ცდებმა აჩვენა, რომ მისი შხამი 20-ჯერ უფრო ძლიერია კობრას შხამზე და 300-ჯერ — ჩხრიალა გველისაზე. ეს ქვეწარმავალი საშუალოდ 44 მილიგრამ შხამს იძლევა ერთ ჯერზე. საბედნიეროდ, მეცნიერებმა უკვე დაამზადეს ამ შხამის საწინააღმდეგო შრატო.

**თვალსილუღი უქმე დღეებში**


იტალიაში, ბოლონიის მახლობლად, ჩატარდა შეჯიბრება სროლაში. იტალიურმა გაზეთებმა ამ ამბავს რამდენიმე სტრიქონი მიუძღვნეს და გამარჯვებულის პორტრეტიც დაბეჭდეს. ბოლონიის მცხოვრებლებმა დაშინვე იცნეს გმირი, რომელმაც ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა. მას იმ არეობაში დიდი ხანია იცნობენ: ყოველდღე ეკლესიასთან ასფალტზე ზის, კონკები აცვია, შავი სათვალე უკეთია, გულზე მუყაოს ნაჭერი აქვს ჩამოკიდებული წარწერით: „უსინათლო“.

**კუბიკური ნიხპი?**

იაპონელმა გლეხმა ტომაუკი ენომ ამას წინათ გამოიგონა... კუბიკური ნესვები. ამის მიზეზი გახდა ურიკა, რომლითაც ენო ბაზარში დადიოდა. ცუდ გზაზე ნესვები ხშირად ცვიოდა ურიკიდან. სწორედ მაშინ დაეზადა გლეხკაცს აზრი კუბიკური ნესვების შესახებ. თავისი იდეის განსახორციელებლად ენომ გამოიყენა გამჭვირვალე პოლიმერის კოლოფი, რომელშიაც ნესვის ბუტკოები მოათავსა. ნაყოფები თანდათან იზრდებოდა და ახალ ფორმას იღებდა.

კუბიკური ნესვი გადასახიდადაც მოსახერხებელია და თანაბარ ნაწილებად დასაჭერელადაც.






**გაკვეთილი მე-4**

**ქსოვის სახეობები**

ქსოვის სახეობებიდან ყველაზე ფართოდ გავრცელებულია რეზინი. გავეცნოთ რეზინის რამდენიმე ვარიანტს.

ნიმუში: აკრიფოთ 20 თვალი. პირველი თვალი უოველთვის მოუქსოვლად გადავიტანოთ, მეორე თვალი წალმით გამოვქსოვოთ, მესამე — უკულმით, მეოთხე — წალმით, მეხუთე — უკულმით და ა. შ. რიგის ბოლომდე, — ერთ თვალს რომ წალმა გამოვქსოვოთ, მეორე უკულმა უნდა გამოვქსოვოთ, ე. ი. 1X1-ზე. ნაქსოვის უკულმა პირიდან წალმა თვალი წალ-

მით გამოვქსოვოთ, უკულმა თვალი — უკულმით, როგორც ნაუში გვიჩვენებს. ასეთ ქსოვას რეზინი ეწოდება. რეზინი შეიძლება მოვქსოვოთ 2X2 ზე,



ე. ი. 2 თვალი წალმა, 2 უკულმა და ა. შ.


შეიძლება მოვქსოვოთ აგრეთვე 3X3-ზე, 4X4-ზე და სხვ. რეზინით შეიძლება მოიქსო-

ვოს კაბა, ჯემპრი, შაქეტი. ხშირ შემთხვევაში რეზინით ქსოვენ ტანსაცმლის დეტალებს: მაჯებს, საყულოს, ჯიბის პირს, შაქეტის შესაკრავ ნაწილს და სხვ.

**ორმაგი რეზინი**

ნიმუშის მოსაქსოვად აკრიფოთ 24 თვალი.

პირველი რიგი: ერთი თვალი ზევიდან წალმით გამოვქსოვოთ, მეორე თვალი გადავიტანოთ მოუქსოვლად ისე, რომ ძაფი მოხვდეს გამოუქსოველი თვალის წინ.




მეორე რიგი: წალმით თვალი მოვქსოვთ წალმით, უკულმის-მაგვარ თვალს გადავიტანოთ მოუქსოვლად, საქსოვი ძაფი იქნება გამოუქსოველი თვალის წინ.

ყველა რიგი იქსოვება ამ მეორე რიგის მსგავსად.

გვახსოვდეს, ნაქსოვის პირველი და უკანასკნელი თვალი ნაუშში არ შედის.

**ინგლისური რეზინი**

ნიმუშის მოსაქსოვად ავიღოთ 26 თვალი.



პირველი რიგი: ერთი თვალი წალმა, ერთი — უკულმა.

მეორე რიგი: წალმა თვალი მოვქსოვოთ ზევიდან წალმით,

**საკითხავანი**

ნატროშვილი გ. — დავით გურამიშვილი (წერილი)	2	შევეკრიბოთ ხალხური საუბრე	20
გურგენიძე ა. — მასწავლებელი (ლექსი)	4	გზობა ა. — დაკარგული ხმები (ზღაპარი)	22
სვანიძე ბ. — ბავშვთა გამწყრალი სახეები (მოთხრობა)	5	საფენტერესო თემაზე	24
გორგაძე ე. — ლაღო გულიშვილი და ბავშვები (წერილი)	10	გეგმეკორი არნ. — რა არის ბიონიკა? (წერილი, დასასრული)	25
პრიხოდკო ვ. — ლექსები	11	იცნობთ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?	26
გელაშვილი მ. — „ავსტრალიური“ ქათამი (მოთხრობა)	12	ამირანაშვილი შ. — მხიარული ლექსები	27
რუნელი ხ. — უშიშარი გოგონა (მოთხრობა)	16	ოქროს თევზი (ფინური ზღაპარი)	28
კოცონი	18	ჯადოსნური სარკე	30
საბაშვილი შ. — ვეხმაურებით თუ არა კოსმოსს? (წერილი)	19	ქსოვა	32
		ცხრაკლიტული	გარეკ. 3

გარეკანის 1-ლ გვერდზე „დავით გურამიშვილი“, ქანდაკება მირაზ ბერძენიშვილისა



საქ. კვ ცვ-ის  
გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი გიორგი შელია  
სარედაქციო კოლეგია: ნუზუარ აფხაზაძე, ზურაბ ბოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორიძე, ბაიოზ ფოცხიშვილი, გიორგი ძლივაძე, როზარტ ღარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრინი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შენდრუაშვილი, ზურაბ წვერიკაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

მაკეტი შეადგინა ბ. ფოცხიშვილმა

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის 93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-03, 93-53-05 განყოფილებების 93-97-02 93-97-01

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14 «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14. დასაწყობად 25 VIII-ბ0 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/X-80 წ. ქალაქის ფორმატო 60x90/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საბრუნავო-საგამომცემლო თაბახი 5,35. შვკვ. № 2321. ტირ. 151.750. უფ. 14035.

ფასი 20 კაპიკო

გავაკეთოთ ნამატი და უკულმა თვალი მოუქსოვლად გადავიტანოთ.

**მისამამ რიბი:** წალმა თვალი ნამატთან ერთად გამოვიღოთ ზევიდან წალმით, შემდეგ გავაკეთოთ ნამატი და უკულმა თვალი კვლავ მოუქსოვლად გადავიტანოთ. ყველა რიგი იქსოვება მესამე რიგის მსგავსად, ე. ი. ნაქსოვის ორივე მხარე ერთნაირი იქნება.

ამ რეზინით ქსოვენ ქულებს, კაშნებს, კაბებს, ჭემბარს და სხვ.

**იტალიური რეზინი**

ნიმუშის მოსაქსოვად ავიღოთ 21 თვალი.

**პირველი რიგი:** პირველი



თვალი მოუქსოვლად გადავიტანოთ, 1 თვალი უკულმა, ასე ვქსოვით რიგის ბოლომდე. უკანასკნელი თვალი უკულმით გამოვქსოვით.

**მეორე რიგი:** სამი უკულმა თვალიდან პირველი თვალი მოვქსოვით წალმით, მეორე, ე. ი. შუა თვალი — უკულმით, მესამე — წალმით; მეოთხე თვალი ისევ წალმით მოვქსოვით. ასე ვქსოვით რიგის ბოლომდე.

მესამე და ყველა დანარჩენი რიგი იქსოვება მეორე რიგის მსგავსად. ნაქსოვი ორივე მხრიდან ერთნაირია.


**ვიეტნამური რეზინი**

ნიმუშის მოსაქსოვად ავიღოთ 22 თვალი.

**პირველი რიგი:** ჯერ გამოვქსოვით მეორე თვალი ქვევიდან წალმით, შემდეგ პირველი თვალი — ქვევიდან წალმით და გამოქსოვილი ორი თვალი გადავიტანოთ ჩხირიდან. ასე ვქსოვით რიგის ბოლომდე.

**მეორე რიგი:** ორი უკულმა თვალიდან ჯერ მეორე უკულმა თვალი გამოვქსოვით უკულმით, შემდეგ პირველი თვალი უკულმით და გადავიტანოთ ჩხირიდან. ასე ვქსოვით რიგის ბოლომდე.

მესამე რიგი და ყველა კენტი



რიგი, ე. ი. ნაქსოვის წალმა პირი იქსოვება პირველი რიგის მსგავსად.

მეოთხე რიგი და ყველა ლუწი რიგი, ე. ი. ნაქსოვის უკულმა პირი იქსოვება მეორე რიგის მსგავსად.


**ლაზური რეზინი**

ნიმუშის მოსაქსოვად ავიღოთ 26 თვალი.

პირველ და მეორე რიგში გამოვქსოვით ორ-ორი თვალი წალმა, ორ-ორი — უკულმა.

**მისამამ რიბი:** ორი წალმა თვალი ერთად გამოვქსოვით ქვევიდან წალმით. ჩხირიდან გადაუღებლად პირველი თვალი კიდევ გამოვქსოვით ქვევიდან წალმით და გადავიტანოთ ჩხირიდან. შემდეგ ორი უკულმა თვალი გამოვქსოვით უკულმით.

**მეოთხე რიგი:** მოვქსოვით რეზინი 2X2-ზე.




ნაქსოვის წალმა პირი იქსოვება მესამე რიგის, ხოლო უკულმა პირი მეორე რიგის მსგავსად.

ლ. ზურაბაშვილი

**იკოვით მსგავსება**

აქ წარმოდგენილი 16 ფიგურებიდან იპოვეთ ორი ერთმანეთის მსგავსი ფიგურა. 2 წუთში პოვნა

ფასდება „ფრიადით“, 3 წუთში — „ქარგით“, 5 წუთში — „დამაკმაყოფილებლით“.



**ვინ მოიპოვა თასი?**

საპატიო თასის მოსაპოვებლად ერთმანეთს ერკინებოდა ოთხი გუნდი: „მტკვარი“, „რიონი“, „თერგი“ და „ენგური“. გულშემოტივირები: არჩილი, ზურიკო და კახა მსჯელობდნენ, თუ რომელ გუნდს ჰქონდა მეტად შანსი საფეხბურთო ნიღავლის ხელში ჩასაგდებად. არჩილის აზრით, ან „მტკვარი“ გაიმარჯვებდა, ან „რიონი“.

ზურიკო სრულიად და-



რწმუნებული იყო, რომ „მტკვარი“ ვერ დაუფლებოდა თასს. კახა კი ამბობდა, ვერც „თერგი“ და ვერც „ენგური“ ვერ მოიგებენო. სამი მოკამათიდან მხოლოდ ერთი აღმოჩნდა მართალი.


ვინ მოიპოვა თასი?

**რამდენი სამკუთხედი?**


1. რეფორმა;
2. უუმბარა;
3. მასიური;
4. „ქართული“;
5. აგარაკი;
6. ნიასური;
7. ჭადრაკი.

აპარული  
გამოცანები

ჩვილი, ახალგაზრდა კაცი; მოხუცი; უთო; კვირციხი; მარლი.



ვინ დათვლის სწრაფად, რამდენი სამკუთხედი აქ მოცემულ ფიგურებში?



**პესუნი № 9-ში მოთავსებულ „მხრეკლივლზე“**

რამდენი გადაიხდა?

ზაზამ გადაიხდა 2 მანეთი და 50 კაპიკი.

გამოცანები  
მაცივარი; სირაქლემა.

სპ 75/10



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ინდექსი 76157  
შასი 20 კაპ.



თეატრი გავუვების თვალთ.

მანუკაბაძე  
თეატრი.

ენო  
მოსია,  
10 წლის.



თოჯინების  
თეატრი.

თინათინ  
ცხალაძე,  
9 წლის.

გავუვთა  
ხელოვნების  
მუზეუმის  
ფონდიდან